

ISSN 1987-6890

ეკონომიკისა და  
სტატისტიკის ეროვნული  
სერვისების ცენტრი

EKONOMISTI

*საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი*  
*International Scientific-Analytical Journal*

2

2 0 1 3

UDC33

ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

# ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი  
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

მარტი  
აპრილი

# 2

2013

**მთავარი რედაქტორი რამაზ აბუსაძე**

**სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:  
**ვლადიმერ კაპაავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:

**იური ანანიავილი, როზა ასათიანი, თემურ ბერიძე, ბიორგი ბერუაშვილი, ვახტანგ ბურღული, რევაზ გოგონია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მუსხია, ელგუჯა მემვაბიშვილი, სოლომონ აპვლიაშვილი, უშანგი სამაღაშვილი, როლანდ სარჩიშვილი, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.**

ეკონომიკის დოქტორები:

**ნანული არევაძე, ნანა ბიბილაშვილი, ბადრი ბეჩბაია, მერაბ გველესიანი, შალვა გოგიაშვილი, ლინა დათუნაშვილი, გულნაზ ერქომაიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ანზორ კურატაშვილი, თეა ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ირა ნათელაური, დალი სოლოღაშვილი, ნოდარ ხაჭური, მამუკა ხუშკივაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.**

**თამარ დადიანი (პასუხისმგებელი მდივანი)**

უცხოელი წევრები:

**ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, პასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა ბელინსკაია (ლიტვა), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), ბინდრა კანნაუსკინენ (ლიტვა), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკიტელიშვილი (აშშ), სლავომირ პარტიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სეროკინი (რუსეთი).**

---

**ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.**

---

თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Paata Gugushvili Institute of Economics

# EKONOMISTI

International Scientific-Analytical Journal  
Published from January 2009

March  
April

# 2

2013

**Editor-in-Chief**      **Ramaz Abesadze**

**SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD**

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

**Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

**Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharashvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mkvabishvili, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze.**

DOCTORS OF ECONOMICS:

**Nanuli Arevadze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Gulnaz Erkomaishvili, Badri Gechbaia, Shalva Gogiasvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Anzor Kuratashvili, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Dali Sologhashvili.  
Tamar Dadiani (executive secretary)**

FOREIGN MEMBERS:

**Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia).**

---

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

---

**Tbilisi**

**ს ა რ ჩ ე ვ ი**

**საქართველოს ეკონომიკა**

<i>ვლადიმერ პაპავა, თამარ თაფლაძე</i> – საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივის შესახებ	6
<i>შალვა გოგიაშვილი</i> – საქართველოს კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ქრონოლოგია	17

**მენეჯმენტი**

<i>ვეგენი ბარათაშვილი, ბადრი გეგუაძე</i> – ინფრასტრუქტურული მიდგომა სერვისულ მენეჯმენტში	30
--	----

**საზღვარგარეთის ძველების ეკონომიკა**

<i>ვლადიმერ კუცენკო</i> – საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მოწყობის ინსტიტუციური გარდაქმნა	40
<i>ანა შევცოვა, სვეტლანა გრეჩნაია</i> – სინერგია უკრაინის ქიმიური მრეწველობის საწარმოების ინტეგრაციულ განვითარებაში	45

**ტურიზმი**

<i>პაატა ჩავანავა</i> – ტურისტული დანიშნულების პუნქტის განვითარების მერყეობის შემცირება ციკლების ურთიერთდაბალანსების საფუძველზე	52
---	----

**საერთაშორისო ვაჭრობა**

<i>ვასილ ხიზანიშვილი</i> – საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია	81
--	----

**მაკროეკონომიკა**

<i>მარიამ ვაშაკიძე, ნათელა კაკაურიძე</i> – ხელფასის დონისა და დინამიკის ანალიზი საქართველოში	86
<i>მარიამ ვაშაკიძე</i> – დასაქმების და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში	91

**მაბისტრანტებისა და ღოჭტორანტების სამეცნიერო ნაშრომები**

<i>ბეკობლავ ალმადიევი</i> – საერთაშორისო ურთიერთობები გლობალიზაციის პირობებში: ევროაზიური ინტეგრაციის აქტუალური საკითხები	97
<i>დარჯან კაზბეგოვა</i> – საჯარო დიპლომატიის როლი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში	102
<i>ნინო ჯერენაშვილი</i> – ტურისტული პროდუქტის აღქმა	108

<b>მნიშვნელოვანი ბამოცემა</b>	112
-------------------------------	-----

<b>ინფორმაცია</b>	118
-------------------	-----

**СОДЕРЖАНИЕ**

**ЭКОНОМИКА ГРУЗИИ**

- Владимир Папавა, Тамара Тапладзе* – Об основных тенденциях и перспективах экономического развития Грузии **6**  
*Шалва Гогиашвили* – Хронология развития экономической политики конкуренции Грузии **17**

**МЕНЕДЖМЕНТ**

- Евгений Бараташвили, Бадри Гечбаия* – Инфраструктурный подход в сервисном менеджменте **30**

**ЭКОНОМИКА ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН**

- Куценко Владимир* Институциональные преобразования социально-экономического обустройства общества **40**  
*Анна Шевцова, Светлана Гречаная* – Синергия в интеграционном развитии предприятий химической промышленности Украины **45**

**ТУРИЗМ**

- Паата Чаганавა* – Сокращение колебаний в развитии туристического пункта назначения на основе сбалансированных циклов **52**

**МЕЖДУНАРОДНАЯ ТОРГОВЛЯ**

- Василий Хизанишвили* – Либерализация международной торговли **81**

**МАКРОЭКОНОМИКА**

- Мариам Вашакидзе, Натела Какауридзе* – Анализ уровня и динамики заработной платы в Грузии **86**  
*Мариам Вашакидзе* – Анализ уровня занятости и безработицы в Грузии **91**

**НАУЧНЫЕ ТРУДЫ МАГИСТРАНТОВ И ДОКТОРАНТОВ**

- Бекбалат Альмадиев*– «Международные отношения в условиях глобализации: актуальные вопросы евразийской интеграции» **97**  
*Даржан Казбекова* – Роль публичной дипломатии в сфере международных экономических отношений **102**  
*Нино Джеренашвили* – Восприятие туристского продукта **108**

**ВАЖНОЕ ИЗДАНИЕ** **112**

**ИНФОРМАЦИЯ** **118**

**C O N T E N T S**

**ECONOMY OF GEORGIA**

- Papava Vladimer, Tapladze Tamar* – On the Main Trends and Prospects of the Georgia’s Economic Development **6**  
*Gogiashvili Shalva* – Timeline of Economic Policy of Competition in Georgia **17**

**MANAGEMENT**

- Baratashvili Evgeni, Gechbaia Badri* – Infrastructural Approach in Service Management **30**

**ECONOMY OF FOREIGN COUNTRIES**

- Kutsenko Vladimir*– Institutional Transformations the Socio-Economic Structure of the Society **40**  
*Shevtsova Anna, Grechanaya Svetlana* – Synergy in Integration Development of Ukrainian Chemical inDustry Enterprises **45**

**TOURISM**

- Chaganava Paata* – Reducing Fluctuations in Tourism Destination Development on the Basis of Balanced Cycles **52**

**INTERNATIONAL TRADE**

- Khizanishvili Vasil* – International Trade Liberalization **81**

**MACROECONOMICS**

- Vashakidze Mariam, Kakauridze Natela* – Salary Level and Dynamic Analysis in Georgia **86**  
*Vashakidze Mariam* – The Analysis of Employment and Unemployment in Georgia **91**

**SCIENTIFIC WORKS OF UNDERGRADUATES AND DOCTORAL STUDENTS**

- Almadiev Bekbalat* – International Relations Under Globalization: the Actual Issues of Eurasian Integration **97**  
*Darzhan Kazbekova* – The role of public diplomacy in the sphere of international economic relations **102**  
*Jerenashvili Nino* – Tourist Product Perception **108**

- SIGNIFICANT PUBLICATION** **112**

- INFORMATION** **118**

**საქართველოს ეკონომიკა**

**ვლადიმერ პაპავა**

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, პაატა გუგუშვილის სახელობის  
ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

**თამარ თაფლაძე**

*პაატა გუგუშვილის სახელობის  
ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი*

**საქართველოს ეკონომიკური ბანკოთმშენებლის  
კირითაღი ტენდენციებისა და პერსპექტივის შესახებ**

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში დაიწყო ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის პროცესი. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ პრიორიტეტების გამოვლენას, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის განვითარების სტრატეგიას. მოცემული ამოცანის გადასაჭრელად კი აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ ვითარებაში გარკვევა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ოცვლეულში საქართველოს ეკონომიკამ დიდი ცვლილებები განიცადა [1]. დამოუკიდებლობის პირველი წლები განსაკუთრებით მძიმე გამოდგა, როცა ყოველგვარი გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე მყოფი ქვეყანა [2] შეიარაღებულ კონფლიქტებში აღმოჩნდა ჩათრეული. მნიშვნელოვანი შეცდომები განსაკუთრებით საწყის ეტაპზე – მბრძანებლურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას იქნა დაშვებული [3].

ყველა ამ შეცდომის შედეგად 1993 წელს მთლიანმა შიგა პროდუქტმა 1990 წლის მთლიანი შიგა პროდუქტის 30,73% შეადგინა; 1994 წელს ინფლაციის წლიურმა დონემ 7 840%-ს გადააჭარბა [4, გვ. 98].

1995 წელს წარმატებით განხორციელებულმა ფულადმა რეფორმამ [5] მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა [6-8] და 1996-1997 წლებში მთლიანმა შიგა პროდუქტის თითქმის 24%-იან ზრდას შეუწყო ხელი [4, გვ. 98].

საქართველოს ეკონომიკაზე 1998 წლის რუსეთის დეფოლტის უარყოფითმა გავლენამ [5, გვ. 196-197], ხოლო შემდგომში ეკონომიკის რეფორმირებაში დაშვებულმა შეცდომებმა [9], ქვეყანაში საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისები გაამწვავა [10]. 2003 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის 52-55%-ს საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდა (მაგალითად, [11, გვ. 61]).

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა დაიწყო [12], რის შედეგად საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისები დაიძლია. 2005 წლიდან, ახალი საგადასახადო კოდექსის წაყლობით, საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად შემცირდა, ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო პროცედურები არსებითად გამარტივდა, ძალაში ახალი შრომითი კანონმდებლობა შევიდა, რომელმაც დაქირავებულებთან ურთიერთობებში დამქირავებლებს სრული თავისუფლება მიანიჭა. ამან საქართველოს ნეო-

ლიბერალური რეფორმების გამტარებელი ქვეყნის იმიჯი შეუქმნა (მაგალითად, [13-14]). ამავდროულად, საკუთრების უფლების შელახვის უამრავი ფაქტი დაფიქსირდა [15], მსხვილი ბიზნესი მთლიანად მთავრობის მიერ კონტროლირებადი გახდა [16]; ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და შესაბამისი სამსახურის გაუქმებამ ეკონომიკის მძლავრი მონოპოლიზაცია გამოიწვია [17], ხოლო მასობრივი კორუფციის გაქრობას, რაც ძირითადად მექრთამეობაში გამოიხატებოდა, ელიტარული კორუფციის შემაშფოთებელი მასშტაბები მოჰყვა [18-20]. თავისი ხასიათით ეს დარღვევები ნეობლშევიზმის სადარია, რის შედეგადაც თანამედროვე საქართველოს ეკონომიკა ნეოლიბერალიზმისა და ნეობლშევიზმის სიმბიოზს წარმოადგენს [21; 22, გვ. 13].

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ევროკავშირმა საქართველოსათვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შეთავაზების მზადყოფნა გამოავლინა [23], თუმცა წინასწარ რიგი პირობების შესრულებაც მოითხოვა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრის რეგულირების ევროპული ტიპის ანტიმონოპოლიური ინსტიტუტების იმპლემენტაცია და მოხმარებელთა უფლებების დაცვა, კერძოდ კი – სასურსათო უსაფრთხოების ნაწილში. სამწუხაროდ, სააკაშვილის მთავრობამ, ამ პირობების დაკმაყოფილების შეფერხების გზით [24], ევროკავშირთან მოლაპარაკებების პროცესის დაწყების გასაჭიანურებლად ძალა არ დაიშურა.

2009 წლის დასაწყისში შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას მოეწერა ხელი, რომელიც შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოსთვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის შესაძლებლობას ითვალისწინებს [25]. ამ დრომდე ამ მიმართულებით, თუნდაც თემაზე მოლაპარაკებების დაწყების დონეზე, რეალური ნაბიჯები ჯერაც არ გადადგმულა.

ყოველივე ამის ფონზე აუცილებლად გასარკვევია ის ძირითადი მახასიათებლები, რითაც გამოირჩევა თანამედროვე ქართული ეკონომიკა.

თანამედროვე საქართველოს ეკონომიკის მოდელი, სამწუხაროდ, დაფუძნებულია არა იმდენად წარმოების ზრდაზე, რამდენადაც მოხმარების სტიმულირებაზე, რამაც მრავალი უარყოფითი შედეგი გამოიწვია.

მოხმარების სტიმულირებამ ეკონომიკის რეალური სექტორის სათანადო განვითარების გარეშე მოიტანა ის, რომ იმპორტი ექსპორტს თითქმის 4-ჯერ აღემატება; ექსპორტის სტრუქტურაში კი 22% მსუბუქ ავტომობილებზე, ხოლო 8% ჯართზე მოდის. ამ დროს კი ცნობილია, რომ საქართველოში ავტომშენებლობა არ არსებობს, რაც იმას მეტყველებს, რომ ექსპორტის აღნიშნული 22% იმის შედეგია, რომ მეზობელ ქვეყნებში გაყიდვის მიზნით საქართველო მსუბუქი ავტომობილების შემომტანის საშუალებლო ფუნქციას ასრულებს. იმპორტისგან ექსპორტის მნიშვნელოვანი ჩამორჩენა და ის, რომ ექსპორტის 30%-ს საქართველოს ეკონომიკის რეალური სექტორის პროდუქტს არ წარმოადგენს, საქართველოს ეკონომიკის შედარებითი ჩამორჩენილობის დასტურია.

საქართველოს ეკონომიკის უფრო მოხმარებაზე, ვიდრე წარმოებაზე ორიენტაციის ფაქტს ისიც მოწმობს, რომ კერძო და სახელმწიფო მოხმარების ჯამური მოცულობა მთლიანი შიგა პროდუქტის 90%-ს შეადგენს (მაგალითად, [26, გვ. 80]).

წარმოების შედარებითი ჩამორჩენილობის პირობებში, მოხმარების ზრდას საზღვარგარეთიდან შემოდინებული ფულადი სახსრები უზრუნველყოფს: „ვარდების რევოლუციის“ პირველ წლებში ეს, უპირატესად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა (მაგალითად, [27]) და საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და მათი ნათესავების ფულადი გზავნილების ხარჯზე ხორციელდებოდა [28].



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც წესი, უძრავ ქონებაში აკუმულირდებოდა, რაც მთლიანობაში ქვეყნის შიგნით დამატებით ფინანსურ რესურსს ქმნიდა. ძირითადად საბანკო სისტემით შემოდინებული ეს ფინანსური რესურსი ბინათმშენებლობის ზრდას უწყობდა ხელს, რომელიც, შესაბამისი სახელმწიფო კონტროლის არარსებობის პირობებში, კარგად ცნობილ „საფინანსო პირამიდის“ სისტემად იქცა [29, გვ. 72].

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს მრავალმა მოქალაქემ სხვადასხვა მიზეზით დატოვა ქვეყანა. ამჟამად საქართველოს მოქალაქეთა თითქმის 20% (მილიონზე მეტი) საზღვარგარეთ ცხოვრობს (მათ შორის – 2/3 რუსეთში, დანარჩენები კი ძირითადად საბერძნეთში, თურქეთში, უკრაინაში, აშშ-სა და ესპანეთში) [26, გვ. 81]. მხოლოდ საბანკო არხებით შემოსული ფულადი გზავნილების ოდენობა ყოველწლიურად 1 მილიარდ აშშ დოლარს აღარბეხს. ეს ფული ძირითადად პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოიყენება.

დანაზოგების დაბალი მაჩვენებლიდან გამომდინარე, კომერციული ბანკების საკრედიტო რესურსების ზრდისა და შევსების ძირითად წყაროს ევროპულ საფინანსო ბაზრებზე აღებული სესხები წარმოადგენდა, რითიც, თავის მხრივ, ძირითადად საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენისა და სამშენებლო ბიზნესის დაკრედიტება ხდებოდა. მაგრამ, რადგან საქართველო საყოფაცხოვრებო ტექნიკას არ აწარმოებს, გამოდიოდა, რომ საქართველოს კომერციული ბანკების სამომხმარებლო კრედიტები ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას ამ ტექნიკის მწარმოებელ ქვეყნებში უწყობდა ხელს. მაშასადამე, საქართველოს საბანკო სექტორი მესამე ქვეყნების ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების დაკრედიტებისთვის საზღვარგარეთიდან სასესხო საშუალებების მოზიდვის ფინანსური რგოლი აღმოჩნდა [29, გვ. 72-73].

ამრიგად, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში ფინანსური რესურსების შემოდინების ზრდამ ახალი მოთხოვნა გააჩინა, თუმცა წარმოების განვითარებას ხელი ვერ შეუწყო.

გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის დაწყების შემდეგ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მკვეთრად დაეცა. ეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმაც განაპირობა. იმავდროულად, როგორც ამ ომში დაზარალებულ მხარეს, საერთაშორისო თანამეგობრობამ ფინანსური დახმარების სახით საქართველოს 5,8 მილიარდი აშშ დოლარი შესთავაზა [30], რამაც მას გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შედარებით იოლად გადაატანინა.

ეკონომიკის რეალური სექტორის არასაკმარისად განვითარების გამო უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია. 13-15%-ის ფარგლებში მერყეობს (მაგალითად, [31, გვ. 53]), თუმცა ადგილობრივი და უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მოსახლეობის სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, გამოკითხულთა 70% თავს უმუშევრად მიიჩნევს (მაგალითად, [32]). ეს პირველ ყოვლისა აიხსნება იმით, რომ სამუშაო ძალის 50-57% თვითდასაქმებულია (მაგალითად, [26, გვ. 78; 31, გვ. 53]) და მათი შრომით მოპოვებული შემოსავალი იმდენად დაბალია, რომ ადამიანები მსგავს სამუშაოს დასაქმებად ვერ აღიქვამენ.

თვითდასაქმებული მოსახლეობის 80% სოფლის მეურნეობის წილად მოდის. ამავე დროს, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მთლიანი სამუშაო ძალის 54% მთლიანი შიგა პროდუქტის 8%-ზე ოდნავ მეტს ქმნის მხოლოდ. სოფლის მეურნეობის განავითარებლად საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობების მქონე საქართველოსთვის მოცემული ვითრება ნაკლებწარმოების

აგრარულ კრიზისზე მეტყველებს. თავის მხრივ, ეს გარემოება პასუხობს კითხვას, თუ რატომ მოდის სასურსათო კალათის 80% იმპორტულ საქონელზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობა კიდევ იმ მიზეზითაც დაზარადა, რომ 2006 წლიდან რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა, ვითომ და დაბალი ხარისხის საბაბით, ქართული წარმოშობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რუსეთში შეტანა აკრძალა (მაგალითად, [33]).

ტურიზმის განვითარების სტიმულირებამ საქართველოში სურსათზე მოთხოვნილება გაზარდა, რაც აგრარული კრიზისის პირობებში მხოლოდ იმპორტის ზრდის ხარჯზე შეიძლება დაკმაყოფილდეს. მსოფლიო ეკონომიკაში აგვლაციური პროცესების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აგვლაციის ”იმპორტიც” მიმდინარეობს.

გასაკვირი არაა, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 40% ცხოვრობს, ხოლო თვითდასაქმებული მოსახლეობის 64%-ის შემოსავალი საარსებო მინიმუმს არ აღემატება [11, გვ. 61].

შექმნილ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების სწორ გააზრებას და სათანადო ორიენტირების დასახვას.

ეკონომიკური განვითარების მოდელის ძიებაში (მაგალითად, [34-36]) საქართველო ფორმალურად – რეალურად გადადგმული ნაბიჯების გათვალისწინების გარეშე – აქტიურ პროპაგანდას უწევდა ევროპულ ორიენტაციას (მაგალითად, [37]). ამის ნათელი მაგალითია მთავრობის ქცევა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის საქმეში [38]. ამასთან, პრეზიდენტ სააკაშვილის აზრით, ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო სინგაპურის მოდელის მიხედვით უნდა ვითარდებოდეს. საქართველოს ეკონომიკის ე.წ. „სინგაპურიზაციის“ გზაზე დაყენებით, სააკაშვილის მთავრობა სულ უფრო და უფრო აშორებდა საქართველოს ევროკავშირსა და, მთლიანობაში, ეკონომიკის მოწყობის ევროპულ ტიპს (მაგალითად, [39, გვ. 41; 40]).

2020 წლამდე ეკონომიკის განვითარების შესაძლო სცენარებიდან, ფორმალურად შესაძლებელია ზემოხსენებული მოხმარების მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის შენარჩუნებაზე დაფუძნებული სცენარის გამოყოფა. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, ამ სცენარის განხორციელების ალბათობა ფაქტობრივად ნულს გაუტოლდა, ვინაიდან არჩევნებში მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციურმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. საარჩევნო კამპანიისას კოალიცია „ქართული ოცნება“, აკრიტიკებდა რა სააკაშვილის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის, აქცენტს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების სტიმულირებაზე აკეთებდა მოსახლეობის ღარიბი ფენის სოციალური მხარდაჭერის პარალელურად (მაგალითად, [41]). ბიძინა ივანიშვილი, ჩაუდგა რა სათავეში მის მიერვე ფორმირებულ მთავრობას, წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას შეუდგა.

ახალი რეალიებიდან გამომდინარე უფრო რეალისტურად ბრიუსელთან მოლაპარაკებათა პროცესის დაჩქარების სცენარი გამოიყურება ევროკავშირთან თავისაუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის მიზნით. ამის იმედს ახალი ხელისუფლების მიერ ანტიმონოპოლიური რეგულირებისა (მაგალითად, [17]) და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული ტიპის სისტემის იმპლემენტაციის თაობაზე გაკეთებული განცხადებები იძლევა.

ანტიმონოპოლიური რეგულირება კონკურენციის განვითარებას შეუწყობს ხელს. ბიზნესში არაფორმალურ ჩარევაზე უართან ერთად, რაც „ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ არაერთხელ გაცხადებულა მკაფიოდ, სა-

ქართველოს ეკონომიკის დემონოპოლიზაცია ბიზნისის განვითარებისთვის დიდი ბიძგის მიმცემი გახდება.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა არაუგვიანეს 2014 წლისა სავსებით რეალისტურია. ეს კი, თავის მხრივ, საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორში კერძო ინვესტიციების მოზიდვის პირობებს შექმნის, ვინაიდან სამუშაო ძალის შედარებითი სიიაფე (ევროკავშირთან შედარებით), ბიზნისის რეგისტრაციის გამარტივებული სისტემა და არც თუ მაღალი გადასახადები (კვლავ ევროკავშირთან შედარებით), შესაძლოა საქართველოს ეკონომიკაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მასტიმულირებელი ფაქტორი აღმოჩნდეს. რადგან ამჟამად ევროკავშირის ეკონომიკა საქართველოს ეკონომიკას 2 000-ჯერ აღემატება (მაგალითად, [26, გვ. 83]), ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი საქართველოს ეკონომიკას ბაზრის მასშტაბის გასაფართოებლად ხარისხობრივად უკეთეს პირობებს შეუქმნის.

თუკი საქართველოში ევროკავშირის ბაზრისთვის განკუთვნილი მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება დაიწყება, მაშინ, 2008 წელს თურქეთთან მიღწეული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის გათვალისწინებით [42], წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა თურქულ ბაზარსაც გაუჩნდება.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების მოცემული სცენარი, რომელიც ეფუძნება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმსა და ევროკავშირსა და თურქეთში ექსპორტის ზრდას, საკმაოდ რეალისტურად გამოიყურება.

გამომდინარე იქიდან, რომ შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ზემოხსენებული ქარტიის ხელმოწერიდან ოთხი წლის თავზე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის თაობაზე მოლაპარაკებათა პროცესი ჯერაც არ დაწყებულა, ასე ჩანს, რომ შესაბამისი შეთანხმება საუკეთესო შემთხვევაში 2020 წლისთვის თუ იქნება მიღწეული, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკაზე ამ ჰიპოთეტური შეთანხმების ზეგავლენა 2020 წლისთვის პრაქტიკულად უმნიშვნელო იქნება.

ნაკლებად ექვემდებარება პროგნოზებს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების სრული მასშტაბით აღდგენის შესაძლებლობა [43, გვ. 41], ვინაიდან ეს საკითხი უფრო პოლიტიკური, ვიდრე ეკონომიკური ხასიათისაა [44, გვ. 75-76]. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოსა და რუსეთის წევრობა ხელაღმართვით არ წარმოადგენს საკმარის პირობას ამ ქვეყნებს შორის ვაჭრობის საკითხების მოსაგვარებლად [45, გვ. 74]. ამ ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების მოგვარების გათვალისწინება 2020 წლისთვის საქართველოს ეკონომიკის განვითარების პროგნოზში პრაქტიკულად შეუძლებელია.

რუსეთთან სრულმასშტაბიანი სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, თავის მხრივ, აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი და ჯერ კიდევ 1992 წლის აგვისტოში გაჩერებული რუსეთსა და სომხეთთან საქართველოს დამაკავშირებელი ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის მიზანშეწონილობის საკითხს აქტუალურს ხდის (მაგალითად, [46, გვ. 189-191]).

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევისა და მის ბაზაზე თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოების რეალისტურ სცენარზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2013-2020 წლებში საქართველოში ეკონომიკის საშუალო ზრდა 5-10%-ს შეადგენს. ამასთან, უფრო პესიმისტური – საშუალოდ 5%-იანი ეკონომიკური ზრდა – შესაძლოა გლობალური კრიზისული მოვლენებით, ხოლო უფრო ოპტიმისტური – საშუალოდ 10%-იანი ზრდა – მსოფლიო ეკონომიკის სტაბილური განვითარებით იყოს განპირობებული. ეს კი ნიშნავს, რომ მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის

ერთ სულზე 2020 წლისთვის 2011 წელთან შედარებით საუკეთესო შემთხვევაში 2,3-ზე მეტად გაიზარდება და მოსახლეობის ერთ სულზე 7 395,4 აშშ დოლარს შედაგენს (2011 წელს ეს მაჩვენებელი 3 215,4 აშშ დოლარს გაუტოლდა [47]).

საქართველოს ეკონომიკის შედარებითი უპირატესობების გამოსავლენად ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მისი ძირითადი სექტორებია: ტრანსპორტირება, უწინარეს ყოვლისა – ენერგეტიკული რესურსებისა, აგრეთვე – სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა, ჰიდროენერგეტიკა, ტურიზმი (მაგალითად, [26, გვ. 83; 48, გვ. 55]).

ბუნებრივია, რომ ზემოხსენებული ეკონომიკური ზრდა სწორედ რომ ამ სექტორების ხარჯზე მიიღწევა, სადაც საქართველო შედარებით უპირატესობას ფლობს.

ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება, ევროპული ტიპის ახალი შრომითი კანონმდებლობის მიღება, აგრეთვე სათანადო სოციალური პოლიტიკა – ხელს შეუწყობს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

მსოფლიო ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონის შესახებ მსოფლიო ბანკის მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2020 წლისთვის ეკონომიკური ვითარება საქართველოში თითქმის ისეთივე იქნება, როგორც იგი ამჟამადაა ევროკავშირის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ბულგარეთი და რუმინეთი, მაგრამ უარესი, ვიდრე ლატვიასა და ლიტვაში [47].

წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე შესაძლებელია საქართველოს მთავრობისათვის შემდეგი რეკომენდაციების ფორმულირება:

- საქართველოს მთავრობისთვის პირველი რიგის ამოცანა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა და ყველა იმ პოტენციური შესაძლებლობის ამოქმედებაა, რასაც ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია მოიტანს. ამისათვის საქართველოს მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ ყურადღება ანტიმონოპოლიური რეგულირების ევროპული მოდელის პირობებში წარმოების განვითარებაზე, მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და შრომით ურთიერთობებზე უნდა გაამახვილოს.
- აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქარტიის ფარგლებში, აუცილებელია აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევაზე მოლაპარაკებათა პროცესის დაწყება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პირობებთან არ შევიდეს წინააღმდეგობაში. ამისთვის ბრიუსელსა და ვაშინგტონს შორის შესაბამისი კოორდინაცია გახდება საჭირო ამ პროცესში თბილისის აქტიური ჩართვით.
- საქართველოს ახალმა მთავრობამ რუსეთის ბაზარზე ქართული ფირმების დაბრუნებას ხელი არ უნდა შეუშალოს. თვით ფირმებმა კი რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის სამსახურს უნდა წარუდგინონ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი აუცილებელი დოკუმენტაცია, რომელსაც უნდა დაურთონ ამ საქონლის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბაზარზე (აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, ჩინეთი, იაპონია და სხვ.) დაშვების მოწმობები. რუსეთის ბაზარზე მათი პროდუქციის დაშვებაზე მორიგი უარის შემთხვევაში კი საქართველოს მთავრობას ამ ფირმების ინტერესების დაცვა უკვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მოუწევს.

საქართველოს მთავრობის მიერ ამ რეკომენდაციების გათვალისწინება საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაფართოებას შეუწყობს ხელს, რაც

ქვეყნის საციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. იმავედროულად, ყურადსადებია, რომ მოცემული რეკომენდაციების ხორცშესხმა რეალისტურია, როგორც საქართველოში არსებული ყველა შესაბამისი ფაქტორის, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ჩვენი ქვეყნის დასახმარებლად გაცხადებული მზაობის გათვალისწინებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Papava V. *Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After*. New York: Nova Science Publishers, 2013.
2. Папава В. “К вопросу о первом поколении посткоммунистических реформ в экономике грузии (ретроспективный анализ)”. *Кавказ и глобализация*, 2011, Том 5, Вып. 3-4.
3. Papava V. “The Georgian Economy: Problems of Reform”. *Eurasian Studies*, 1995, Vol. 2, No. 2.
4. ხადური ნ. “ეკონომიკური სისტემა საქართველოში”. წიგნში *ეუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში*. თბილისი: ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი.
5. Какулия М. “До и после введения лари: национальная валюта Грузии в ретроспективе”. В кн.: *Центральная Евразия: национальные валюты*, под ред. Э.М. Исмаилова. Стокгольм: SA&CC Press, 2008.
6. Papava V. “The Georgian Economy: From ‘Shock Therapy’ to ‘Social Promotion’”. *Communist Economies & Economic Transformation*, 1996, Vol. 8, No. 2.
7. Wang J.-Y. “From Coupon to Lari: Hyperinflation and Stabilization in Georgia.” *Caucasica. The Journal of Caucasian Studies*, 1998, Vol. 1.
8. Wellisz S. *Georgia: A Brief Survey of Macroeconomic Problems and Policies*. Studies & Analyses, Working Papers, No. 87. Warsaw: CASE, 1996.
9. Khaduri N. “Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia”. *Problems of Economic Transition*, 2005, Vol. 48, No. 4.
10. Папава В. “Об основных макроэкономических индикаторах «Революции роз» в Грузии”. *Общество и экономика*, 2004, № 7-8.
11. მესხია ი. “ცხოვრების დონე და სიღარიბე საქართველოში”. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, 2008, მაისი.
12. *Fighting Corruption in Public Services. Chronicling Georgia’s Reforms*. Washington DC: The World Bank, 2012.
13. Gurgenzidze L. “Georgia’s Search for Economic Liberty: A Blueprint for Reform in Developing Economies”. *American Enterprise Institute for Public Policy Research, Development Policy Outlook*, 2009, No. 2, June, <http://www.aei.org/outlook/foreign-and-defense-policy/regional/europe/georgias-search-for-economic-liberty>.
14. Udensiva-Brenner M. “Kakha Bendukidze Analyzes Georgia’s Economic Strategy: How Georgia Handled Its Economy After the War and the Economic Crisis”. *At The Harriman Institute*, 2010, April 7, <http://www.harrimaninstitute.org/MEDIA/01716.pdf>.
15. *The Big Eviction. Violations of Property Rights in Georgia*. Tbilisi: Human Rights Information and Documentation Center, 2008, <http://www.humanrights.ge/admin/editor/uploads/files/Big%20Eviction.pdf>.
16. რიმპლი პ. *ვის ეკუთვნოდა საქართველოს 2003-2012 წლებში*. თბილისი: საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 2012.

- <http://transparency.ge/post/report/tsignis-%E2%80%9Evis-ekutvnoda-sakartvelo-2003-2012%E2%80%9C-prezentatsia>.
17. კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში. თბილისი: საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 2012, <http://transparency.ge/post/report/tig-aqveynebs-kvlevas-konkurenciaze-sakartveloshi>.
  18. Anjaparidze Z. “Georgian Government Questioned about Secret Funds”. *Eurasia Daily Monitor, The Jamestown Foundation*, 2006, Vol. 3, Issue 71, April 12, [http://www.jamestown.org/single/?no\\_cache=1&tx\\_ttnews%5Bsword%5D=8fd5893941d69d0be3f378576261ae3e&tx\\_ttnews%5Bany\\_of\\_the\\_words%5D=Anjaparidze%2C%20Zaal&tx\\_ttnews%5Bpointer%5D=1&tx\\_ttnews%5Btt\\_news%5D=31572&tx\\_ttnews%5BbackPid%5D=7&cHash=864959a53b](http://www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Bsword%5D=8fd5893941d69d0be3f378576261ae3e&tx_ttnews%5Bany_of_the_words%5D=Anjaparidze%2C%20Zaal&tx_ttnews%5Bpointer%5D=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=31572&tx_ttnews%5BbackPid%5D=7&cHash=864959a53b).
  19. გუჯარაიძე ნ., ბაეზაძე კ., გუჯარაიძე კ., მჭედლიშვილი რ., და კახაბერი რ. *სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა ანუ “პრივატიზება ქართულად”*. თბილისი: მწვანე ალტერნატივა, ღია საზოგადოება – საქართველო, 2007, <http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Privatizeba-Geo7.pdf>.
  20. გუჯარაიძე ნ. *სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა, ანუ “პრივატიზაცია ქართულად” – 2*. თბილისი: მწვანე ალტერნატივა, ღია საზოგადოება – საქართველო, 2010, [http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/PRIVATIZATION\\_REPORT\\_2010.pdf](http://www.greenalt.org/webmill/data/file/publications/PRIVATIZATION_REPORT_2010.pdf).
  21. პაპავა ვ. “პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია”. წიგნი: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი 6*. თბილისი, “სიახლე”, 2008.
  22. დე ვაალი თ. *საქართველოს არჩევანი. მომავლის დაგეგმვა გაურკვევლობის პერიოდში*. ვაშინგტონი: Carnegie Endowment for International Peace, 2011, [http://carnegieendowment.org/files/georgias\\_choices\\_georgian.pdf](http://carnegieendowment.org/files/georgias_choices_georgian.pdf).
  23. *Extraordinary European Council, Brussels. 1 September, 2008, 12594/08. Presidency Conclusions*. Brussels: Council of the European Union, 2008, [http://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms\\_Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf](http://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf).
  24. *Georgia: Letter of Intent, Memorandum of Economic and Financial Policies, and Technical Memorandum of Understanding*. September 9. Washington, DC: The International Monetary Fund, 2008, <http://www.imf.org/External/NP/LOI/2008/geo/090908.pdf>.
  25. “აშშ-საქართველოს ქარტია სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ”. *Civil.Ge*, 9 იანვარი, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=20340>.
  26. სამსონი ი. “საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები საშუალოვადიან პერიოდში”. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, 2008, თებერვალი.
  27. შმიდტი მ. “პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში: მოიტანს თუ არა შედეგს ინვესტიციების ხელშეწყობის აქტიური პოლიტიკა”. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, 2007, იანვარი.
  28. კაკულია მ. “შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები საქართველოში: მოცულობა, სტრუქტურა და სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი”. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, 2008, ოქტომბერი.
  29. პაპავა ვ. *ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე)*. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

30. Papava V. “Post-War Georgia’s Economic Challenges”. *Central Asia-Caucasus Analyst*, 2008, Vol. 10, No. 23, November 26, <http://www.cacianalyst.org/?q=node/4991>.
31. თოქმაზიშვილი მ. “შრომის ბაზრის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური ასპექტები საქართველოში”. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, 2007, ივლისი.
32. “Unemployment the Major Problem in Georgia.” *The Messenger*, 2010, May 10 [http://www.messenger.com.ge/issues/2102\\_may\\_10\\_2010/2102\\_econ\\_one.html](http://www.messenger.com.ge/issues/2102_may_10_2010/2102_econ_one.html).
33. Livny E., Ott M., and Torosyan K. “Impact of Russian Sanctions on the Georgian Economy”. *Georgia in Transition*, L. King, and G. Khubua, eds. Frankfurt am Main: Peter Lang, 2009.
34. Beridze T. “The National Economic Model and Globalization (the Case of Georgia)”. *Georgia in Transition*, L. King, and G. Khubua, eds. Frankfurt am Main: Peter Lang, 2009.
35. Gogolashvili K. “In Search of Georgia’s Economic Model”. *South Caucasus – 20 Years of Independence*. Tbilisi: Friedrich-Ebert-Stiftung. 2011, <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/08706.pdf>.
36. სამსონი ი. “განვითარების გზის ძიება: საქართველოს ამოცანები”. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, 2006, № 4, მარტი.
37. Papava V., and Tokmazishvili M. “Becoming European. Georgia’s Strategy for Joining the EU”. *Problems of PostCommunism*, 2006, Vol. 53, No. 1.
38. Papava V. “The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choice?” *Georgian International Journal of Science and Technology*, 2008, Vol. 1, Issue 1.
39. Исраелян Я. “Экономика Южного Кавказа: сближение с Европой?”. *Кавказский акцент*, 2010, № 11.
40. Максоева В. “Не Сингапур, а Кипр!” *Кавказский акцент*, 2010, № 10.
41. Jones S. F. *Democracy in Georgia: Da Capo?* Cicero Foundation Great Debate Paper, 2013, No. 13/02, April, [http://www.cicerofoundation.org/lectures/Stephen\\_Jones\\_Georgia.pdf](http://www.cicerofoundation.org/lectures/Stephen_Jones_Georgia.pdf).
42. Tsikhelashvili, K., Chkhutishvili I., Shergelashvili T., and Geybullayeva A. *Georgian–Turkish Free Trade Agreement 2008: Implications Two Years After*. Tbilisi: The European Initiative Liberal Academy Tbilisi, 2011, <http://iliablog2011.files.wordpress.com/2011/03/attachment.pdf>.
43. სილაევი ნ., და სუშენცოვი ა. *საქართველო არჩევნების შემდეგ და რუსულ-ქართული ურთიერთობების პერსპექტივები*. მოსკოვი: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი (უნივერსიტეტი), [http://www.mgimo.ru/georgiareport/i/Silaev-Sushentsov\\_MGIMO-Georgia-Report\\_Geo.pdf](http://www.mgimo.ru/georgiareport/i/Silaev-Sushentsov_MGIMO-Georgia-Report_Geo.pdf).
44. Папава В. “Экономическая составляющая российско-грузинского конфликта.” *Кавказ и глобализация*, 2012, Том 6, Вып. 1.
45. პაპავა ვ. “საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობათა ევოლუცია პოსტსაბჭოთა პერიოდში: განვლილი გზა და პერსპექტივები”. კრებულში: *რუსეთი და საქართველო: გამოხადების ძიებაში*. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2011, [http://www.gfsis.org/media/download/library/articles/RUSSIA\\_AND\\_GEORGIA\\_SEARCHING\\_THE\\_WAY\\_OUT\\_Georgian\\_Publication.pdf](http://www.gfsis.org/media/download/library/articles/RUSSIA_AND_GEORGIA_SEARCHING_THE_WAY_OUT_Georgian_Publication.pdf).
46. ისმაილოვი ე., და პაპავა ვ. *ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები*. თბილისი, “დიოგენე”, 2007.

47. GDP Per Capita (Current US\$). *The World Bank*, 2013, <http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.PCAP.CD>.
48. პაპაფილიძე ა. “მდგრადი ეკონომიკური ზრდის რისკები საქართველოში”. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, 2008, თებერვალი.

**ვლადიმერ პაპაფი**  
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, პაატა გუგუშვილის სახელობის  
ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*  
**თამარ თაფლაძე**  
*პაატა გუგუშვილის სახელობის  
ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი*

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი  
ტენდენციებისა და კონსექტივის შესახებ**

**რეზიუმე**

საქართველომ, თავისი დამოუკიდებლობის განმავლობაში ვერ შეძლო ისეთი ეკონომიკური სისტემის შექმნა, რომელიც სატბილური ეკონომიკური განვითარების საფუძველი იქნებოდა. იმედები ვერც იმ რეფორმებმა გაამართლა, რომლებიც “ვარდების რევოლუციის” შემდეგ გატარდა. შედეგად საქართველოში ჩამოყალიბდა ღარიბი ქვეყნის მომხმარებლური ეკონომიკის მოდელი. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების ოპოზიციური ძალების მოგების შემდეგ ეკონომიკის კონკურენტუნარიანი რეალური სექტორის შესაქმნელად და გასავითარებლად ქვეყანას კიდევ ერთი შანსი მიეცა. ამისათვის აუცილებელია თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა ევროკავშირთან (და შედარებით შორეულ პერსპექტივაში აშშ-თან), და რუსეთთან ვაჭრობის განახლება. ამ ამოცანების რეალიზაცია ახალი მთავრობის მხრიდან მიზანმიმართულ ქმედებებს მოითხოვს.



**Владимир Папава**

*доктор экономических наук, профессор,  
член-корреспондент Нацландьной академии наук Грузии,  
главный научный сотрудник Института экономики имени Паата Гугушвили*

**Тамара Тапладзе**

*научный сотрудник Института экономики имени Паата Гугушвили*

## **ОБ ОСНОВНЫХ ТЕНДЕНЦИЯХ И ПЕРСПЕКТИВАХ ЭКОНОМИЧЕСКОГО РАЗВИТИЯ ГРУЗИИ**

### **Резюме**

За время своей независимости Грузии так и не удалось создать такую экономическую систему, которая была бы основой для стабильного экономического развития. Не оправдали ожидания и реформы, проведенные после «Революции роз». В итоге в Грузии сложилась модель потребительской экономики бедной страны. После победы на парламентских выборах октября 2012 года оппозиционных сил, у страны появился еще один шанс создания и развития конкурентноспособного реального сектора экономики. Для этого необходимо достижение режимов свободной торговли с ЕС (и чуть в отдаленной перспективе с США), и возобновление торговли с Россией. Реализация этих задач требует целенаправленных действий нового Правительства.

**Vladimer Papava**

*Doctor of Economic Sciences, Professor,  
Principal Research Fellow at the Paata Gugushvili Institute of Economics*

**Tamar Tapladze**

*Researcher at the Paata Gugushvili Institute of Economics*

## **ON THE MAIN TRENDS AND PROSPECTS OF THE GEORGIA'S ECONOMIC DEVELOPMENT**

### **Summary**

During its independence Georgia could not develop such an economic system that would serve as the basis for sustainable economic development. Neither the reforms conducted after the Rose Revolution have met the expectations. In a nutshell a consumer economy, typical for poor countries, has emerged in Georgia. After the opposition won the Parliamentary elections of October 2012 the country has been presented with still another change to develop the economic sector based on real competition. For this to be archived it is indispensable to achieve free trade with EC (and with the USA, which is a remote possibility) and restore trade with Russia. To accomplish these objectives the new Government needs to channel its targeted efforts to this end.

**შალვა გოგიაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი*

**სამართლებლო კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის  
ბანკოთარების ქრონოლოგია**

დამოუკიდებლობის მიღწევისა და საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის საწყის ეტაპზევე საქართველოში დღის წესრიგში დადგა განვითარების ეკონომიკური მოდელის შერჩევა და სათანადო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი კონცეფტუალური მიმართულებების ჩამოყალიბება. ბუნებრივია, მათი პრაქტიკული გამოხატულება და სისტემური, თანდათანობითი რეალიზაცია მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დაჩქარებული ფორმირებით, აღმასრულებელი ინსტიტუტების შექმნით და საკანონმდებლო მოთხოვნების სამეურნეო ცხოვრებაში სასწრაფო დანერგვითა და მისი თანამიმდევრული განხორციელებით იყო შესაძლებელი.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ განვითარების თანამედროვე ეკონომიკური მოდელების ძირითადი განსხვავებები საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში სახელმწიფოს განსხვავებული ადგილითა და როლით არის განპირობებული; მიუხედავად მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებაში კონკურენციის პრინციპების უალტერნატივო უპირატესობისა საბაზრო ეკონომიკის ყველა მოდელისათვის, ანგლო-საქსური მოდელები, ეყრდნობიან რა “ლიბერალური ბაზრის” კონცეფციას, მაქსიმალურად ათავისუფლებენ საბაზრო მექანიზმს სახელმწიფო ჩარევებისაგან (რაც არ ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან ძირითადი, მათ შორის ეკონომიკური შინაარსის ფუნქციების შესრულებაზე უარის თქმას) და ეკონომიკის განვითარებაში ე.წ. სტიქიური, ანუ თვითრეგულირების მექანიზმისათვის მეტი “ნდობის” გამოცხადებას უჭერენ მხარს. რაც შეეხება საბაზრო ეკონომიკის ე.წ. გერმანულ-შვედურ, ანუ სოციალურად ორიენტირებულ მოდელებს, სახელწოდებიდან გამომდინარეც ჩანს, რომ სახელმწიფო მაქსიმალურად ცდილობს მოახდინოს საბაზრო მექანიზმის ნეგატიური შედეგების კორექტირება საზოგადოების სხვადასხვა ფენის (არა მარტო კონკურენციაში გამარჯვებულთა, არამედ საზოგადოების სოციალურად შედარებით სუსტი და ნაკლებად დაცული ნაწილის) სოციალური ინტერესების გათვალისწინებითა და სასარგებლოდ. ცხადია, ამ შემთხვევაშიც არ ხდება საბაზრო ეკონომიკის მთავარი მასტიმულირებელი ბერკეტის - კონკურენციის მნიშვნელობის იგნორირება.

სხვაგვარად შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის მართვის წარმოდგენაც კი, რადგან ამ უკანასკნელის ერთ-ერთი უმთავრესი უპირატესობა ეკონომიკური განვითარების ადმინისტრაციულ-დირექტიულ მოდელთან მიმართებაში სწორედ კონკურენციული წესრიგის არსებობაში გამოიხატება. ჯანსაღი კონკურენცია განაპირობებს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას და საზოგადოებრივი კეთილდღეობის პოტენციური “დანაკარგების” მინიმიზაციას. ამდენად, ამ უკანასკნელის მხარდაჭერა ნებისმიერი, საბაზრო ეკონომიკური მოდელის მქონე სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს და წარმოადგენს კიდევაც. ვინაიდან კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა არის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საწინდარი, საბაზრო ურთიერთობათა ძირითადი შემადგენელი ელემენტი, რომლის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი ეკონომიკური არჩევანის განხორციელება, სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნა-მიწოდების რაციონალური დაბალანსება და მომხმარებლისათვის მისა-

დები ფასის ფორმირება, კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა, კონკურენციის დაცვა და ანტიკონკურენციული ქმედებების გამოვლენა და აღკვეთა არის სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ამოსავალი პრიორიტეტი.

საზოგადოებას, რომელიც აშენებს თავისუფალ ეკონომიკურ ურთიერთობებს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი სწორედ საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე და სათანადო სტანდარტული ნორმებისა და დებულებების გათვალისწინებით ფორმირებული კონკურენციის პოლიტიკაა. ამასთან, საყოველთაოდაა აღიარებული, რომ კონკურენცია და კონკურენციული გარემო კერძო საკუთრებასთან ერთად წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების პირობებში მთავარ მასტიმულირებელ ძალას. ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზროზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში კერძო საკუთრებითი ურთიერთობების ფორმირებისათვის დაიწყო სახელმწიფო ქონების დანქარებული პრივატიზების პროცესი (რიგ შემთხვევებში დაუსაბუთებელი და ხანდახან ბოლომდე გაუახრებელიც კი), რომელიც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა საბინაო ფონდისა და საზოგადოებრივი კვებისა და მომსახურების სხვა, მცირე ზომის ობიექტების დასაქმებულებზე უსასყიდლოდ გადაცემის მეშვეობით, საყოველთაო ვაუჩერიზაციით, იჯარა-გამოსყიდვისა და აუქციონის სხვადასხვა (მათ შორის ნულოვანი აუქციონის) მეთოდებით; ცალკეულ შემთხვევებში გამოყენებულ იქნა ქონების პირდაპირი მიყიდვის (ზოგჯერ სიმბოლურ ფასადაც) ხერხიც. არ შეეხერხებოდა რა საქართველოში ჩატარებული პრივატიზების მეთოდების და შესაბამისი პროცედურებისა და შედეგების შეფასებაზე, რაც თავისთავად დამოუკიდებელი კვლევის სფეროს წარმოადგენს და უადრესად საინტერესო, აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა ყველა, განსაკუთრებით კი პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზების პროცესმა (უამრავი ნაკლოვანების მიუხედავად) შეძლო მთავარი მიზნის მიღწევა – კერძო საკუთრებისა და მრავალი კერძო მესაკუთრის ფორმირება. ეს თავის მხრივ ავტომატურად ქმნიდა საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელ კომპონენტს – კონკურენციას. აღნიშნულმა განაპირობა ის ფაქტი, რომ იმ უპირველესი ნორმატიულ-საკანონმდებლო აქტების ნუსხაში, რომლებიც საქართველოში 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ, ჯერ კიდევ საპარლამენტო საქმიანობის აღდგენამდე სახელმწიფო საბჭომ დანქარებულად მიიღო უკვე 1992 წლის დასაწყისში, იყო დეკრეტი “მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის შესახებ”, რომელიც 1996 წელს საკონკურენციო კანონის მიღებამდე ასრულებდა კონკურენციული ურთიერთობების განმსაზღვრელი და მარეგულირებელი დოკუმენტის როლს. ეს დეკრეტი, ხოლო 1996 წლიდან კანონი “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” განსაზღვრავდნენ ქვეყნის კონკურენციული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საკონკურენციო გარემოს ფორმირებისა და დაცვის მექანიზმს, უზრუნველყოფდნენ მომხმარებელთა ფართო წრის ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებას. მათ გარკვეული როლი ეკისრებოდათ პრივატიზების პროცესის პარალელურად ეკონომიკის დემონოპოლიზების განხორციელებაში.

ვინაიდან საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობის შემუშავებისას გათვალისწინებულ იყო ამ სფეროში არსებული მსოფლიო გამოცდილება, მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისა, რომელთა შესახებ მიუთითებდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები, მთლიანობაში ითვლებოდა პროგრესულ კანონმდებლობად. სამწუხაროდ, 2005 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო და ინსტიტუციურმა რეფორმამ კონკურენციის

სფეროში იგნორირება მოახდინა რიგი უმნიშვნელოვანესი საკონკურენციო ნორმებისა და დებულებებისა, რამაც მიახლოების ნაცვლად ქვეყნის საკონკურენციო კანონმდებლობა ფაქტობრივად დააშორა ევროკანონმდებლობას, რომელთან ჰარმონიზაციაც საქართველოს ოფიციალურად დეკლარირებულ პრიორიტეტად და მიზნობრივ კრიტერიუმად აქვს მიჩნეული. ეს ხეება უპირველეს ყოვლისა “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონს, რომელსაც ჩარჩო-კანონის როლი აკისრია საქართველოს კონკურენციულ კანონმდებლობაში როგორც იერარქიული, ისე ფუნქციონალური დატვირთვის თვალსაზრისით. 2005წელს მიღებული მთავარი საკონკურენციო კანონი, სამწუხაროდ არ არეგულირებდა საკონკურენციო სამართლის ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად საკითხებს, როგორცაა:

- დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
- კონკურენციის შემზღუდავი ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები და სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებები;
- ეკონომიკურ აგენტთა შერწყმები;
- განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა (ბუნებრივი მონოპოლიები) კომპეტენციის სფეროები;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა.

აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ბევრ ქვეყანაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოადგენს ცალკე კანონის რეგულირების სფეროს მაშინ, როცა საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობა საერთოდ იგნორირებას უკეთებდა და დეფინიციის დონეზეც კი არ განსაზღვრავდა მას.

მნიშვნელოვანია ცხადად განისაზღვროს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის არსი და შედეგებიდან გამომდინარე მისი საკანონმდებლო აღკვეთის აუცილებლობის შესახებ. ცალსახად შეიძლება მტკიცება, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენცია წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის (აგენტების) მიზანმიმართულ ქმედებებს სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაუსაბუთებელ (დაუმსახურებელ) უპირატესობათა მოსაპოვებლად; ეს ქმედებები ეწინააღმდეგებიან მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს, სამეურნეო ბრუნვის წესებს, წესიერების, გონივრულობის და სამართლიანობის მოთხოვნებს და აყენებენ (შეიძლება მიაყენონ) ზარალს სხვა კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს ან მათ საქმიან რეპუტაციას.

აუცილებელია ითქვას, რომ სამეურნეო საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფის, დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების გზით სავსებით დასაშვებია, ნორმალური და აუცილებელი მოვლენაა კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვება. უფრო მეტიც, ეს უპირატესობანი განპირობებულია სასაქონლო ბაზარზე კონკურენციული მექანიზმის არსებობით. რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ დაუმსახურებლად უპირატესობათა მიღწევას, სახელმწიფო მათ წინ უნდა გადაედლოს სამართლებრივი და ორგანიზაციული ბარიერებით.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენცია – ესაა სპეციფიური სამართლებრივი ინსტიტუტი. იგი არ წარმოადგენს მონოპოლიური საქმიანობის ფორმას, არ უკავშირდება საბაზრო ძალაუფლების არაჯეროვნად (ბოროტად) გამოყენებას და ძირითადად ახასიათებს კონკურენტების ქცევას ეთიკური ნორმების თვალსაზრისით.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ეკონომიკური შედეგები, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში არაა ისე ცხადად გამოხატული, როგორც მონოპოლიური საქმიანობისა, უკავშირდება კონკურენციის “ხარისხის” გაუარესებას და როგორც შედეგი ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის შემცირებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სადაც არსებობს კონკურენცია, იქ შესაძლებელია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტების არსებობაც. აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენა ცნობილია ყველა ქვეყანაში იმის მიუხედავად, თუ საბაზრო ურთიერთობების რა “სტაჟი” გააჩნიათ ამ ქვეყნებს და რამდენად დიდი ხანია მიმდინარეობს კონკურენციულ კანონმდებლობათა რეალიზაცია.

საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ეკონომიკურ შეჯიბრებაში (კონკურენციაში) უნდა იმარჯვებდეს ეკონომიკური აგენტი, რომელიც აწარმოებს ყველაზე უფრო სასარგებლო (იმ დროისთვის საჭირო) პროდუქციას მომხმარებლისათვის ყველაზე უფრო მისაღებ (მომგებიან) პირობებში. ეს კი მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ეკონომიკური აგენტი დაიცავს კანონმდებლობით განსაზღვრულ წესებს. მაგრამ სპორტული შეჯიბრების ანალოგიურად, აქაც შეიძლება წარმოიქმნას ცდუნება აღნიშნული წესების არად ჩაგდება და მათი გვერდის ავლისა.

ეკონომიკურ კონკურენციაში “არბიტრის” ფუნქციას, როგორც წესი მომხმარებელი ასრულებს თავისი არჩევანით. მაგრამ სიტუაციის გართულების გამო იგი ხშირად ჯეროვნად ვერ ახერხებს როლის შესრულებას და თავადვე რჩება მოტყუებული, რამდენადაც ყოველთვის არ შეუძლია დამოუკიდებლად ამოიცნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა ესაჭიროება როგორც მომხმარებელს, ისე პატიოსან კონკურენტს, რომელიც ემორჩილება კანონმდებლობით დადგენილ “თამაშის წესებს”. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ნებისმიერი ფორმის გამოვლინების თავიდან აცილება და აღკვეთა ემსახურება არა მარტო კონკრეტული მომხმარებლისა და მეწარმის ინტერესებს, არამედ საერთოდ მთელი საზოგადოების ინტერესებს და საზოგადოდ პროგრესის სტიმულირებას.

სხვადასხვა ქვეყნების კონკურენციული კანონმდებლობების და კონკურენციის სფეროში მოღვაწე ექსპერტთა შეფასებით ეკონომიკური აგენტის ქმედება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აქტად ითვლება, თუ ეს ქმედება:

- მიმართულია სამეწარმეო საქმიანობაში უპირატესობის მისაღებად;
- ეწინააღმდეგება ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საქმიანი ბრუნვის, წესიერების, გონივრულობისა და სამართლიანობის აღიარებულ ნორმებს;

-მატერიალურ ზიანს აყენებს (შეუძლია მიაყენოს) სხვა ეკონომიკურ აგენტებს – კონკურენტებს ან ჩრდილს აყენებს მათ საქმიან რეპუტაციას.

წესიერებისა და სამართლიანობის ნორმები სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების სოციალური და მორალურ-ეთიკური პრინციპების გამოხატვა. ამდენად, ისინი ერთმანეთისაგან შეიძლება განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნებში, არამედ ზოგჯერ ერთი ქვეყნის შიგნითაც. ამასთან, ეს ნორმები შეიძლება იცვლებოდნენ დროთა განმავლობაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის განსაზღვრება ნაკლებად ეფექტურია ბაზარზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ობიექტური შეფასებისათვის. არსებობს პარამეტრების რიგი, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება მკაფიოდ განისაზღვროს, როგორი პრაქტიკა შეიძლება იქნეს განხილული “არაკეთილსინდისიერი“-ს და როგორი “კეთილსინდისიერი“-ს რანგში. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, როგორც საბაზრო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირების საფუძვლების საწინააღმდეგო მოვლენა, კანონით აკრძა-

ლულია ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა.

ანალოგიურად, საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობით, კერძოდ, “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით იკრძალებოდა არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავდა მისი გამოვლინების სახეებს:

-კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით საქონლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც ადრესატს უქმნის არასწორ წარმოდგენას და ამით უბიძგებს გარკვეული სამეურნეო ქმედებისაკენ;

-ეკონომიკური აგენტის მიერ კონტრაგენტის შეცდომაში შეყვანის მიზნით გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

-კონკურენციაში უპირატესობის მიღწევა დემპინგური ფასების გამოყენებითა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის გზით;

-ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტირება;

-კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ნიშნისა და საფირმო დასახელების თვითნებურად გამოყენება;

-კონკურენტის ან მესამე პირის სასაქონლო ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული გაფორმების მითვისება;

-სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, სავაჭრო ინფორმაციისა და კომერციული საიდუმლოების მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება მისი მფლობელის თანხმობის გარეშე.

სამწუხაროდ, “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” კანონის გაუქმების შემდეგ (2005წ.), საქართველოს ახალი ჩარჩო-კანონი კონკურენციის სფეროში “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” საერთოდ არ “სცნობდა” არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და უფრო მეტიც, კონკურენციულ კანონმდებლობაში მისი დეფინიციაც კი არ არსებობდა. არადა, მკაცრი კონკურენციული ბრძოლის პირობებში სასაქონლო ბაზრის მხოლოდ ეთიკური კრიტერიუმებისა და საზოგადოებრივი შეფასების იმედად დატოვება, მით უმეტეს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც შედარებით დაბალია საზოგადოების სოციალური აქტივობა და სასამართლოთა დამოუკიდებლობის დონე, სრულიად მიუღებელია.

ამასთან, ცნობილია, რომ საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობა, გარდა აღნიშნული კანონისა, შედგება სხვა მრავალი კანონის, საკანონმდებლო აქტისა და მათი ცალკეული ნაწილებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ სფეროში კონკურენციული ურთიერთობების დაცვისა და განვითარების თეორიულ საკითხებსა და ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმს. კერძოდ, 2005 წლის 2 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი “ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ”, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი (IV თავი) ეთმობა “ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება”-ს; კანონის მითითებული ნაწილი მოიცავს კონკურენციის თეორიასა და პრაქტიკაში საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვის საკმაოდ აპრობირებულ და სრულყოფილ მექანიზმს, რომელსაც ასევე ეყრდნობა ევროკავშირის კონკურენციული კანონმდებლობა. რაც შეეხება კომუნიკაციების სფეროში კონკურენციული გარემოს ფორმირების მიზნით საკანონმდებლო აქტებით დადგენილი ზომების განხორციელებას, იგი ევალება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რომლის უფლებამოსილება სხვა მარეგულირებელ

კომისიებთან ერთად განსაზღვრულია კანონით “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ” (მიღებულია 13.09.2002წ.). ეს კანონი ადგენს კონკურენციის დაცვისა და განვითარების მიმართულებით შესაბამის სფეროებში მარეგულირებელი ორგანოების უფლებებსა და ვალდებულებებს; ინფრასტრუქტურული დარგები, სადაც კონკურენცია შეზღუდულია (ბუნებრივად) და სადაც ძალისმიერი, ან სხვა მეთოდებით კონკურენციის დამკვიდრება აუცილებლად გამოიწვევს უაუფფექტს რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ჯამური კეთილდღეობის ზრდის ასპექტში, სახელმწიფოს მხრიდან ექვემდებარებიან მუდმივ კონტროლსა და რეგულირებას, პირველ რიგში კი ტარიფების დადგენა-დამტკიცებისა და განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის მიერ ინფრასტრუქტურის სფეროში არადისკრიმინაციული პირობებით სხვა ეკონომიკური აგენტების თავისუფალი დაშვების (გატარების) თვალსაზრისით, რათა მაქსიმალურად იქნეს ერთის მხრივ დაცული მომხმარებელთა უფლებები და მეორეს მხრივ, შეზღუდვებმა რეგულირებად სფეროებში უარყოფითი ზეგავლენა არ მოახდინონ კონკურენციულ გარემოზე სხვა სფეროებში.

ცალკე აღნიშნავს საჭიროებს კონკურენციის დაცვისა და რეგულირების საკითხი საბანკო სფეროში. კანონმდებლობის თანახმად საბანკო საქმიანობაზე ზედამხედველობა და მათ შორის კონკურენციული ურთიერთობების რეგულირება აკისრია საქართველოს ეროვნულ ბანკს; კანონმდებლობითვე განსაზღვრული აღნიშნული ფუნქციების აღსრულების პროცედურა და კონკრეტული მექანიზმი.

საქართველოს საკონკურენციო კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს ასევე “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ”, “წიაღის შესახებ”, “დაზღვევის შესახებ” და საქართველოს რიგი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების ის თავები, პარაგრაფები და დებულებები, რომელთა დანიშნულებაა შესაბამის დარგსა თუ სფეროში კონკურენციული გარემოს ფორმირება, კონკურენციის დაცვა და ბიზნესის განვითარებისათვის არადისკრიმინაციული, ჯანსაღი სამეწარმეო პირობების ჩამოყალიბება-ფორმირებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის კონკურენციული კანონმდებლობა საკმაოდ შორსაა სრულყოფილებისაგან და სამწუხაროდ, მისი ზოგიერთი ნაწილი აშკარად ვერ პასუხობს კონკურენციის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად არის დაცლებული ადეკვატური საკონკურენციო სამართლებრივი ნორმებისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც უცხოელი, ისე ქართველი ექსპერტები სისტემატურად მიუთითებდნენ ხარვეზებზე ქვეყნის საკონკურენციო სფეროში და მათი აღმოფხვრის საჭიროებაზე. კონკურენციული კანონმდებლობის და კერძოდ, “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის დაუყოვნებლივი სრულყოფის აუცილებლობა განპირობებული იყო ორი ძირითადი გარემოებით; ჯერ-ერთი, საყოველთაოდაა აღიარებული და აპრობირებული მითითებული პრობლემების (კონკურენციის სფეროს საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები) გადაჭრის აქტუალობა, რომელთა გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია კონკურენციის შესაბამისი გარემოს ფორმირება და შენარჩუნება. მეორე, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების და შესაბამისი ორმხრივი დოკუმენტებით საქართველოს აქვს რიგი ვალდებულებები საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის და მისი ევროკანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის თაობაზე, მათ შორის კონკურენციის სფეროში (საქართველოს მთავრობის 2004 წლის 8 მაისის №22 დადგენილებით დამტკიცებულია “საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა”). ბუნებრივია, აღნიშნულ ვალდებულებათა შესრულების ვადები

და ხარისხი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დამოკიდებულებას ჩვენი ქვეყნისადმი და მისი ეკონომიკისადმი პერსპექტივაში. არ შეიძლება, რომ რეფორმატორული პოლიტიკისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიზნით მიმდინარე დერეგულირების კონტექსტში უკანა პლანზე (თუნდაც დროებით) გადაიწიოს კონკურენციის პრობლემატიკამ (რასაც სამწუხაროდ ადგილი ჰქონდა საქართველოში 2005-2012წწ). უფრო მეტიც, დერეგულირების პოლიტიკა და საერთოდ წარმატებული ეკონომიკური რეფორმების პოლიტიკა, რომელმაც უნდა შექმნას თავისუფლად ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა, ვერ განხორციელდება, თუ ქვეყანაში არ იარსებებს კონკურენციის დაცვის ძლიერი სამართლებრივი სისტემა და მისი აღმასრულებელი შესაბამისი ინსტიტუტები.

სხვადასხვა დარგებსა თუ სფეროებში კონკურენციული პოლიტიკის მიმართულებით არსებული ნორმატიული დოკუმენტების რეტროსპექტიული ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მათთვის დამახასიათებელი რამდენიმე საერთო ნაკლოვანება: ერთიანი, ყოველმხრივი და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა; ნორმებისა და დებულებების დეკლარაციული ხასიათი და ამდენად, კონკრეტული ამოცანებისა და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფი მექანიზმების არარსებობა.

კონკურენციული პოლიტიკის განვითარების რეტროსპექტივა აჩვენებს ამ მიმართულებით 2004-2012 წლებში სახელმწიფო ქმედებების აშკარა დეფიციტზე. სამთავრობო პროგრამების ანალიზი მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობა აღიარებდა კონკურენციის განვითარების აუცილებლობას, მაგრამ არ არსებობდა საკმარისი წარმოდგენა, თუ როგორ, რა საშუალებებით და გზებით უნდა განხორციელებულიყო ეს საქმიანობა. პრობლემას წარმოადგენდა არა კონკურენციის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში (საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ამისი აფიშირება ნონსენსი იქნებოდა), არამედ ჯანსაღი საკონკურენციო გარემოს ჩამოყალიბებისათვის სათანადო ხელშეწყობისა და კონკურენციის მუდმივი დაცვისათვის სათანადო ქმედითი მექანიზმის არარსებობა. სხვაგვარად, თვით ჯანსაღ კონკურენციულ ბრძოლასაც კი ხშირად მოყვება ეკონომიკური აგენტის ხელში ძალაუფლების თანდათანობითი კონცენტრაცია და მონოპოლიური სუბიექტის წარმოქმნა შესაბამისი შედეგებით და საბაზრო ქცევით.

ეკროპელი ექსპერტების კრიტიკისა და კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მოთხოვნების საპასუხოდ ქვეყანაში წლების მანძილზე სისტემატურად მიმდინარეობდა ფსევდო ინტენსიური მუშაობა კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს რეკონსტრუქცია-რეორგანიზაციისა და უფლებამოსილებათა ზრდის (ცვლილებების) მიმართულებით, რასაც არცერთხელ არ მოჰყოლია სულ მცირედი პოზიტიური შედეგი და ვერც მოყვებოდა, რადგან არ არსებობდა (ყოველ შემთხვევაში არ ჩანდა) სურვილი და სახელმწიფო ნება მის მისაღწევად. საქართველოს მთავრობამ 2010 წლის დეკემბერში კონკურენციის პოლიტიკის ყოვლისმომცველი სტრატეგიის მირეზობით თითქოს გამოხატა პოლიტიკური ნება თანამედროვე კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და საკონკურენციო კანონმდებლობის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ და იმავდროულად აღიარა, რომ კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” შემუშავებულ იქნა გარდამავალი პერიოდისათვის და პრაქტიკულად საჭიროა ახალი ჩარხო კანონის მიღება, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ყველა სექტორს, მათ შორის არალიბერალურსაც და სახელმწიფო შესყიდვების სფეროსაც. სტრატეგიით გათვალისწინებული ინსტიტუციონალური რეფორმის ჩარხოებში საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 26 თებერვლის ბრძანებულებით შეიქმნა დამოუკიდებელი სსიპ – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო



სამომავლო დაპირებით, რომ შემდგომი მოქმედებებით მას მიენიჭებოდა სამოქმედო პროგრამაში ასახული შესაბამისი უფლებამოსილებანი და შესაძლებლობები. 2011 წლის ბოლოს ეს სააგენტო შეერწყა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს და 2012 წლის დასაწყისიდან უკვე ფუნქციონირებს სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომლის საკმაოდ მრავალრიცხოვან სტრუქტურაში სულ “ჩაიკარგა” კონკურენციის პრობლემატიკაზე მომუშავე თანამშრომელთა მცირერიცხოვანი კონტინგენტი; ჩვენი აზრით, ფუნქციონალურადაც შეუთავსებელია ამ ორი სააგენტოს უფლებამოსილებათა ერთი სააგენტოსათვის დაკისრება.

დიდი ხნის მოლოდინისა და პერმანენტული დაპირებების შემდეგ, 2012 წლის მაისში მიღებულ იქნა “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის ახალი რედაქცია, რომელიც თავისი შინაარსით ჩამორჩება არა მარტო საკონკურენციო ნორმებისა და დებულებების ევროპულ სტანდარტებს, არამედ კონკურენციის ყოველმომცველი სტრატეგიით განსაზღვრულ კრიტერიუმებსაც. ამასთან აუცილებელია ითქვას, რომ კანონის აღნიშნული რედაქცია ბევრად ადეკვატურია, ვიდრე 2005 წლისა, რომელიც სრულიად ამოვარდნილი იყო ევროკავშირის კონკურენციის მოდელური კანონის ჩარჩოდან და როგორც ზემოთ ითქვა, პრაქტიკულად ვერ პასუხობდა კონკურენციის სფეროს ვერცერთ ძირითად ნორმას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ახალი კანონიც არაა სათანადო შესაბამისობაში ევროკავშირის ნორმებთან, რის შესახებაც საკმაოდ სრული სურათია ასახული ნაშრომში “საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები” (6) და აქ მხოლოდ მოკლედ შევჩერდები კანონის ნაკლოვანებებზე. სამწუხაროდ, კანონი არ ვრცელდება იმ ბაზრებზე, რომელთა სასაქონლო ბრუნვა არ აღემატება მშპ-ის 0,25%-ს; იგი ასევე გაუმართლებლად არ ვრცელდება ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებზე და თავდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის აუცილებელ საქონელსა და მომსახურებაზე; კანონის სამოქმედო არეალის მიღმა დარჩენილი პორიზონტალური შეთანხმებები, თუ მხარეთა ერთობლივი საბაზრო წილი არ აღემატება 25%-ს, ვერტიკალური შეთანხმებებისას კი – 40%-ს, მაშინ როცა ევროკავშირის შესაბამისი ნორმები შეადგენენ 10%-ს და 15%-ს; კონკურენციის ლოგიკასთან შეუსაბამოა ის ფაქტი, რომ სახელმწიფო დახმარებების მარეგულირებელი დებულებები არ ვრცელდება საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვაზე; არასწორია ისიც, რომ კანონით დაშვებულია ნებისმიერი სახის გადასახადების შემცირება და რესტრუქტურისაცია, თუ გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს მთავრობა; ანალოგიური სიტუაციაა საგადასახადო დავალიანებათა გადახდევინების უზრუნველყოფის დონისძიებათა შეჩერებისა და მათი ჩამოწერის მიმართულებით. სრულიად გაუგებარი და არალოგიკურია ის გარემოებაც, რომ კანონი არ აძლევს უფლებას კონკურენციის ორგანოს, რათა საჭიროების შემთხვევაში მან მთავრობისგან დამოუკიდებლად მოახდინოს სასაქონლო ბაზრების ანალიზი და მიიღოს გადაწყვეტილება კონკურენციული გარემოს აღდგენის მიმართულებით. აქედან გამომდინარე, კონკურენციის სააგენტო არაა პასუხისმგებელი იმ ბაზრებზე არსებულ არაკონკურენტულ მდგომარეობაზე, რომლებიც არ შედიან მთავრობის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებებში.

საქართველოს ხელისუფლება (პარლამენტი და მთავრობა), რომელსაც ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პროგრამით ჰქონდა გათვალისწინებული კონკურენციის სფეროს მოწესრიგება და ევროსტანდარტებთან მისი დაახლოება, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და უცხოელ ექსპერტებთან ერთად ინტენ-

სიურად მუშაობს ამ მიმართულებით და განიხილავს სხვადასხვა კანონპროექტებსა თუ რადიკალურ ცვლილებათა პროექტებს მოქმედი საკონკურენციო კანონმდებლობის სრულყოფისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის. ეს იმედს იძლევა, რომ წინამდებარე ნაშრომის გამოქვეყნებამდე შესაძლოა უკვე მოხდეს ევროკავშირის შესაბამისი საკონკურენციო ორგანოების დასაბუთებული რეკომენდაციისადმი ადეკვატური რეაგირება, მიღებულ იქნას სამოქმედოდ ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საკონკურენციო კანონმდებლობა, განხორციელდეს რადიკალური ინსტიტუციონალური რეფორმა, რომელიც გააფართოებს და განამტკიცებს სააგენტოს უფლებამოსილებებს, სრულყოფს სტრუქტურას, ხელს შეუწყობს მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

აქვე აუცილებელია დავაფიქსიროთ ჩვენი მოსაზრება ლიბერალური ბაზრის ზოგიერთ მომხრეთა საპასუხოდ, რომელთაც მიაჩნიათ, საბაზრო პროცესებში ჩარევა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მიზნით საზიანოა და ხელს უშლის ბაზრის თავისუფლებას. აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ თავისუფალი ბაზრის სასარგებლოდ არსებული ეკონომიკური მტკიცებულებები შორს არიან იმ აზრისაგან, რომ ბაზარი ყოველთვის “სწორად” ფუნქციონირებს და ავტომატურ რეჟიმში ახერხებს კონკურენციის დაცვას. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ხოლმე შეთანხმებებს ცალკეულ საქონელმწარმოებლებს შორის პროდუქციაზე ფასების ზღვრულ დანახარჯებზე ზემოთ დაფიქსირების თაობაზე, ხდება ხოლმე სასაქონლო ბაზრის ცალკეული სეგმენტების მონოპოლიზება, რასაც შედეგად მოყვება მომხმარებელთა უფლებების შელახვა. ამიტომ საკონკურენციო კანონმდებლობა ყველა ქვეყანაში მოწოდებულია საბაზრო მექანიზმის ზოგიერთი ნეგატიური ნიშნის “გამოსწორება-შერბილებისათვის” და აუცილებლობის შემთხვევაში სახელმწიფო რეგულირებისათვის. ეკლარირებული “ბაზრის თავისუფლება” ხშირად გამოიყენება ფაქტობრივად ამ თავისუფლების საწინააღმდეგოდ დამ ის გამოსარიცხად. საქმე იმაშია, რომ თუ აღნიშნულ თავისუფლებასთან ერთად თავისუფლება ეძლევა არაკეთილსინდისიერ კონკურენციასა და კონკურენციის შეზღუდვას (კარტელების შექმნა, შერწყმები, ბაზრების ბლოკირება და ბარიერების შექმნა, მიწოდების განხორციელებაზე ეკონომიკურად დაუსაბუთებელი უარის თქმა /ბოიკოტი/, დემპინგი), მაშინ ირდევია ჯანსაღი კონკურენციული გარემო და ხელი ეწყობა დიდი საბაზრო ძალაუფლების ფორმირებასა და მის კონცენტრაციას.

ამასთან, თუ საბაზრო ძალაუფლება სახელმწიფოს მხრიდან “ნებაზეა მიშვებული”, იგი შეიძლება რეალურ პოლიტიკურ ძალაუფლებად იქცეს. მსხვილ სამრეწველო-საფინანსო ჯგუფებს შესწევთ უნარი აიძულონ ხელისუფლება შეცვალონ კანონები, გასცენ დაუსაბუთებელი სუბსიდიები და დახმარებები, მოახდინონ ბაზრების ერთმანეთისგან იზოლირება. შედეგად, სამეურნეო საქმიანობის წარმატება განისაზღვრება არა იმდენად ბაზარზე მუშაობის შედეგებით, არამედ შესაძლებლობით, სახელმწიფოს როგორც ინსტრუმენტის მეშვეობით საბაზრო კონკურენციის შედეგების გამორიცხვაში.

ამდენად, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობის პოლიტიკა (რომელიც ჩვენს ქვეყანაშიც იყო დეკლარირებული და შესაბამისი კანონმდებლობით განმტკიცებული 2004-2012წლებში) ხშირად ახდენს დიდი საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ინტერვენციის პოლიტიკის გატარების პროვოცირებას. სახელმწიფო აგრძელებს თავისი არაპირდაპირი ჩარევის გაფართოებას, რის შედეგადაც სულ უფრო იზრდება მისი დამოკიდებულება საბაზრო ძალაუფლების მქონე ეკონომიკურ დაჯგუფებებზე. ასე რომ, თითქოსდა თავისუფალი ბაზრის ხელშესაწყობად არსებულ სასარგებლო და

კეთილშობილურ განზრახვას სახელმწიფოსა და ეკონომიკის მკვეთრი გამიჯვნის შესახებ პრაქტიკულად სისტემატურად მიყვავართ კერძო ეკონომიკური ძალაუფლების სახელმწიფო ძალაუფლებასთან გადაბმასა და შერწყმასთან (ოლიგარქიის ფორმირებასა და გაძლიერებასთან), ხოლო თავისუფალი ეკონომიკის ეკონომიკურ პოლიტიკას – ეკონომიკური წესრიგის განსაზღვრულ ტიპთან – ეკონომიკის რეგულირებასთან ძალაუფლების მქონე დაჯგუფებების მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციული ურთიერთობის დაცვისა და რეგულირების ეფექტური მექანიზმით “შეიარაღებული” ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანას აძლევს რეალურ საშუალებას საყოველთაოდ მიღებული კანონიერი გზით დაიცვას შიდა ბაზარი ეკონომიკურ აგენტთა მხრიდან კონკურენციის შემზღვდავი მოსალოდნელი ქმედებებისაგან და უზრუნველყოს ასეთი ქმედებებით გამოწვეული ზიანის საკომპენსაციო მარეგულირებელი ზომების განხორციელება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სრულყოფილ კონკურენციულ კანონმდებლობას შედარებით მცირე ზომის ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მით უმეტეს, თუ ისინი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებს წარმოადგენენ.

გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში, რაც ერთის მხრივ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკისა და მისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, სერიოზული საშიშროება ექმნება მცირე ზომის ქვეყნის ეკონომიკას, რომ ამ ქვეყანაში არსებულ შედარებით მცირე ზომის ფირმებს (მსოფლიო მასშტაბით) არ შეეძენას ბარიერები ბაზარზე თავისუფალი ფუნქციონირებისათვის მსხვილი, ტრანსნაციონალური კომპანიებისა და მათი ფილიალების მხრიდან დისკრიმინაციული, კონკურენციის შემზღვდავი საბაზრო ქცევის პირობებში. ამ თვალსაზრისით, კონკურენციული კანონმდებლობაა ის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი, ქმედითი ბერკეტი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სათანადო კონკურენციული ბიზნეს-გარემო ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ეკონომიკური აგენტისათვის მათი ზომისა და საბაზრო ძალაუფლების ხარისხის მიუხედავად.

აღნიშნულ გარემოებათა ანალიზი იძლევა საფუძველს ითქვას, რომ კონკურენციული კანონმდებლობის სრულყოფილება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის ეფექტურობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისეთი მცირე ზომის ქვეყნების, როგორც საქართველოა, ეკონომიკურ დამოუკიდებლობასა და გარკვეულწილად პოლიტიკურსაც, რადგან მას შეუძლია უზრუნველყოს სამამულო მწარმოებლებისათვის (რომლებიც ქვეყნის მასშტაბებიდან გამომდინარე ვერ იქნებიან მსხვილი კომპანიები) და საერთოდ ყველა მცირე და საშუალო ზომის ეკონომიკური აგენტისათვის ნორმალური პირობები ფუნქციონირებისათვის. ამ შემთხვევაში სამამულო საქონელმწარმოებლებსაც მიეცემათ საერთაშორისო ბაზრის ცალკეულ სეგმენტებზე კონკურენციული უპირატესობის მოპოვების შანსი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგიაშვილი შ. - კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში. გამ-ბა “ინოვაცია” თბ. 2009წ.
2. გოგიაშვილი შ. - კონკურენციის პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საფუძველი. ჟურნ. "მეცნიერება და ცხოვრება", №2, გამ-ბა "თობალისი" თბ. 2010წ.

3. გოგიაშვილი შ. - ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი – კონკურენციის პოლიტიკა. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის “ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე” მასალები. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი. ქბათუმი, 2011წ.
4. გოგიაშვილი შ. - კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის რეტროსპექტივა და მისი სრულყოფის პერსპექტივა საქართველოში. – პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში.” თბ. 2011წ.
5. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს. - ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის ნეგატიური ასპექტები. – ჟურნ.“ეკონომიკა და ბიზნესი”, №4, 2012წ.
6. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ. – საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები. ჟურნ. “ეკონომიკა და ბიზნესი”, №1, 2013წ.

**შალვა გოგიაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი*

**საქართველოს კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის  
ბანკითარების ძრონოლოგია**

**რეზიუმე**

ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზროზე გარდამავალი პერიოდის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში კერძო საკუთრებითი ურთიერთობების ფორმირების პარალელურად დაიწყო კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. უკვე 1992 წელს მიღებულ იქნა დეკრეტი, 1996 წელს კი – შესაბამისი კანონი. ეკონომიკის ლიბერალიზაციის კონტექსტში 2005 წელს განხორციელებულმა რეფორმამ ქვეყნის საკონკურენციო კანონმდებლობა მნიშვნელოვნად დააშორა ევროსტანდარტებს. ნორმატიული დოკუმენტების ანალიზი მიუთითებდა კონკურენციის ერთიანი და თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობაზე; ნორმებისა და დებულებების დეკლარაციულ ხასიათსა და პრაქტიკულად, მათი რეალიზაციის შეუძლებლობაზე. კონკურენციის პოლიტიკის განვითარების რეტროსპექტივა აჩვენებს ამ მიმართულებით 2004-2012 წლებში სახელმწიფო ხელისუფლების ქმედებების აშკარა დეფიციტზე.

2012 წლის მაისში მიღებული “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონის ახალი რედაქცია, თავისი შინაარსით უფრო ადეკვატურია, ვიდრე 2005 წლისა, რომელიც მთლიანად ამოვარდნილი იყო ევროკავშირის კონკურენციის მოდელური კანონის ჩარჩოდან, მაგრამ სამწუხაროდ ისიც არაა სათანადო შესაბამისობაში ევროკავშირის ნორმებთან.

დღეისათვის საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პროგრამით ჰქონდა გათვალისწინებული კონკურენციის სფეროს მოწესრიგება და ევროსტანდარტებთან მისი დაახლოება, არასამთავრობო ორ-

განიზაცებთან და უცხოელ ექსპერტებთან ერთად ინტენსიურად მუშაობს საკონკურენციო კანონმდებლობის სრულყოფისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის.

**შალვა გოგიაშვილი**

*Ассоциированный профессор факультета  
экономики и бизнеса Тбилисского Государственного  
Университета им. Иване Джавахишвили*

## **ХРОНОЛОГИЯ РАЗВИТИЯ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ПОЛИТИКИ КОНКУРЕНЦИИ ГРУЗИИ**

### **Резюме**

Исходя из особенностей периода перехода от централизованной экономики на рыночную экономику, параллельно формированию частно-имущественных отношений в Грузии, началась разработка государственной политики конкуренции. Еще в 1992 г. был принят декрет, а в 1996 г. – соответственный закон. Реформа, осуществленная в 2005 г. в контексте либерализации экономики, значительно отдала конкурентное законодательство страны от Европейских стандартов. Анализ нормативных документов указывал на отсутствие единой и последовательной государственной конкурентной политики, декларативный характер норм и положений и, практически, невозможность их реализации. Ретроспектива развития политики конкуренции указывает на явный дефицит действия государственной власти в этом направлении в 2004-2012 гг.

Новая редакция закона «О свободной торговле и конкуренции», принятая в мае 2012 г., более адекватно по своей сути, чем редакция от 2005 г., которая целиком выпадала из рамок модельного закона Евросоюза о конкуренции, но, к сожалению, и она не соответствует должным образом Европейским нормам.

Власти Грузии, на сегодняшний день, которые еще в предвыборной программе предусматривали приведение в порядок и приближение сферы конкуренции к Европейским стандартам, вместе с неправительственными организациями и зарубежными экспертами, ведут интенсивную работу по усовершенствованию политики конкуренции и формированию оптимальной структуры соответствующего исполнительного органа.

**Shalva Gogiashvili**

*Associated Professor at Faculty of Economics and Business  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **TIMELINE OF ECONOMIC POLICY OF COMPETITION IN GEORGIA**

### **Summary**

Due to the specifics of transition from the centrally planned to the market economy, along with the formation of private property relations in Georgia, the development of state competition policy started. As early as in 1992, there was passed the decree, and in 1996, there was adopted the relevant law. The reform performed within the context of liberalization of the economy in 2005 substantially distanced the state competition laws from the European

standards. The analysis of statutory acts demonstrated the lack of common and consistent competition state policy and the declarative nature and actually, the impossibility of enforcement of the norms and provisions. The retrospective consideration of development of the competition policy shows the clear lack of acts of the public authority focused on the above during the period of 2004-2012.

In May 2012, there was adopted the amended law On Free Trade and Competition, which is rather adequate than the version of 2005 due to its essence. The latter completely fell out from the scope of European competition model legislation. However, unfortunately, the former does not duly comply with the European norms.

Nowadays, the public authority of Georgia, which as a part of their election program, promised to regulate and approximate the competition field to the European standards, works hard on improvement of the competition laws and identification of the optimal structure of relevant executive bodies along with the non-governmental organizations and the foreign experts.

**მენეჯმენტი**

*ვეგენი ბარათაშვილი*  
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სტუ-ს*  
*სრული პროფესორი*  
*ბადრი გერბაია*  
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,*  
*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო*  
*უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

**ინფრასტრუქტურული მიზნობა სერვისულ მენეჯმენტში**

სერვისი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს სამსახურს, მომსახურებას. ეს ადამიანის საქმიანობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც მიმართულია მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მომსახურებათა გაწევის გზით.

თანამედროვე ევროპულ ცივილიზაციაში ჩამოყალიბდა მსოფლმხედველობა, რომელიც ადამიანის პიროვნებას ყველაზე მაღლა აყენებს და საზოგადოებისაგან მისი თავისუფალი განვითარების პირობების შექმნას მოითხოვს. ღირებულებათა ეს სისტემა განსაკუთრებით მიღებულია ევროპულ კულტურაში. აქ მოწონებით სარგებლობს სერვისის ის სახეები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ადამიანს განვითარდეს, გადაჭრას საყოფაცხოვრებო პრობლემები, მიიღოს განათლება, განახორციელოს პროფესიული საქმიანობა, კარგად დაისვენოს.

სერვისის სფეროს ორგანიზაციის მენეჯმენტის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმ მიზნების განსაზღვრა, რომელთა მისაღწევად იქმნება და ფუნქციონირებს იგი და წარმოადგენს იმ რეალობათა სუბიექტურ ასახვას, რომლებიც მოცემულ ორგანიზაციებს ახასიათებენ (მისი როლი საზოგადოებაში, საწარმოო და საკადრო პოტენციალის ხასიათი და ა. შ.). „ის, ვინც ყველაზე კარგად ემსახურება საზოგადოებას, ყველაზე მეტს იღებს“ - ეს არის იაპონელი მეწარმისა და ბიზნესის დარგის თეორეტიკოსის - კ. ტატეისის სიტყვები<sup>1</sup>.

მენეჯმენტი დღეს, უპირველეს ყოვლისა, ესაა მუდმივი ინოვაციების საფუძველზე მართვა. ინოვაციები, ანუ მუდმივი სიახლეები მეწარმეობის ყველა სფეროში მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი ხდება. ინოვაციების აუციებლობას სტიმულს აძლევს კონკურენტული ბრძოლა და ბაზრის მთელი რიგი სხვა მოთხოვნები. მათი გამოყენების მნიშვნელობა განპირობებულია აგრეთვე დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ცვლილებებით, მომხმარებელთა ცვალებადი მოთხოვნებით და ცვლილებებით თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიაში.

ქვეყნისა და მისი ეკონომიკური კავშირების განვითარება ძირითადად განისაზღვრება არა მხოლოდ ბუნებრივი სანედლეულო რესურსების არსებობით, სამრეწველო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და შრომითი პოტენციალით, არამედ ქვეყნის ინფრასტრუქტურული განვითარებითაც. სერვისული ინფრასტრუქტურა

<sup>1</sup> ლვედაშვილი ნ. მენეჯმენტი სოციალურ-კულტურული სერვისისა და ტურიზმის სფეროში. თბ., 2009. გვ., 54.

საერთო საბაზო ინფრასტრუქტურის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის, ან მისი ცალკეული ტერიტორიული წარმონაქმნების ფუნქციონირება.

გამოიყოფა საბაზრო ინფრასტრუქტურის ორი მხარე: პირველ რიგში, მისი მატერიალურ საგნობრივი შემადგენლობა, ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც ქმნის ბაზრების სისტემის (სასაწყობო შენობა-ნაგებობები, სავაჭრო ფართობები, სავაჭრო სასაწყობო მოწყობილობები, ბირჟის კომერციული ბანკების შენობა - ნაგებობები და ა.შ.) ფუნქციონირების პირობებს; მეორე რიგში, ესაა ეკონომიკური ურთიერთობები ბაზრის სუბიექტების საქმიანობის კუთხით, რაც მიმართულია სასაქონლო და ფულადი მიმოქცევის პირობების შექმნაზე, ამ ურთიერთობათა მატარებელს საბაზრო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს.

საბაზრო ინფრასტრუქტურა მატერიალურ-საგნობრივი შემადგენლობის მიხედვით იყოფა ორ ქვესისტემად: პირველი წარმოდგენილია წარმოების პროცესის მომსახურე დარგების ერთობლიობით, ხოლო მეორე დარგებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მზა პროდუქციის შეუფერხებელ გადაადგილებას მომხმარებელამდე. საბაზრო ინფრასტრუქტურის მეორე ფუნქცია - საქონლის ეფექტური გადაადგილება გასაღების ბაზარზე რეგიონის ფარგლებს გარეთ შეადგენს რეგიონთაშორის ეკონომიკური ურთიერთობების ინფრასტრუქტურის არსს.

თანამედროვე პირობებში არ არსებობს ინფრასტრუქტურის ერთმნიშვნელოვანი განმარტება. ამავდროულად, ინფრასტრუქტურის არსის გაგების არსებული განმარტებების გაანალიზებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ ახრთა ერთობ ფართო სპექტრის შედარებისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მახვილდება, ინფრასტრუქტურის ფუნქციონალურ დანიშნულებაზე - ამა თუ იმ ობიექტების მომსახურებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ ფუნქციონირებას. ეს იძლევა საფუძველს, რომ ინფრასტრუქტურა განვიხილოთ როგორც ფიზიკური პირების სასიცოცხლო მოღვაწეობისა და იურიდიულ პირთა ფუნქციონირების უზრუნველყოფი სისტემა. ინფრასტრუქტურას, რომელიც ადამიანის ცხოველმოქმედებას (სასიცოცხლო მოღვაწეობას) უზრუნველყოფს, ჩვეულებრივ სოციალურს მიაკუთვნებენ და უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტების მიერ ”სოციალური ინფრასტრუქტურის” განსაზღვრება არაერთმნიშვნელოვნად ფორმულირდება.

სოციალური ინფრასტრუქტურის არსებითი მხარეების გათვალისწინებით იგი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სტრუქტურული წარმონაქმნების (დარგის ორგანიზაციებისა და მათი ქვედანაყოფების დონეზე) ერთობლიობა, ფიზიკურ პირთა სასიცოცხლო მომსახურებისათვის აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების წარდგენის გზით.

სოციალური ინფრასტრუქტურის მოცემული განსაზღვრება ორიენტირებულია მისი მოღვაწეობის, საქმიანობის საგანზე. მომსახურების გაწევას, რომელიც ხშირად განხილვის მიღმა რჩება, აქვს სოციალური ინფრასტრუქტურის მატერიალურ-საგნობრივი შემადგენლის სახე.

ინფრასტრუქტურის კვლევის პროცესში მიზანშეწონილია, იგი წარმოვიდგინოთ, როგორც მომსახურების გაწევის სისტემა, რომლის საკითხების გადაწყვეტის აქტუალობა ინფრასტრუქტურის ფორმირებას, განვითარებას მიეკუთვნება და განისაზღვრება ისეთი ფაქტორების მნიშვნელობებით, როგორიცაა: ობიექტის ფუნქციონირების შედეგების არსებითი დამოკიდებულება მისი ძირითადი საქმიანობის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის დონეზე; ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების დიდ, ხშირად განსაზღვ-



რულ ხვედრით წილზე მათ მიერ მომსახურე ობიექტების ფუნქციონირების საერთო ხარჯებში; მნიშვნელოვანი რეზერვების არსებობა ინფრასტრუქტურის ეფექტიანობის ასამაღლებლად;

ფიზიკური პირების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სოციალური ინფრასტრუქტურის ფუნქცია შეიძლება მათ სოციალურ საყოფაცხოვრებო და საწარმოო საქმიანობის სფეროზეც გავრცელდეს. ადამიანის მთელი რიგი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება-სამედიცინო მომსახურებაზე, განათლებაზე, დასვენებაზე და ა.შ. ხშირად მიეკუთვნება რა უწინარეს ყოვლისა პიროვნულს, შეიძლება განხილულ იქნას სამუშაო ძალის კვლავწარმოების კუთხითაც კი. პროდუქციის წარმოება და მომსახურება ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარების პირობებში აუცილებლად საჭიროებს საკადრო რესურსების სრულყოფას მუშაკთა საქმიანობის ამაღლების აზრით, რაც გამოიხატება მათ მიერ სხვადასხვა სამუშაოს შესრულების შესაძლებლობით, შრომის მწარმოებლურობისა და ხარისხის ზრდითა და საწარმოო პროცესებში საკადრო რესურსების მონაწილეობასთან დაკავშირებული სხვა დანარჩენი ფაქტორების დადებითი ცვლილებებით.

თავის მხრივ, მუშაკთა საქმიანობა დამოკიდებულია მათ პროფესიულ მომზადებაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სოციალური ხასიათის ბევრ სხვა პირობებზე.

ამგვარად, ფიზიკური პირების მოთხოვნილებების უზრუნველყოფი სოციალური ინფრასტრუქტურის ფუნქციები ორგანიზებულად შეიძლება განვიხილოთ შრომითი რესურსების როგორც საწარმოო პროცესების მონაწილეთა ნორმალური ქმედითუნარიანობის უზრუნველყოფის პოზიციიდან.

იურიდიული პირების (ორგანიზაციების) ინფრასტრუქტურაში სოციალური ინფრასტრუქტურის პარალელურად გამოყოფენ საწარმოო ინფრასტრუქტურას, რომელშიც საწარმოო პროცესების განხორციელების უზრუნველყოფი პირობების სისტემა იგულისხმება.

ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის მართვას, მათი ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, ხშირად მათ საწარმოო შემადგენელთა მართვასთან მივყავართ. ამავედროულად საწარმოო სისტემაში საწარმოო პროცესების ელემენტების ფუნქციონირების კუთხით შეიძლება გამოიყოს მატერიალური-ნივთობრივი ქვესისტემა (წარმოების საშუალებები) და საკადრო (საწარმოს პერსონალის) ქვესისტემა. ერთიან საწარმოო პროცესში ამა თუ იმ რომელიმე მათგანის პრევალირება<sup>2</sup> ხშირად არაერთმნიშვნელოვანს წარმოადგენს. ასევე არაერთმნიშვნელოვნად წარმოგვიდგება საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის შეფასება ორგანიზაციაზე ეფექტურად ზემოქმედების კუთხით. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ უნდა იყოს ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას, მისი რესურსების საწარმოო სისტემასა და ინფრასტრუქტურაზე განაწილებისას.

ფიზიკური და იურიდიული პირების მომსახურების კუთხით განსაზღვრისას, თითოეული ინფრასტრუქტურის მომსახურება შესაბამისად შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას, როგორც მომსახურება, მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო საქმიანობის და ორგანიზაციის მოთხოვნების ჩარჩოებში დასახული

<sup>2</sup>პრევალირება – (ლათ) – გადამეტება, გადაწონვა, უპირატესობა.

მიზნების რეალიზაცია, მათ საწარმოო საქმიანობასთან დაკავშირებული ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

სოციალური ინფრასტრუქტურით გაწეული მომსახურების შინაარსის იდენტიფიკაციას, როგორც თვით ორგანიზაციაში, ისე მის გარეთ განსაზღვრავს მისი მიღების პოლიტიკის შერჩევა სახელმწიფო მონაწილეობის სისტემიდან ცენტრალურ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეებზე, ანდა ორგანიზაციის რესურსების ამა თუ იმ ზომით გამოყენება, რომლებშიც მუშაობენ ფიზიკური პირები. ამან ასახვა უნდა ჰპოვოს მითითებული სოციალური განვითარების სტრატეგიის ფორმირებაზე, რესურსულ უზრუნველყოფასა და ამ სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმზე.

ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის აქტუალობასთან დაკავშირებით საქართველოს ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საზღვარგარეთული მენეჯმენტის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება - ფასილიტი მენეჯმენტი (Facility manajement), ფასილიტი ნიშნავს ობიექტს, საშუალებას, ნაგებობას, რომელიც თავისი შინაარსით ახლოს დგას ინფრასტრუქტურის მართვასთან.

ამჟამად ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის არსი ერთმნიშვნელოვნად არ არის გაგებული. იკვლევენ რა ინფრასტრუქტურის ფორმირებისა და განვითარების ასპექტებს, უფრო ხშირად ავტორებს მისი გაგება გადააქვთ ორგანიზაციაში საკუთარი ქვედანაყოფის ერთობლიობაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადი საწარმოო პროცესების განხორციელებას.

ინფრასტრუქტურის საქმიანობის შინაარსის თვალთახედვიდან და მისი, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი ერთიანი სისტემის კუთხით განხილვისას, მიზანშეწონილია ინფრასტრუქტურის უფრო ფართო განმარტება, როგორც მისი საკუთარი სტრუქტურული ერთეულებისა და (შიდა ქვედანაყოფებისა და გარე სუბიექტების, რომლებიც შექმნილია ორგანიზაციის მონაწილეობით მისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფისათვის) აგრეთვე მომსახურების გამწევი გარე სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებით ორგანიზაციის ნორმალურ ფუნქციონირებას.

მოცემული მიდგომა გამართლებულია ორგანიზაციის ინფრასტრუქტურით მართვის პროცესის პოზიციიდან მასში შემდეგი ასპექტების ჩართვით: საწარმოო პროცესების მომსახურების ორგანიზაციული ფორმების შერჩევა (საკუთარი ქვედანაყოფების, გარე ორგანიზაციების, მათი ან სხვათა გამოყენება); ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის შერჩევა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციაში შიდა ინფრასტრუქტურული რგოლების შენარჩუნების განსაზღვრას, ან მათი ცალკე ამა თუ იმ ხარისხით დამოუკიდებელი სტრუქტურული წარმონაქმნების გამოყოფის მიზანშეწონილობას; პირობების განსაზღვრა ინფრასტრუქტურის ქვედანაყოფების ურთიერთობებში შიდა ქვედანაყოფებისა და გარე ორგანიზაციებისათვის მოსახურების გაწევისას და ა.შ.

ჩვეულებრივ, ორგანიზაციები ინფრასტრუქტურას განიხილავენ ძირითადი საწარმოო პროცესების განხორციელების დახმარების თვალსაზრისით. ამავდროულად პრაქტიკაში ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა ორგანიზაციაში მიმდინარე დანარჩენ საწარმოო პროცესებზეც ვრცელდება, მათ შორის თავად ინფრასტრუქტურულ ქვედანაყოფებში, რომლებიც ძირითადი ერთიანი ფუნქციით დაკავშირებული არიან საბოლოო პროდუქტების წარმოებასთან. საერთო ინფრასტრუქტურის ჩარჩოებში ეს იძლევა საფუძველს, გამოიყოს ძირითადი პროცესების

მთელი ერთობლიობის უზრუნველყოფი ინფრასტრუქტურა და თავად ინფრასტრუქტურულ ქვედანაყოფებში საწარმოო ოპერაციების განხორციელების ინფრასტრუქტურა, რომელიც შეიძლება განსაზღვრულ იქნას, როგორც მომსახურე წარმოების ინფრასტრუქტურა. ამ პოზიციებიდან შეიძლება გამოყოფილ იქნას ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის სხვადასხვა იერარქიული დონეები, რომელთაგანაც თითოეული კვლევის დამოუკიდებელ ობიექტად შეიძლება წარმოვიდგინოთ.

მთლიანად ძირითადი წარმოების ინფრასტრუქტურად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ინფრასტრუქტურული ქვედანაყოფი, რომლებიც მონაწილეობენ ძირითადი საწარმოო პროცესის ინფრასტრუქტურულ უზრუნველყოფაში დამოუკიდებლად იერარქიის ამა თუ იმ დონეზე ყოფნისას. საქართველოს ორგანიზაციების ინფრასტრუქტურების სრულყოფის საკითხებისა და მათი განვითარების პერსპექტივების განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბევრი ორგანიზაციის ინფრასტრუქტურა არსებით სრულყოფას საჭიროებს, რომლის გარეშე შეუძლებელია მათი ეფექტიანი ფუნქციონირების რეალიზაცია. ძირითადად, საწარმოო ინფრასტრუქტურის ნაკლოვანებებს შეიძლება მივაკუთვნოთ ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფის ორგანიზაციის არარაციონალური სისტემა, არასაკმარისად ეფექტური მართვის სისტემა, ინფრასტრუქტურული პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დაბალი დონე. საკადრო რესურსებით არასაკმარისი უზრუნველყოფა (რაოდენობრივად და პროფესიონალური დონით), ინფრასტრუქტურული სამსახურებისა და ქვედანაყოფების მუშაკების სტიმულირების არასრულყოფილი სისტემა.

ასევე აუცილებლად უნდა მივეთითოთ საწარმოო ინფრასტრუქტურის ორგანიზაციის დაბალ მობილობაზე, მის სუსტ ადაპტირებაზე სწრაფად ცვალებად შიდა და გარე გარემოს მახასიათებლებზე, კერძოდ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში.

აღნიშნული ნაკლოვანებები ამა თუ იმ ზომით დამახასიათებელია ეროვნული ორგანიზაციების სოციალური ინფრასტრუქტურებისთვისაც, ამავდროულად, აუცილებელია აღინიშნოს მრავალი, უპირველეს ყოვლისა, რთულ ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი ორგანიზაციების მხრიდან თავისი სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მუნიციპალურ საკუთრებაში აქტიური გადაცემის ტენდენცია, რაც მთელ რიგ შემთხვევაში მიჩნეულია ორგანიზაციის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის, ან მათი განვითარების აუცილებელ პირობად. ამასთანავე, სხვადასხვა ნაშრომებში მოყვანილი მოსაზრებები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნები იმაზე, რომ ორგანიზაციების დონეზე რეკომენდაციები სოციალური ინფრასტრუქტურის ფორმირების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ არ შეიძლება ატარებდეს აბსოლუტურ ხასიათს.

გადაწყვეტილებების ამა თუ იმ ვარიანტის შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს ყველა დაქვემდებარებული გასათვალისწინებელი ფაქტორების გულმოდგინედ შეფასებასა და შერჩეული გადაწყვეტილების რეალიზაციის შედეგებს, რომელთაც აქვთ როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ხასიათიც.

ინფრასტრუქტურის მართვის შინაარსი შეიძლება განხილულ იქნას ინფრასტრუქტურის ფორმირებისა და მხარდაჭერის პოზიციიდან, მათ შორის ყველა მისი შემადგენელი ქვესისტემისა და ელემენტის უკუკავშირების მთლიანობის სისტემის ჩარჩოში, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ოპტიმალური ზემოქმედება ორგანიზაციაში საწარმოო პროცესების განხორციელებაზე.

ამ გაგებით ორგანიზაცია წარმოადგენს გარემოს, რომელიც ძირითადი საწარმოო პროცესების პარამეტრების დახასიათებით უზრუნველყოფს მისი ინფრასტრუქტურით ფუნქციონირებას. ორგანიზაციაში ინფრასტრუქტურის როლისა და ადგილის, აგრეთვე სამამულო და საზღვარგარეთული თეორიებსა და პრაქტიკაში მათი ფუნქციონირების გათვალისწინებით, შეიძლება ფორმულირებულ იქნას ძირითადი დებულებები, რომლებიც მიეკუთვნება ინფრასტრუქტურის მართვას, მათ შორის ამ მართვის სტრატეგიის ფორმირებას:

➤ ორგანიზაციების ფუნქციონირებისას დასახული მიზნების მიღწევა მოითხოვს, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია განხილულ იქნას როგორც მათი განვითარების საერთო სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი;

➤ ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების განვითარება და მიზნის სტრატეგია, გამომდინარე მისი დანიშნულებიდან, ორიენტირებული უნდა იყოს მთლიანად ორგანიზაციის ფუნქციონირების განვითარებასა და მიზნის სტრატეგიაზე;

სტატია ეძღვნება პოსტკომუნისტურ პერიოდში უკრაინის ქიმიური მრეწველობის საწარმოების ინტეგრაციის პროცესში სინერგიის ორგანიზებისა და რეალიზაციის საკითხს. გაანალიზებულია დარგის საერთო მდგომარეობა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში. გამოვლენილი და დასაბუთებულია ობიექტური მიზეზები ინტეგრაციული პროცესების ინიციაციისათვის, განსაზღვრულია მათი არსი. ქიმიური საწარმოების ჯგუფის ბაზაზე განვითარებულია ვერტიკალურად ინტეგრირებული სტრუქტურის შექმნის პრაქტიკული ცდა. დადგენილია ინტეგრაციული განვითარებისადმი მოტივაციური და ორგანიზაციული მიდგომა სინერგიის სარგებლის გათვალისწინებით.

*Анна Шевцова*  
*кандидат экономических наук,*  
*Светлана Гречаная*  
*кандидат экономических наук*  
*Технологический институт Восточноевропейского*  
*Национального университета имени Владимира Даля (Украина)*

**СИНЕРГИЯ В ИНТЕГРАЦИОННОМ РАЗВИТИИ ПРЕДПРИЯТИЙ ХИМИЧЕСКОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ УКРАИНЫ**  
**Резюме**

Статья посвящена вопросам организации и реализации синергии в процессе интеграции предприятий химической промышленности Украины в посткризисный период. Проанализировано общее состояние отрасли на протяжении последних пяти лет. Выявлены и обоснованы объективные причины для инициации интеграционных процессов, определена их суть. Обобщен практический опыт создания вертикально-интегрированных структур на базе группы химических предприятий. Установлены мотивационные и организационные подходы к интеграционному развитию с учетом выгод синергизма.

*Anna Shevtsova*  
*Ph.D. of Economic,*  
*Svetlana Grechanaya*  
*Ph.D. of Economic*  
*Technological Institute of East Ukraine*  
*Volodymyr Dahl National University (Ukraine)*

**SYNERGY IN INTEGRATION DEVELOPMENT OF UKRAINIAN CHEMICAL  
INDUSTRY ENTERPRISES**

**Summary**

The article is devoted to issues of synergy organization and implementation during the integration process of Ukrainian chemical industry enterprises after the crisis. The overall state of the industry over the past five years is analyzed. Objective reasons for the initiation of integration process are identified and justified, their gist is determined. The practical experience of creating vertically integrated structures based on a group of chemical enterprises is generalized. Motivational and organizational approaches to integration development with the benefits of synergy are established.

**ტურიზმი**

*პაატა ჩაგანავა*  
*ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი*

**ტურისტული დანიშნულების პუნქტის განვითარების მმართველის უფლებების ურთიერთდაბალანსების საფუძველზე**

**შესავალი**

ტურიზმის სფეროს პრაქტიკოსები, დარგში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები, ექსპერტები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, დარგის მკვლევარები ერთხმად აღიარებენ ტურიზმის მნიშვნელოვან და მზარდ როლს მსოფლიოს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესის დაჩქარებაში [Samini, Sadeghi, Sadeghi, 2011; Awang, Hassan, Zahari, 2009; Kruja, Lufi, Kruja, 2011; Jones, 2010; Muhanna, 2007; Wray, 2009].

ამავე დროს, ზემოთ ჩამოთვლილი ყოველი პირი თუ ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ტურიზმის განვითარება მდგრადი უნდა იყოს – რაც გულისხმობს, რომ გრძელვადიან პერიოდში დარგის განვითარება არ უნდა ხასიათდებოდეს დიდი მერყეობებით, განვითარების პროცესში არ უნდა შეიმჩნეოდეს ტურისტული ტერიტორიის ეკოლოგიური ბალანსის დარღვევა და კულტურული „დაბინძურება“, ხოლო ადგილობრივი საზოგადოება აღშფოთებით არ უნდა ხვდებოდეს მზარდ ტურისტულ ნაკადებს. ტურიზმის განვითარება მდგრადი უნდა იყოს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ ასპექტში [Akama, Kieti, 2007; Dimoska, 2008; Monisola, 2012; Irandu, 2004; Marzuki, 2011].

ტურიზმის ამგვარად დაბალანსებული განვითარების მიღწევა საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს, განსაკუთრებით დღეს, როდესაც საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ყოველდღე ჩნდება ახალი ტურისტული დანიშნულების ადგილი, ინტერნეტი საშუალებას აძლევს დანიშნულების ახალ პუნქტებს აქტიურად განახორციელონ სარეკლამო კომპანია, ტურისტებს – გაცვალონ ინფორმაცია საკუთარი შთაბეჭდილებების შესახებ, განვითარებული სატრანსპორტო სისტემა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მოხვედრის საშუალებას იძლევა, ხოლო სასაზღვრო ფორმალობების თანდათანობითი შემცირება დანიშნულების ნებისმიერი ადგილის ხელმისაწვდომობას ზრდის. ყოველივე ამას მიუყვართ მწვავე კონკურენციის სიტუაციამდე, რომელიც დღითიდღე ძლიერდება. ამ პირობებში ნებისმიერი ტურისტული დანიშნულების ადგილი შეიძლება დადგეს მოთხოვნის შემცირების ფაქტის წინაშე. სეზონურობა კიდევ უფრო ამძაფრებს მდგრადი განვითარების პრობლემას.

თავისთავადია დასკვნა, რომ ტურიზმის სფეროში მთავრობის პოლიტიკის გარეშე მდგრადი განვითარების მიღწევა პრინციპში შეუძლებელია. კერძო სექტორი, როგორც ორგანიზებული და ინტეგრირებული არ უნდა იყოს იგი, ვერ შეძლებს ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების გადაჭრას, როგორცაა ინფრასტრუქტურის შექმნა და შენარჩუნება, ტურისტების უსაფრთხოების დაცვა, გარემოსა და კულტურული რესურსების შენარჩუნება, ტურისტული ტერიტორიის სარეკლამო კომპანიის ორგანიზება და ა.შ.

კვლევის ძირითად იდეას წარმოადგენს სამომხმარებლო, საინვესტიციო და სახელმწიფო დანახარჯთა ციკლების ურთიერთდაბალანსების პრინციპის შემუშავება, რომელზე დაყრდნობით მეტ-ნაკლებად შესაძლებელია ტურისტულ

ლი დანიშნულების პუნქტის მდგრადი განვითარების მიღწევა გრძელვადიან პერიოდში.

კვლევის მასშტაბები შემოსაზღვრულ იქნა ქვეყნის ტერიტორიული ერთეულის დონით. ამგვარი შემოსაზღვრის ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად ქვეყნის დონეზე დარგის განვითარების მრავალი ამოცანის გადაჭრისა, როგორცაა ქვეყნის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის რეკლამირება საერთაშორისო ბაზრებზე, დარგის განვითარების საერთო სტრატეგიის შექმნა და რეალიზაცია და ა.შ., ტურიზმთან დაკავშირებული ღონისძიებების დიდი ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ხორციელდება. იმდენად, რამდენადაც მსხვილ ტურისტულ ცენტრებს, რომლებიც მომხმარებელს ტურისტული მომსახურების დიდ მრავალფეროვნებას სთავაზობენ, ნაკლებად უნდებოდ განვითარების პრობლემები, ჩვენი კვლევა ძირითადად მცირე მასშტაბის ტურისტული დანიშნულების ადგილებზეა ორიენტირებული, რომელთაც ერთი-ორი საკვანძო ტურისტული ატრაქციონი გააჩნიათ.

კვლევის პირველ ნაწილში ჩამოკალიბდა ტურისტული დანიშნულების ადგილის, როგორც ერთი მთლიანი პროდუქტის, კონცეფცია, რომელსაც საკუთარი სასიცოცხლო ციკლი გააჩნია. ამგვარი მიდგომა არ არის ახალი, იგი ხშირად გამოიყენება დანიშნულების პუნქტის კონკურენტუნარიანობის კვლევის დროს მრავალი მკვლევარის მიერ.

კვლევის შემდეგი ნაწილი დაეთმო ტურისტული დანიშნულების ადგილის კერძო საინვესტიციო ციკლის იდენტიფიკაციას. კვლევა დაეყრდნო საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ ძირითად მაკრო და მიკროეკონომიკურ პოსტულატებს, ასევე დანიშნულების პუნქტებში საინვესტიციო საქმიანობის გამოკვლევათა მასალებს. შესწავლილ იქნა ინვესტიციების ციკლურობის წარმოშობი ძირითადი მიზეზები.

კვლევის მესამე ნაწილში იდენტიფიცირებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკა ტურიზმის სფეროში. დადგინდა ძირითადი დამოკიდებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების საერთო სტრატეგიას, ტურიზმის განვითარების ტერიტორიულ სტრატეგიას და დარგის განვითარებაზე მიმართულ თანხებს შორის. შემუშავდა ადგილობრივი ფინანსური პოლიტიკის ციკლურობის ძირითადი სქემა.

კვლევის მეოთხე ნაწილში დაისვა დანიშნულების პუნქტის განვითარების მერყეობის პრობლემა და შემუშავდა ის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მიზნები, რომლებსაც უნდა მიაღწიოს ტურიზმმა, როგორც კონკრეტული დანიშნულების პუნქტის მდგრადი განვითარების მთავარმა ფაქტორმა.

კვლევის დასკვნითი ნაწილი დაეთმო განვითარების სქემის შემუშავებას, რომლის ფარგლებშიც ტურისტული, საინვესტიციო და საბიუჯეტო ნაკადების ურთიერთკვეთა და ურთიერთდაბალანსება იწვევენ წინა ნაწილში დასმული სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიღწევას.

### თავი 1. დანიშნულების პუნქტი, როგორც პროდუქტი

სანამ გადავიდოდეთ დანიშნულების ადგილის, როგორც ერთი მთლიანი ტურისტული პროდუქტის, ანალიზზე, ჯერ უნდა გავარკვიოთ, შეიძლება თუ არა ტურისტული დანიშნულების პუნქტის ერთიან პროდუქტად განხილვა.

ბევრი ტურისტული ტერიტორია გამოირჩევა ერთი რომელიმე საკვანძო „პროდუქტით“ - მთავარი მიზიდულობის წერტილით, რომელიც ტურისტული ნაკადების მოდინების მთავარ მიზეზს წარმოადგენს. მაგალითად, ქობულეთი სწორედ ამგვარი ტერიტორიის მაგალითს წარმოადგენს – ტურისტები ქობუ-

ლეთში ზაფხულში პლაჟზე გასარუჯად ჩამოდიან. სეზონური ტიპის ამ კურორტის ინფრასტრუქტურა პლაჟზე დასასვენებლად ჩამოსული ადამიანების მომსახურებას შეესაბამება. ტურისტული პაკეტის შემადგენლობაში არსებული განთავსების, კვებისა და ტრანსპორტირების ელემენტები ამ ტერიტორიაზე მხოლოდ პლაჟების გამო არსებობს. რა თქმა უნდა, დამსვენებელს, პლაჟისაგან „თავისუფალ“ დროს, შეუძლია მოინახულოს არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარში, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, პეტრას ციხე, გაერთოს კლუბში და ა.შ. მაგრამ ყოველი ზემოთ აღნიშნული ელემენტი პლაჟზე დასვენების დანამატს წარმოადგენს და არ შეიძლება ცალკე მნიშვნელოვან ერთეულად იქნეს გამოყოფილი.

ამგვარი დანიშნულების პუნქტების, როგორც ერთიანი ტურისტული პროდუქტის განხილვა სავსებით შესაძლებელია, რადგან ისინი მომხმარებელს ერთ ძირითად პროდუქტს აწოდებენ სხვადასხვა დამატებით სერვისებთან ერთად.

თუმცა, არსებობს დანიშნულების მრავალი ადგილი, რომლებიც თავის თავში მოიცავენ არა ერთ, არამედ რამდენიმე ტურისტულ პროდუქტს. ტურისტული დანიშნულების მსხვილი პუნქტი, მაგალითად, თბილისი, მოგზაურს მრავალფეროვან შთაბეჭდილებებს სთავაზობს – ძველ და ახალ არქიტექტურას, რელიგიურ ტურს, ღვინის და სამზარეულოს ტურს, სადღესასწაულო ტურს, კულტურულ ტურებს და სხვ. მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, თბილისი, ასევე შეიძლება იქნეს განხილული, როგორც ერთიანი ტურისტული პროდუქტი. საქმე აქ იმაში კი არ არის, თუ რამდენად მრავალფეროვან პაკეტებს სთავაზობს მოცემული დანიშნულების პუნქტი ვიზიტორს, არამედ იმაში, აღიქვამს თუ არა ვიზიტორი დანიშნულების პუნქტს, როგორც ერთ მთლიანს.

ისეთ ქალაქში მოგზაურობის დროს, როგორც თბილისია, ნებისმიერი ვიზიტორი შეეცდება მაქსიმალურად შეეგრძნოს მოცემული ტურისტული ტერიტორიის მრავალფეროვნება. დანიშნულების პუნქტი ერთი მთავარი ტურისტული პროდუქტით და ტერიტორია რამდენიმე საკვანძო ტურით ერთნაირად პოზიციონირდება ვიზიტორის გონებაში იმ განსხვავებით, რომ ქობულეთი ასოცირდება ძირითადად პლაჟთან, ხოლო თბილისი - სხვადასხვა ტურისტული ღირშესანიშნაობების ერთობლიობასთან.

აქედან გამომდინარეობს ტურისტული პროდუქტის მკვეთრად და ტურისტული პოლიტიკის განმახორციელებელთა მოქმედებების სპეციფიკა – ქობულეთის დაგეგმვა და განვითარება ხდება ძირითადად პლაჟის ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ პლუს ღონისძიებები, რომლებიც სეზონის მაქსიმალურ გახანგრძლივებას ცდილობენ, თბილისის დაგეგმვა და განვითარება ძირითადად მიმდინარეობს არსებული ტურისტული პროდუქტების მოდიფიცირებისა და მათი მრავალფეროვნების გადიდების, ახალი ტურისტული პროდუქტების დაგეგმვისა და შეთავაზების მიმართულებით. ორივე შემთხვევაში ტურიზმის პოლიტიკის განმახორციელებლები ასევე აღიქვამენ ამ დანიშნულების პუნქტებს, როგორც ერთიან ტურისტულ პროდუქტს, რომელსაც განვითარების ერთიანი, კოორდინირებული პოლიტიკა ესაჭიროება.

რაში გვჭირდება იმის დადასტურება, რომ დანიშნულების პუნქტი ერთ მთლიან პროდუქტად შეიძლება იქნეს განხილული?! იმისათვის, რომ მოვარგოთ ამ კონცეფციას საქონლის სასიცოცხლო ციკლის ცნობილი კონცეფცია და წარმოვადგინოთ ტურისტული ტერიტორია, როგორც პროდუქტი, რომელსაც საკუთარი სასიცოცხლო ციკლი გააჩნია.

ტურისტული პროდუქტისადმი ამგვარი მიდგომა ხშირად გამოიყენება ტურიზმის ეკონომიკური ანალიზის განხორციელებისას, დაწყებული 1980 წლიდან, როდესაც ბატლერმა პირველად შემოიტანა მოცემული ინსტრუმენტი და დაყო ტურიზმის განვითარება აღმოჩენის, ჩართულობის, განვითარების, კონ-

სოლიდაციის, სტაგნაციის და დაცემის ეტაპებად [Butler, 1980; Butler, 2011; Getz, 1992; Coelho, Butler, 2012; Baum, 1998].

გარდა ამისა, ტურიზმის სასიცოცხლო ციკლის კავშირს დანიშნულების მოცემული ადგილის ტურიზმის პოლიტიკასთან, ეკონომიკურ განვითარებასთან, საინვესტიციო აქტიუობასთან, კონკურენტუნარიანობასთან და სხვა ფაქტორებთან მიძღვნილი აქვს მრავალი საინტერესო გამოკვლევა [Cole, 2007; Cole, 2012; Kamat, 2010; Golemski, Nawrot, Olszewski, Zmyslony, 2010; Butler, 2009; Butler, 2010; Williams, 1993; Garay, Canoves, 2011; Hovinen, 2002].

გაეიხსენოთ პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ეტაპები და შევეცადოთ მათი მეშვეობით ტერიტორიის, როგორც ერთიანი ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლის ეტაპების აღწერა.

ტურისტული პროდუქტის **შემუშავების ეტაპზე** ტურიზმის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მრავალმხრივი ორგანო ცდილობს შექმნას და გაატაროს ცხოვრებაში გარკვეული სიახლე, რომელიც ტურისტული ნაკადების მასშტაბების გადიდების წინაპირობა იქნება. ტურიზმის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მრავალმხრივი ორგანო წარმოადგენს დროებით ან მუდმივმოქმედ სტრუქტურას, რომელსაც ევალება შეიმუშავოს დანიშნულების მოცემულ პუნქტში ტურიზმის განვითარების სტრატეგია, გაატაროს იგი ცხოვრებაში და კონტროლი გაუწიოს მოცემული სტრატეგიის რეალიზაციას.

ამგვარი სტრუქტურა შეიძლება წარმოადგენდეს ადგილობრივ თვითმმართველობაში შემავალ ტურიზმის განვითარების განყოფილებას. მეორე მხრივ, ეს შეიძლება იყოს ტერიტორიის ტურისტულ სააგენტოთა ასოციაციის მიერ შექმნილი ტურიზმის განვითარების სპეციალური კომიტეტი, რომელშიც კერძო ბიზნესის წარმომადგენლები შედიან. ტურიზმის დაგეგმვა და ღონისძიებათა რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს მრავალმხრივი სამუშაო ჯგუფის ფუნქციონირების საფუძველზე, რომელშიც შედიან სახელმწიფო ორგანოთა, კერძო და აკადემიური, მასმედიის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმის პოლიტიკის მეკვლევეართა აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობა ტურიზმის პოლიტიკის დაგეგმვასა და რეალიზაციას მხოლოდ მულტილატერულ საფუძველზე, არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი აქტიურობა მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურული ქვედანაყოფების ან ადგილობრივ ტუროპერატორთა ერთობლივი მოქმედებებით შეიძლება ხორციელდებოდეს.

ნახაზზე 1 მოცემულია რეგიონის, როგორც ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის გრაფიკი. პროდუქტის შემუშავების ეტაპზე, როდესაც ტურიზმის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი ორგანო რეგიონის, როგორც ტურისტული პროდუქტის შექმნის ან არსებულის რეორგანიზაციის ეტაპზე იმყოფება, ტურისტული დანახარჯების ოდენობა მინიმალურია.

ბაზარზე **გატანის ეტაპი** ტურისტული დანიშნულების პუნქტისათვის გულისხმობს ტურისტული ნაკადის ნელი ტემპებით გადიდებას, რაც თავისთავად გულისხმობს ტურისტული დანახარჯების ნელი ზრდის ტემპებს. ამ დროს მოცემული ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია ნელ-ნელა ვრცელდება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე, ხოლო ტუროპერატორები და ტურსააგენტოები იწყებენ დანიშნულების პუნქტით დაინტერესებას, ტურისტები კი „სინჯავენ“ მოგზაურობას მოცემულ დანიშნულების პუნქტში. ბაზარზე გატანის ეტაპზე ტურისტული დანახარჯების ოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე პროდუქტის შემუშავების ეტაპზე.


**ზრდის ეტაპი** ბაზრის სწრაფი დაპყრობის ეტაპს გულისხმობს. ამ ეტაპზე ტურისტული ტერიტორია სულ უფრო მზარდ წილს მოიპოვებს ბაზარზე. ეს



ნიშნავს, რომ ტურისტული ნაკადების მოდინება დანიშნულების პუნქტში მზარდი ტემპებით ხორციელდება. ეს იწვევს ტურისტული დანახარჯების მკვეთრ ზრდას, რაც სასიცოცხლო ციკლის გრაფიკის აღმავლობით აისახება. ზრდის ეტაპის დადგომა ნიშნავს იმას, რომ მოცემული ტერიტორიის ტურისტული პროდუქტების „მოსინჯვის“ ფაზა დამთავრდა და ძირითადად მომხმარებელმა იგი მისაღებად ჩათვალია. თავისთავად ცხადია, ყოველი დანიშნულების პუნქტისთვის არსებობს საფრთხე იმისა, რომ „მოსინჯვის“ ფაზა აღარ გადავიდეს ზრდის ფაზაში, თუ მომხმარებლებმა მოცემული ტურისტული პროდუქტი არ მიიღეს.

**სიმწიფის ეტაპზე** ტურისტული ნაკადების ზრდის ტემპი მცირდება, რადგან პოტენციური ვიზიტორების ძირითადი მასა უკვე მოზიდულია. ამ ეტაპზე ტურისტული დანახარჯების მოცულობა მაქსიმუმს აღწევს. ეს ნიშნავს, რომ მოცემული დანიშნულების პუნქტი სტაბილური წარმატების ფაზაში იმყოფება, მოთხოვნა გაჯერებულია და სავარაუდოდ მოცემული ტერიტორია დატვირთვის მაქსიმუმზე მუშაობს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ჩნდება დაცემის ნიშნები, რომლებიც ვიზიტორთა მხრიდან მოცემული დანიშნულების პუნქტის „მოყირჭებით“ არის გამოწვეული, რაც გამოიხატება ტურისტული დანახარჯების მოცულობის გარკვეული შემცირებით.

**დაცემის ფაზაში** ტურისტული ნაკადის სიდიდე შემცირებას იწვევს, რაც ტურისტული დანახარჯების შემცირებას ნიშნავს. ამ ეტაპზე მოცემული ტერიტორიის მიერ შემოთავაზებული ტურისტული პროდუქტები პოტენციურ ვიზიტორთა დიდი ნაწილისათვის უინტერესო ხდება, რადგან მათ სიახლე და დანიშნულების ახალი ადგილები უფრო იზიდავთ. სასიცოცხლო ციკლი დაღმავალ ფორმას ღებულობს.



**ნახ.1. რეგიონის, როგორც ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი**

სასიცოცხლო ციკლის ინსტრუმენტის გამოყენების დროს ისმის კითხვა – სრულად შეესაბამება თუ არა სასიცოცხლო ციკლის ფაზები დანიშნულების პუნქტის განვითარების ლოგიკას? შეიძლება არსებობდეს ტურისტული ტერიტორიები, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ დაცემის ფაზა და აღმავლო-

ბის ფაზის შემდეგ მათი სასიცოცხლო ციკლი ჰორიზონტალურ ფორმასღებულობს. მაგალითად, კურორტს, რომელიც რომელიმე ავადმყოფობის მკურნალობასთანაა დაკავშირებული, ყოველთვის ეყოლება ვიზიტორთა გარკვეული, სტაბილური ოდენობა.

ამ კითხვაზე პასუხს ტურიზმში არსებული თანამედროვე ტენდენციები გვაძლევს – პრაქტიკულად ვერც ერთი ტურისტული ტერიტორია დედამიწის ზურგზე, თუ არ ჩავთვლით განსაკუთრებული ისტორიული და კულტურული ღირებულების მსხვილ ცენტრებს, ვერ ჩათვლის თავს დაცულად კონკურენციისაგან. თანამედროვე მსოფლიოში ყოველდღე ჩნდება ახალი, დივერსიფიცირებული დანიშნულების ადგილები, ხოლო საზღვრების მოშლა და ტრანსპორტის განვითარება ვიზიტორისათვის ხელმისაწვდომს ხდის ნებისმიერ წერტილს დედამიწაზე. ამდენად, ნებისმიერი ტურისტული ადგილისთვის სასიცოცხლო ციკლი ადრე თუ გვიან დაცემის ფაზაში გადავა.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთთქმულს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- ნებისმიერი ტურისტული დანიშნულების პუნქტი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ერთიანი ტურისტული პროდუქტი, რომელსაც, სხვა პროდუქტების მსგავსად, საკუთარი სასიცოცხლო ციკლი გააჩნია;

- ტურისტული ტერიტორია გადის სასიცოცხლო ციკლის შემუშავების, ბაზარზე გატანის, ზრდის, სიმწიფისა და დაცემის ფაზებს, რომლის დროსაც იცვლება ვიზიტორთა ნაკადებისა და ტურისტული დანახარჯების მოცულობა;

- თანამედროვე გლობალური ტენდენციები უზრუნველყოფს იმას, რომ ნებისმიერი ტურისტული დანიშნულების ადგილი გარკვეულ ეტაპზე გადადის დაცემის ფაზაში.

## თავი 2. კერძო საინვესტიციო ციკლი

ამ ნაწილში შევეცდებით ვუპასუხოთ კითხვას, როგორია ტურისტულ ტერიტორიაზე საინვესტიციო აქტივობის დინამიკა და რა კავშირშია იგი ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არ განვიხილავთ მულტიპლიკატორულ ეფექტებს. ტურისტულ, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯებს გააჩნიათ საკუთარი მულტიპლიკატორული ეფექტები, რომლითაც ისინი მოქმედებენ დანიშნულების პუნქტის ეკონომიკაზე. ანალიზის სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ მულტიპლიკატორული ეფექტი არ არსებობს. ეს არც ისე სწორია ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ მოსახერხებელია, როდესაც დანახარჯთა სხვადასხვა ციკლების ურთიერთგავლენას განვიხილავთ. ჩვენს მიერ განხილული ფაზები პრინციპში მოიცავს დროის იმდენად ხანგრძლივ პერიოდს, რომ ნებისმიერი დანახარჯის მულტიპლიკატორული ეფექტი სავარაუდოდ არ გადავა შემდეგ ფაზაზე და ამდენად ვერ მოახდენს გავლენას მომდევნო ფაზაში განხორციელებულ დანახარჯთა საერთო ჯამზე. ამდენად, ანალიზის გამარტივების მიზნით ჩვენ უბრალოდ „გავაქრეთ“ ყოველი ტიპის დანახარჯის მულტიპლიკატორული ეფექტი.

სწორედ ამის გამო, წინა თავში განხილულ იქნა ტურისტული დანახარჯების სიდიდე, რაშიც იგულისხმება მხოლოდ ვიზიტორთა მიერ განხორციელებული დანახარჯები და არა ამ თანხების შემდგომი ბრუნვა ტურისტულ ტერიტორიაზე. ამავე მიზეზით, ჩვენ განვიხილავთ ინვესტიციებს მხოლოდ იმ საწარმოებში, რომლებსაც უშუალო კონტაქტები გააჩნიათ ვიზიტორებთან და არ მივაქცევთ ყურადღებას მეორად ინვესტიციებს, რომლებიც ამ საწარმოების მომსახურე დარგებში განხორციელდა, ასევე ამ საინვესტიციო დანახარჯთა შემდგომ ბრუნვას მოცემულ ტერიტორიაზე. იგივე მიზეზით ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ მთავრობის დანახარჯებს დანიშნულების პუნქტის, როგორც ტუ-

რისტული პროდუქტის შექმნის, რეკლამირებისა და შენარჩუნების მიზნით და არა ამ დანახარჯთა შემდგომ ბრუნვას ეკონომიკაში.

როგორც ცნობილია, ინვესტიციებს მერყევი ბუნება გააჩნიათ. ამგვარ მერყეობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს – ინვესტორთა მოლოდინები, ეკონომიკური ზრდის ტემპები, კონკრეტული დარგის გაფართოებისა და შემცირების ტენდენციები, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის დონე და ა.შ.

ჩვენი ანალიზის მიზნით გავაკეთოთ დაშვება, რომ ინვესტიციების ყველა დეტერმინანტი, გარდა ტურიზმის დარგის შეკვეცა-გაფართოების ფაქტორისა, უცვლელი რჩება. ვნახოთ, რა გავლენას ახდენს ინვესტიციების დინამიკაზე დანიშნულების პუნქტის მიერ სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზების გავლა.

თუმცა, სანამ ფაზების დეტალურ განხილვას შევუდგებოდეთ, კიდევ ერთ დეტალზე უნდა შევთანხმდეთ. ლოგიკურია, რომ ინვესტორები, რომლებიც აპირებენ გადაწყვეტილების მიღებას სასტუმროებში, რესტორნებში, ტრანსპორტსა თუ ატრაქციონებში, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირს იღებენ დარგის განვითარების პერსპექტივებზე და თუ ეს პერსპექტივები პოზიტიურია, მაშინ ისინი დადებით გადაწყვეტილებას მიიღებენ, ხოლო ნეგატიურის შემთხვევაში უარს იტყვიან ინვესტირებაზე.


მაგრამ როგორ მიიღება ამგვარი გადაწყვეტილება? ეკონომისტთა ნაწილი თვლის, რომ მეწარმეები რაციონალური მოლოდინის თეორიის მიხედვით მოქმედებენ, რაც ნიშნავს, რომ პოტენციური ინვესტორი ფლობს საკმარის ინფორმაციას და გააჩნია ანალიტიკური უნარი, სწორად შეაფასოს დარგში შექმნილი სიტუაცია, ზუსტად გააკეთოს დარგის განვითარების პროგნოზი და ამ პროგნოზის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება ინვესტირების განხორციელების შესახებ. რაციონალური მოლოდინის თეორიაზე დაყრდნობა ჩვენი ანალიზისათვის ნიშნავს იმას, რომ ინვესტორები ზუსტად ხვდებიან ტურისტული ტერიტორიის სასიცოცხლო ციკლის განვითარების მიმართულებას და მათი საინვესტიციო გადაწყვეტილებები წინ უსწრებს სასიცოცხლო ციკლის ფაზებს. ანუ, როდესაც დანიშნულების პუნქტი აღმავლობის ფაზაში გადადის, მეწარმეებმა წინასწარ იციან ამის შესახებ და აღმავლობის ფაზის დაწყებამდე იწყებენ საინვესტიციო დანახარჯების განხორციელებას. ეს ნიშნავს, რომ საინვესტიციო ციკლი ოდნავ უსწრებს წინ სასიცოცხლო ციკლს.

რაციონალური მოლოდინის თეორია ნაკლებად გამოდგება ტურიზმის დარგში ინვესტორთა ქცევის აღწერისათვის. ეს არ არის ფასიანი ქაღალდის ბაზარი, რომელზეც პროფესიონალი მოთამაშეები რთული მათემატიკური მოდელების მეშვეობით ახორციელებენ ბაზრის პროგნოზირებას. ჩვენ განვიხილავთ ტურისტული პროდუქტის ინდუსტრიას, რომელიც მოიცავს ბიზნესმენებს, რომლებიც ახორციელებენ განთავსების, კვების, ტრანსპორტირებისა და ატრაქციონების მომსახურებას და უმეტეს შემთხვევაში, წარმოდგენაც არა აქვთ საქონლის სასიცოცხლო ციკლზე. ეს ადამიანები გადაწყვეტილებას მომავალი ინვესტიციების შესახებ დღევანდელი და წარსული რეალობიდან გამომდინარე ღებულობენ. თუ ისინი ხედავენ გარკვეულ პოზიტიური ტენდენციებს დღეს, მაშინ დიდი ალბათობით მიღებული იქნება გადაწყვეტილება არსებული სიმძლავრეების გაფართოების ან ახალი სიმძლავრეების შექმნის შესახებ. ამდენად, უფრო უპრიანია ვილაპარაკოთ ადაპტური მოლოდინის თეორიაზე, როგორც ინვესტორთა ქცევის უფრო კარგ აღმწერზე.

ადაპტური მოლოდინის თეორიის მიხედვით ინვესტორები ცვლიან თავიანთ საქციელს სიტუაციის ცვლილებაზე პასუხად. ეს ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება ტურისტულ ობიექტში ინვესტიციის შესახებ უმეტეს შემთხვევაში მიიღება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინვესტორი დაინახავს, რომ მოცემულ

ტერიტორიაზე დაფიქსირდა საკმარისი ტურისტული ნაკადი საკმარისი ზრდის ტემპით. მეწარმემ ჯერ მოგება უნდა დაინახოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს სასტუმროს, რესტორნის ან ატრაქციონის მშენებლობას.

თუ ინვესტორები ადაპტური მოლოდინის თეორიის მიხედვით მოქმედებენ, რაც უფრო მისაღები და ლოგიკურია, ვიდრე რაციონალური მოლოდინის თეორიის პოსტულატების მიხედვით მოქმედება, მაშინ საინვესტიციო ციკლი ცოტათი ჩამორჩება ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლს. ამგვარი ჩამორჩენის პერიოდი უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ინვესტირების განხორციელებას გარკვეული დრო სჭირდება. მკვეთრად გამოხატულ სეზონურ ტურისტულ ტერიტორიებზე ამგვარი ჩამორჩენა უფრო მკაფიო სახეს ღებულობს.



ნახ.2. კერძო საინვესტიციო დანახარჯები სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზაში

ნახაზი 2 გვიჩვენებს საინვესტიციო აქტიურობის სიდიდეს ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზებში. როგორც ნახაზიდან ჩანს, პროდუქტის შემუშავების ეტაპზე საინვესტიციო აქტიურობა საერთოდ არ ფიქსირდება – ინვესტორები არ ახორციელებენ აქტიურ მოქმედებებს, რადგან ვერ ხედავენ ტურისტულ ნაკადებს, და შესაბამისად, ვერც პოტენციურ მოგებას თავიანთ ინვესტიციებზე.

ინვესტორთა გააქტიურების პერიოდად შეიძლება ბაზარზე გატანის ეტაპი ჩავთვალოთ. ამ დროს ტურისტული ტერიტორია იწყებს ვიზიტორთა პირველი ნაკადების მოზიდვას, რაც ზრდის მოცემულ ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა ტურისტული ობიექტების შემოსავლებს და მოგებას. ეს იზიდავს პოტენციურ ინვესტორებს, რომლებიც ნელ-ნელ იწყებენ ტურისტული ინდუსტრიისათვის სიმძლავრეების დამატებას.


კაპიტალდაბანდებათა ოდენობა უფრო აქტიურ ფაზაში გადადის, როდესაც მოცემული ტერიტორია ზრდის ეტაპს მიაღწევს. ახლა უკვე აშკარა ხდება, რომ დანიშნულების პუნქტის ტურისტული პროდუქტები მოწონებით სარგებლობს ვიზიტორთა შორის, რაც მათ ნაკადებს სწრაფი ტემპით ადიდებს, რასაც ინვესტორები კაპიტალდაბანდებათა გაზრდილი რაოდენობით პასუხობენ. ტურისტული ნაკადები გამუდმებით მატულობს, რაც მეწარმეებს აძლევს სა-

შუალეხას გააკეთონ დასკვნები ბაზრის დადებითი პერსპექტივების შესახებ, ამიტომ საინვესტიციო აქტიურობის ტემპები მატულობს მაშინაც კი, როდესაც ტურისტული დანიშნულების ადგილი **სიმწიფის ფაზას** აღწევს და ტურისტული ნაკადების ზრდის ტემპები მცირდება.

ტურისტული ნაკადების ოდენობა და ზრდის ტემპი სტატისტიკური მანკვინებლობია, რომლებიც მეტ-ნაკლები სიახლოვით დგინდება და ზუსტდება შესაბამისი ორგანოების მიერ გარკვეული პერიოდისათვის. ცალკე აღებულ მეწარმეს ნაკლები შესაძლებლობა აქვს ზუსტად განსაზღვროს ტურისტული ნაკადების სიდიდე და მათი ზრდის ტემპი მანამ, სანამ ამის შესახებ ინფორმაციას არ გამოაქვეყნებს სტატისტიკური სამსახური. ამდენად, მეწარმე ხედავს, რომ ტურისტული ნაკადები იზრდება, და მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაკადის ზრდის ტემპი შემცირებას იწყებს, მეწარმე აგრძელებს საკუთარ აქტიურ საინვესტიციო პოლიტიკას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნიშნავს იმას, რომ იმ მომენტისათვის, როცა ტერიტორიამ უკვე გაიარა სიმწიფის ფაზა და **დაცემის ეტაპზე** გადავიდა, საინვესტიციო აქტიურობა აგრძელებს თავის აღმასვლას და სავარაუდოდ სწორედ მაშინ მიაღწევს პიკს, როდესაც ტურისტულ ტერიტორიაზე დაცემა იწყება. ადაპტური მოლოდინის თეორიის მიხედვით მოქმედი მეწარმეები მხოლოდ ამ ფაზის ბოლოს, როდესაც სეზონის ბოლოს მონაცემთა შეგროვების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების დრო მოდის, ხვდებიან, რომ დაიწყო დაცემა და იწყებენ კაპიტალდაბანდებათა ოდენობის შემცირებას.

საინვესტიციო ციკლის დაგვიანება ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლთან შედარებით საშუალებას გვაძლევს წამოვაყენოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი მოსაზრება.



**ნახ.3. დეფიციტი ტურისტული მომსახურების ბაზარზე ინვესტიციების დაგვიანების გამო**

უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც, ტურისტული დანიშნულების პუნქტი გადადის აღმავლობის ფაზაში, პოტენციური ინვესტორები კი დაგვიანებით რეაგირებენ ამ სიტუაციაზე. მოცემული პროცესი ასახულია ნახაზზე 3.

ნახაზი აჩვენებს საწყის მდგომარეობას ტურისტული პროდუქტის ბაზარზე (P1;Q1). უნდა აღინიშნოს, რომ მიწოდების ვერტიკალური S1 გრაფიკი

ასახავს დაშვებას, რომ უმოკლეს პერიოდში ტერიტორია აწოდებს ფიქსირებული ოდენობის ტურისტულ პროდუქტებს ვიზიტორებს და ამ პერიოდში არ შეუძლია შეცვალოს წარმოების მოცულობა. რაც შეეხება მოთხოვნის D1 მრუდს, იგი სტანდარტული დადამავალი ფორმით არის ასახული.

ჩვენი შემდეგობი ანალიზი ეხება ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის აღმავალ ფაზას, რომლის დროსაც მოთხოვნა უფრო სწრაფი ტემპით იზრდება D1-დან D2-მდე, ხოლო მიწოდების ზრდის ტემპი უფრო დაბალია და უზრუნველყოფს გადაადგილებას S1-დან მხოლოდ S2-მდე. მიწოდების ზრდის ტემპი მცირეა, რადგან ჩვენს მიერ გაკეთებული დასკვნის შესაბამისად, ინვესტორები დაგვიანებით რეაგირებენ ტურისტული ნაკადების ზრდაზე, რის გამოც ტურისტული ინდუსტრიის სიმძლავრეები ნელი ტემპებით მატულობს.

რა შედეგამდე მივყავართ ამგვარ ცვლილებებს ბაზარზე? უპირველეს ყოვლისა, ფიქსირდება ტურისტული პროდუქტის დეფიციტი, რადგან დანიშნულების პუნქტს P1 ფასად შეუძლია მიაწოდოს მხოლოდ Q2 ოდენობის ტურისტული პროდუქტი. ამავე დროს კი ამ ფასად არსებობს მოთხოვნა Q1-1 ოდენობის მომსახურებაზე. ამ ორ მაჩვენებელს შორის სხვაობა წარმოადგენს დეფიციტს ბაზარზე. ასეთი სიტუაცია ძალიან ხშირია და განსაკუთრებით მწვავედ აისახება განთავსების საშუალებათა სექტორში.

რატომ P1 ფასად? იმიტომ, რომ ტურისტული ბაზრისთვის ზოგადად დამახასიათებელი სეზონურობის გამო წარმოების მომდევნო ციკლისათვის ტუროპერატორები და ტურისტული ბაზრის სხვა მონაწილეები სავარაუდო ფასებს სწორედ წინა სეზონის ფასებზე დაყრდნობით საზღვრავენ.


მოთხოვნის სიჭარბე მიწოდებასთან შედარებით იწვევს იმას, რასაც ხშირად ვაკვირდებით ტურისტულ დანიშნულების პუნქტებში – ფასების გადიდებას რეგიონის, როგორც ტურისტული პროდუქტის სხვადასხვა შემადგენელ ელემენტებზე. გრაფიკულად ეს ასახულია ბაზრის სვლით ახალი წონასწორობისაკენ (P2;Q2).

ახლა განვიხილოთ საპირისპირო სიტუაცია, როდესაც, ტურისტული ტერიტორია გადადის დაცემის ფაზაში, პოტენციური ინვესტორები კი კვლავ დაგვიანებით რეაგირებენ ამ სიტუაციაზე. მოცემული პროცესი ასახულია ნახაზზე 4.

ნახაზი 4 აჩვენებს საწყის მდგომარეობას ბაზარზე, რომელზეც არსებობს წონასწორობა (P2;Q2). ჩვენი შემდეგობი ანალიზი ეხება ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის დადამავალ ფაზას, რომლის დროსაც მოთხოვნა მცირდება D2-დან D3-მდე, ხოლო მიწოდება აგრძელებს ზრდას S2-დან S3-მდე. მიწოდება ზრდას აგრძელებს ჩვენს მიერ გაკეთებული დასკვნების შესაბამისად, როცა ინვესტორები დაგვიანებით რეაგირებენ ტურისტული ნაკადების კლებაზე და აგრძელებენ კაპიტალდაბანდებად მიუხედავად სასიცოცხლო ციკლის დაცემის ეტაპის დაწყებისა.

რა შედეგამდე მივყავართ ამგვარ ცვლილებებს ბაზარზე? უპირველეს ყოვლისა, ფიქსირდება ტურისტული პროდუქტის სიჭარბე, რადგან დანიშნულების პუნქტს P2 ფასად შეუძლია მიაწოდოს Q3 ოდენობის მომსახურება, ამავე დროს კი ამ ფასად არსებობს მოთხოვნა Q2-2 ოდენობის მომსახურებაზე. ამ ორ მაჩვენებელს შორის სხვაობა წარმოადგენს სიჭარბეს ბაზარზე.

რატომ P2 ფასად? აქ იგივე მიზეზი მოქმედებს, რაც წინა შემთხვევაში – ტურისტული ბაზრისთვის ზოგადად დამახასიათებელი სეზონურობის გამო წარმოების მომდევნო ციკლისათვის ტუროპერატორები და ტურისტული ბაზრის სხვა მონაწილეები სავარაუდო ფასებს სწორედ წინა სეზონის ფასებზე დაყრდნობით საზღვრავენ.



**ნახ.4. სიჭარბე ტურისტული მომსახურების ბაზარზე ინვესტიციების დიდი ოდენობის გამო**

მიწოდების სიჭარბე მოთხოვნასთან შედარებით იწვევს ფასების დაცემას რეგიონის, როგორც ტურისტული პროდუქტის სხვადასხვა შემადგენელ ელემენტებზე. გრაფიკულად ეს ნიშნავს ბაზრის სვლას ახალი წონასწორობისაკენ (P3;Q3).

შევაჯამოთ ჩვენი ანალიზის შედეგები:

- ტურისტულ პროდუქტში ინვესტირებას ციკლური ხასიათი გააჩნია, ხოლო თავად ინვესტორები ადაპტური მოლოდინის თეორიის პოსტულატების შესაბამისად მოქმედებენ, რაც ნიშნავს, რომ საინვესტიციო ციკლი დროში ჩამორჩება რეგიონის, როგორც ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლს. ეს ნიშნავს, რომ ინვესტიციები ზრდას იწყებენ დაგვიანებით სასიცოცხლო ციკლის ზრდის ფაზებთან მიმართებაში. კაპიტალდაბანდებათა კლება ასევე იწყება მას შემდეგ, როცა ტურისტული პროდუქტი უკვე გადასულია დაცემის ფაზაში;

- სასიცოცხლო და საინვესტიციო ციკლების დაუმთხვეველობა ტურისტულ ბაზარზე იწვევს განსხვავებებს მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდეებს შორის, რასაც მიუყვართ დეფიციტისა და ფასების ზრდისაკენ ან სიჭარბისა და ფასების კლებისაკენ.

### თავი 3. ტურიზმის პოლიტიკის ციკლი

დანიშნულების პუნქტის, როგორც ტურისტული პროდუქტის, სასიცოცხლო ციკლის და კაპიტალდაბანდებათა დინამიკის იდენტიფიცირების შემდეგ საჭიროა მთავრობის დანახარჯების გაანალიზება. ძირითადი პოსტულატი რომლის დამტკიცებასაც შევეცდებით, იმაში მდგომარეობს, რომ სხვა თანაბარ პირობებში, დანიშნულების ადგილის მთავრობა ხარჯავს იმდენს, რამდენი შემოსავალიც გააჩნია. ჩვენი ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების ტემპების გადიდება ნიშნავს გაზრდილ საგადა-

სახალო შემოსავლებს ბიუჯეტში, ხოლო გაზრდილი საგადასახალო შემოსავლები საშუალებს აძლევს მთავრობას მეტი ფული დახარჯოს საკუთარი ფუნქციების შესრულებისათვის. გაზრდილი საბიუჯეტო შემოსავლების ხარჯზე მთავრობა ახორციელებს დამატებით კაპიტალდაბანდებებს ინფრასტრუქტურაში, უზრუნველყოფს ტერიტორიას საზოგადოებრივი პროდუქტებით, კომუნალური სერვისებით, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მომსახურებით, ახორციელებს ტერიტორიის სარეკლამო კამპანიას და ა.შ.

საბიუჯეტო პროცესის სპეციფიკურობა კიდევ ერთი არგუმენტია ჩვენი პოსტულატის სასარგებლოდ. როგორც წესი, საბიუჯეტო წლის განმავლობაში გაზრდილი შემოსავლები მიგვიყვანს ბიუჯეტში ცვლილების შეტანამდე, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ ეს გაზრდილი შემოსავლები გადიდებულ საბიუჯეტო დანახარჯებში აისახოს. თუ მოცემულ ტერიტორიაზე ფიქსირდება ტურისტთა მცირე ნაკადი, ბიუჯეტშიც ცოტა ფული შედის და იქიდანაც ნაკლები იხარჯება, მეორე მხრივ, ტურისტული დანახარჯების მატება ნიშნავს საბიუჯეტო შემოსავლებისა და სამთავრობო ხარჯების ზრდასაც.

ნებისმიერი პროდუქტისათვის სასიცოცხლო ციკლის საქონლის შემუშავების ეტაპი გულისხმობს იმას, რომ კომპანია მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს ახორციელებს პროდუქტის შემუშავებაში, ბაზრის კვლევაში, ორიგინალური ტექნოლოგიის შემუშავებასა და შესაბამისი მანქანა-დანადგარების შექმნა-დამონტაჟებაში, დიზაინის, სარეკლამო კომპანიის გასაღების ქსელების შემუშავებასა და ორგანიზაციაში. ყოველივე ეს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებთან არის დაკავშირებული. ამის გათვალისწინებით, უპირანი ხომ არ იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ სწორედ საქონლის შემუშავების ეტაპზე არის სახელმწიფო დანახარჯები ყველაზე დიდი და ნელ-ნელა კლებულობს ციკლის შემდეგ ეტაპებზე გადასვლის პარალელურად?


ამ კითხვაზე შეიძლება უარყოფითად ვუპასუხოთ ჩვენი პროდუქტის ორიგინალურობის და სპეციფიკურობის გამო. საქმე იმაშია, რომ „საქონლის შემუშავების“ ეტაპი მთავრობისათვის არც ისე დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. დანიშნულების ადგილი, როგორც ტურისტული პროდუქტი, სამთავრობო, ბიზნეს და სამოქალაქო „სერვისების“ უნიკალურ ნაკრებს წარმოადგენს. მთავრობა უზრუნველყოფს ნორმალურ ინფრასტრუქტურას, კომუნალურ სერვისებს, ჯანდაცვასა და უსაფრთხოებას, ასევე გარემოსა და კულტურის დაცვის ღონისძიებებს – ესაა ჩვეულებრივი მომსახურება, რომელსაც ახორციელებს ნებისმიერი დანიშნულების ადგილის ნებისმიერი თვითმმართველობა იმის მიუხედავად ტურისტულია ეს ტერიტორია, თუ არა. ბიზნეს-სექტორი უზრუნველყოფს განთავსებას, კვებას, ტრანსპორტირებას და ატრაქციონებს, ადგილობრივი მოქალაქეები კი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ქმნიან უნიკალურ და სხვა დანიშნულების პუნქტებისაგან განსხვავებულ კულტურულ გარემოს. ამ სამი ელემენტის ერთობლიობა ქმნის სწორედ იმას, რასაც ჩვენ ტურისტულ პროდუქტს ვუწოდებთ.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მთავრობის პოლიტიკაზე ტურიზმის სფეროში, ძირითადად უნდა ვიგულისხმოთ დარგის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრის პროცედურა და ამ სტრატეგიის ფარგლებში ხელთ არსებული საბიუჯეტო რესურსების მიმართულების განსაზღვრა. როგორც წესი, მთავრობის პოლიტიკა ტურიზმის სფეროში არ ნიშნავს რაიმე დამატებითი სახსრების მოზიდვას და დარგის განვითარებაზე დახარჯვას, არამედ იმ საფინანსო რესურსების ხარჯვის ორიენტირების შეცვლას, რომელიც ამ მომენტისათვის გააჩნია მთავრობას ბიუჯეტში, მაგალითად, ხარჯვით ნაწილში ტერიტორიის რეკლამირებაზე გარკვეული სახსრების გამოყოფას. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია



ვამტკიცოთ, რომ მთავრობის ტურიზმის პოლიტიკის ციკლი პარალელურად მიჰყვება სასიცოცხლო ციკლს.

ნახაზი 5 გვიჩვენებს მთავრობის დანახარჯების ოდენობას ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზაში.



ნახ.5. მთავრობის დანახარჯები სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზაში

**პროდუქტის შემუშავების ეტაპზე.** როგორ უკვე ავღნიშნეთ, მთავრობა იყენებს ხელთ არსებულ ფინანსურ რესურსებს და ცვლის მათ მიმართულებას ტურისტზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. თუმცა, მთავრობის ხელთ არსებული რესურსები, გამომდინარე მოცემულ ტერიტორიაზე ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპებიდან, მცირე მოცულობისაა.

**ბაზარზე გატანის ეტაპზე** ტურისტული დანახარჯების ზრდას თან ახლავს მთავრობის ხარჯების გადიდებაც. ჩამორჩენა შეიძლება დროში ძალიან უმნიშვნელო იყოს – მაქსიმუმ ერთი სეზონი. ბიუჯეტში შესული გადასახადების მაღალი დონე საშუალებას აძლევს ტურიზმის პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს უფრო მეტი დახარჯოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიაზე, უზრუნველყოს სხვადასხვა დამატებითი საზოგადოებრივი სერვისები მოგზაურთათვის, მაგალითად, სხვადასხვა სახის ფესტივალები.

ჩვენი ანალიზის დროს შეგნებულად არ მივაქციეთ ყურადღება ფისკალური ფედერალიზმის საკითხებს. ტურისტების მიერ დახარჯული თანხების ნაწილის გადასახადის ფორმით შესვლა ცენტრალურ, ტერიტორიულ თუ ადგილობრივ ბიუჯეტში, გადასახადის განაწილების წესი სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის, საგადასახადო შემოსავლების გადანაწილება სხვადასხვა ტერიტორიებს შორის და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი საბიუჯეტო ფინანსების სფეროდან ჩვენი ანალიზიდან გამოვრიცხეთ და ავიღეთ მხოლოდ ერთი მარტივი პრინციპი – რაც მეტია ეკონომიკური განვითარება, მით მეტია გადასახადები და მით მეტი შესაძლებლობა აქვს მთავრობას ფული ხარჯოს ამა თუ იმ მიმართულებით.

**ზრდის ეტაპი** მთავრობას ხარჯვის უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს. ტურიზმის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს საშუალება ეძლევა ბოლომდე გამოიყენოს ეკონომიკური ზრდის ყველა სარგე-

ბელი და კიდევ უფრო გააძლიეროს საზოგადოებრივი და კვაზისაზოგადოებრივი პროდუქტების მიწოდების სიდიდე ტურისტული პროდუქტის ბაზრისათვის.

**სიმწიფის ეტაპზე** მთავრობის დანახარჯები კვლავ მიჰყვება ტურისტულ დანახარჯებს. ამ ფაზაში ტურისტული დანახარჯები პიკს აღწევს, თუმცა ზრდის ტემპები მცირდება, მთავრობის დანახარჯებიც იგივე გზას იმეორებს.

კიდევ ერთი დაშვება, რომელიც ჩვენი ანალიზის დროს გვჭირდება არის დაშვება ადგილობრივი სამომხმარებლო დანახარჯების უცვლელობის შესახებ. ეკონომიკური ლოგიკის თვალსაზრისით, რაც უფრო მეტი ფული ტრიალებს ეკონომიკურ სისტემაში, მით უფრო მაღალია სამომხმარებლო ხარჯები, რაც ნიშნავს, რომ წესით და კანონით ტურისტული დანახარჯების გაძვირებას თან უნდა მიჰყვეს ადგილობრივი მოქალაქეების მიერ სამომხმარებლო ხარჯების ზრდაც. მიუხედავად ამისა, და იქედან გამომდინარე, რომ სამომხმარებლო დანახარჯები მაკროეკონომიკური თეორიის მიერ დანახარჯთა შორის ყველაზე ნაკლებად მერყევე ელემენტად ითვლება, ჩვენი ანალიზის ზედმეტად გართულების თავიდან ასაცილებლად, ამ დანახარჯებს კონსტანტად ჩავთვლით და საერთოდ არ განვიხილავთ.

სიმწიფის ეტაპს **დაცემის ეტაპი** მოჰყვება, რომლის დროსაც მთავრობა ზუსტად იმას აკეთებს, რასაც მოგზაურები – ამცირებს დანახარჯების ოდენობას. ტურისტული დანახარჯების ოდენობის შემცირებას ახლავს საბიუჯეტო რესურსების შემცირებაც, რაც თავისთავად იწვევს სახელმწიფო დანახარჯების ოდენობის შეკვეცას. მთავრობას უწევს ტურიზმის პოლიტიკასთან დაკავშირებული დანახარჯების ყველა ტიპის შეკვეცა, დაწყებული ტერიტორიის სარეკლამო კამპანიიდან, დამთავრებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებებით.

ამრიგად, ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, რამდენიმე დასკვნის გაკეთება შეიძლება:

- **დანიშნულების ადგილი, როგორც ტურისტული პროდუქტი, კერძო ბიზნესის, მთავრობის და ადგილობრივი მოქალაქეების მოქმედებათა უნიკალურ ნაზავს წარმოადგენს;**

- **ტურისტული ტერიტორიის დაგეგმვის ეტაპზე მთავრობის როლი უფრო მეტად ტურიზმის დარგის განვითარების სტრატეგიის შექმნასა და ხელთ არსებული საბიუჯეტო რესურსების სწორ მიმართვაში გამოიხატება და არა კოლოსალურ კაპიტალდაბანდებებში;**

- **მთავრობა ხარჯავს იმდენს, რამდენი საბიუჯეტო რესურსიც გააჩნია. ამდენად მთავრობის ტურიზმის პოლიტიკის ციკლი ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის პარალელურად მიმდინარეობს, რომელიც საბიუჯეტო შემოსავლების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.**

#### **თავი 4. ციკლების ურთიერთდამთხვევის შედეგი ტურისტული დანიშნულების პუნქტისათვის**

წინა სამ თავში ჩვენ მოვახდინეთ სხვადასხვა სახის სამი მნიშვნელოვანი დანახარჯის დინამიკის იდენტიფიცირება: ტურისტული დანახარჯების, საინვესტიციო დანახარჯების და მთავრობის დანახარჯების. დროა გავაერთიანოთ სამივე მათგანი და ვნახოთ, რა შედეგი მოაქვთ მათ ერთობლიობაში დანიშნულების მოცემული პუნქტისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, სამომხმარებლო დანახარჯები კონსტანტად ჩავთვალეთ და საერთოდ ამოვიღეთ ანალიზიდან.

ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ განხილულ დანახარჯთა ციკლების მოქმედების შედეგი მოდელის მეშვეობით, რომელშიც მოცემულია ციფრობრივი მონაცემები ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯთა ოდენობის შესახებ

სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზაში და მოცემული იქნება მათი შეჯამების შედეგები. ასეთი ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილში 1, ასევე ნახაზებზე 6 და 7.


დანიშნულების პუნქტში დახარჯული თანხების ჯამური მოცულობა განსაზღვრავს მთლიანი შიდა რეგიონული პროდუქტის სიდიდეს. თუ ტურისტული, საინვესტიციო და სამთავრობო დანახარჯთა ერთობლიობა მატულობს, შესაბამისად მატულობს მთლიანი შიდა რეგიონული პროდუქტის სიდიდეს, დანახარჯთა ერთობლიობის კლებას ამ სიდიდის შემცირება ახლავს.

ჩვენი ანალიზის მიზნით მთლიანი შიდა რეგიონული პროდუქტის სიდიდეში ვგულისხმობთ მოცემულ ტერიტორიაზე შექმნილი საბოლოო საქონელ-მომსახურების საბაზრო ღირებულებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ანალიზის გამარტივების მიზნით შეგვიძლია დავუშვათ, რომ ამ დანახარჯთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გაედინება ტერიტორიის გარეთ გარკვეული სახის შუალედური პროდუქტების შექმნის მიზნით. რაც ნიშნავს, რომ ტურისტული პროდუქტის ძირითადი ნაწილი სწორედ ამ ტერიტორიაზე იწარმოება.

**ცხრილი 1. ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯები ტურისტული დანიშნულების პუნქტის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზაში**

სასიცოცხლო ციკლის ეტაპები	ტურისტული დანახარჯების ოდენობა, მლნ ლარი	საინვესტიციო დანახარჯების ოდენობა, მლნ ლარი	მთავრობის დანახარჯების ოდენობა, მლნ ლარი	დანახარჯების ოდენობა სულ, მლნ ლარი
შემუშავება	30	5	10	45
გატანა	60	20	50	130
ზრდა	180	50	150	380
სიმწიფე	240	150	200	590
დაცემა	150	230	140	520
შემუშავება	30	5	10	45
გატანა	60	20	50	130
ზრდა	180	50	150	380
სიმწიფე	240	150	200	590
დაცემა	150	230	140	520

ცხრილში 1 სასიცოცხლო ციკლის ყოველი ეტაპი ორჯერაა გამეორებული. ამით იმის ჩვენება გვინდა, რომ დაცემის ეტაპს, რომელიც ტურისტული დანიშნულების პუნქტში ვიზიტორთა ნაკადების შემცირებას ნიშნავს, მოსდევს შემუშავების ეტაპი, როდესაც ტურიზმის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მრავალმხრივი ორგანო კვლავ უბრუნდება დაგეგმვის პროცესს და ცდილობს შესთავაზოს ტურისტულ ბაზარს ახალი ტიპის პროდუქტი, რის შემდეგაც სასიცოცხლო ციკლი, სავარაუდოდ, კვლავ თავიდან დაიწყება. ცხრილის მეორე, მესამე და მეოთხე სვეტები აჩვენებს, შესაბამისად, ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯთა ოდენობას ციკლის სხვადასხვა ფაზაში. ბოლო სვეტი კი ფაზების მიხედვით ამ დანახარჯთა შეჯამებას წარმოადგენს.




**ნახ.6. ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯები ტურისტული დანიშნულების პუნქტის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზაში**

ნახაზზე 6 წარმოდგენილი მრუდები ჩვენი მთავარი პოსტულატის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს. როგორც ნახაზიდან ჩანს, ტურისტულ, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯთა ციკლები დროში ძალიან მცირედით არიან დაცილებულნი ერთმანეთთან. მთავრობის დანახარჯთა ციკლი თითქმის ემთხვევა ტურისტულ დანახარჯთა ციკლს, ხოლო საინვესტიციო ციკლი ერთი ფაზით აგვიანებს ტურისტულ დანახარჯებთან მიმართებაში.

ნახაზი 7, რომელზეც ჯამურ დანახარჯთა ოდენობა არის ასახული, აჩვენებს, თუ რა შედეგი აქვს ამგვარ ხარჯვას მოცემული ტერიტორიის ეკონომიკისათვის. თუ ნახაზს შევხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ეკონომიკური პროცესების ამგვარი განვითარება წარმოშობს მკვეთრ მერყეობებს დანიშნულების ადგილის ეკონომიკაში.

ერთი მხრივ, ზრდისა და სიმწიფის ფაზებში, სადაც ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის გაზრდილი დანახარჯები ერთმანეთს ემთხვევა, ტურისტული ტერიტორია მასშტაბურ აღმავლობას განიცდის. ამ სიტუაციაში ფიქსირდება მაღალი დონის წარმოება, რესურსების მაღალი დასაქმება და ფასების მაღალი დონე. მოცემული დანიშნულების პუნქტი, ასე ვთქვათ, „გადახურების“ ეტაპზეა. დანიშნულების პუნქტში ერთდროულად იმყოფება მრავალი ვიზიტორი, მაღალია ტურისტული ობიექტების მშენებლობის ტემპები, მთავრობა კი მსხვილ კაპიტალდაბანდებებს ახორციელებს ინფრასტრუქტურაში, სარეკლამო კამპანიაში და სხვა მიმართულებებით, რომლებიც ტურიზმის განვითარებასთან არიან დაკავშირებული.



**ნახ.7. ჯამური დანახარჯები ტურისტული დანიშნულების პუნქტის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზაში**

მეორე მხრივ, დაცემის, შემუშავებისა და გატანის ფაზები ხასიათდება ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის შემცირებული დანახარჯებით, რაც ტურისტული ტერიტორია კრიზისულ მდგომარეობამდე მიჰყავს. ამ სიტუაციაში ფიქსირდება დაბალი წარმოება, რესურსების დაუსაქმებლობის მაღალი დონე და ფასების დონის დაცემა. დანიშნულების პუნქტი კრიზისის მდგომარეობაში იმყოფება. მინიმუმამდე მცირდება ვიზიტორთა ოდენობა, კერძო ინვესტიციების მოცულობა და მთავრობის დანახარჯთა სიდიდე.

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯთა ციკლების ურთიერთდამთხვევა იწვევს ტერიტორიის განვითარების მერყეობას, რომლის დროსაც დანიშნულების პუნქტი ხან მასშტაბური აღმავლობის ფაზაში გადადის, ხანაც ღრმა კრიზისში ვარდება.

ჩვენ რომ განვიხილავეთ რომელიმე კერძო კომპანიას, ციკლოზობის საკითხი არ დადგებოდა. თუ კერძო კომპანია აწარმოებს არა ერთ, არამედ რამდენიმე პროდუქტს, ერთი პროდუქტის გადასვლა სასიცოცხლო ციკლის დაცემის ფაზაში დაბალანსდება სხვა პროდუქტებით, რომლებიც ციკლის სხვა ფაზებში იმყოფებიან, რაც უზრუნველყოფს საწარმოსათვის ნორმალურ შემოსავლებსა და მოგებას. ასეთივე შემთხვევა დაფიქსირდებოდა მსხვილი ტურისტული ცენტრისათვის, რომელიც მომხმარებელს ტურისტული პროდუქტების დიდ მრავალფეროვნებას აწოდებს და შეუძლია რომელიმე მათგანზე მოთხოვნის შემცირება დააბალანსოს სხვა პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდით. მაგრამ ჩვენ ძირითადად განვიხილავთ ტურისტულ დანიშნულების პუნქტებს, რომელთაც გააჩნიათ ერთი-ორი ძირითადი და რამდენიმე თანამდევნი ტურისტული პროდუქტი. მათთვის აუცილებლად დადგება სასიცოცხლო ციკლის დაცემის ფაზა, რომლის გაბალანსებასაც მოცემული დანიშნულების პუნქტი სხვა პროდუქტებით ვერ მოახერხებს.

კერძო კომპანია, რომელიც მხოლოდ ერთ პროდუქტს უშვებს და სასიცოცხლო ციკლის დაცემის ფაზაში გადადის, შეძლებს „თავის შევლას“ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. მას შეუძლია ახალი პროდუქტი შეიმუშავოს ან

არსებულის სახეცვლილება მოახდინოს. კერძო კომპანიას ასევე შეუძლია გაიტანოს პროდუქტი ახალ ბაზარზე და ამით გაახანგრძლივოს მისი სიცოცხლე. ფინანსური რესურსების ამ ოპერაციებისათვის კერძო კომპანიას შეუძლია მოიზიდოს კომერციული ბანკიდან სესხის სახით, ან გამოიყენოს საკუთარი ფინანსური რესურსები, რომლებიც დააგროვა პროდუქტის სიცოცხლის წინა ფაზაზე ყოფნის დროს მაღალი მოცუბის დაზოგვის ხარჯზე.

ტურისტული ტერიტორია კი უფრო შეზღუდულია ამგვარი მეთოდების არჩევანში. ერთი და იგივე ტურისტული პროდუქტის ახალ ბაზარზე გატანის შანსი დღევანდელ საინფორმაციო სამყაროში ძალიან მცირეა – საგარაუდოდ, დანიშნულების პუნქტი უკვე მოინახულა ყველამ, ვისაც სურდა მისი მონახულება, რადგან ინფორმაცია ტურისტული დანიშნულების პუნქტების შესახებ ინტერნეტის და კომუნიკაციის სხვა საშუალებათა მეშვეობით ძალიან ფართოდ ვრცელდება მთელ მსოფლიოში.

საეჭვოა დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის პერსპექტივაც. ადგილობრივი ბიუჯეტი ყოველთვის დებულობს გარკვეულ დახმარებას ზემდგომი ბიუჯეტიდან გამათანაბრებელი ტრანსფერის სახით, მაგრამ განსაკუთრებული ფინანსური მხარდაჭერა კონკრეტული დანიშნულების ადგილისთვის იშვიათი მოვლენაა და გამონაკლისია წესიდან.

ადგილობრივ მთავრობას ასევე მცირე შესაძლებლობები გააჩნია სესხის აღების თვალსაზრისით. როგორც წესი, შიდა და გარე სესხების აღება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის რთული ადმინისტრაციული პროცედურების გავლას ითხოვს და პრაქტიკაში ნაკლებად არის მიღებული.

რაც შეეხება არსებული ტურისტული პროდუქტის სახეცვლილებას ან ახლის შექმნას, ჩვენ უკვე გავაკეთეთ დასკვნა, რომ მთავრობას ამ მიმართულებით ბევრი ხარჯების გაწევა არ უწევს, რადგან ახალი პროდუქტის შექმნა ან არსებულის სახეცვლილება ჩვენს შემთხვევაში ნიშნავს სტრატეგიის შექმნა/მოდერნიზაციას და ხელთ არსებული რესურსების მიმართულების ცვლილებას. დაგეგმვის ეტაპზე მთავრობის ამ მიმართულებით საქმიანობა სრულიად არ გვისწინის ეკონომიკური მერყეობის პრობლემას.

საკუთარი სახსრებით დაფინანსების ჩვენს მიერ ნახსენები ინსტრუმენტი ასევე რთული გამოსაყენებელია, რადგან, როგორც უკვე ავლინებთ, ბიუჯეტში შემოსული თანხა მთლიანად იხარჯება მოცემულ პერიოდში. საბიუჯეტო ურთიერთობების სწორედ ეს უკანასკნელი სპეციფიკური თვისება იწვევს იმას, რომ მთავრობის დანახარჯები პარალელურად მიჰყვება ტურისტულ დანახარჯებს და ამით აძლიერებს ეკონომიკურ მერყეობას.

საბოლოოდ, შეგვიძლია ორი დასკვნა გამოვიტანოთ:

- ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯების ციკლების ურთიერთდამთხვევას ტურისტული ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების მერყეობისაკენ მიყვავართ, რომლის დროსაც ფიქსირდება ან მასშტაბური აღმავლობა, ან ღრმა დაცემა.

- კერძო კომპანიებისაგან განსხვავებით, დანიშნულების პუნქტის მთავრობას ამგვარი ციკლის დაბალანსების ნაკლები შესაძლებლობები გააჩნია.

## თავი 5. ციკლების ურთიერთდაბალანსების გავლენა ტურისტული დანიშნულების პუნქტის განვითარების მერყეობაზე

კვლევის ამ ნაწილში შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ თუ მთავრობა დაგეგმავს თავის ბიუჯეტს ისე, რომ მთავრობის დანახარჯების პიკი მოუწიოს


ტურისტული და საინვესტიციო დანახარჯების დაცემის მომენტში, ხოლო ამ უკანასკნელთა მაქსიმუმამდე აწვევის პერიოდში მინიმუმამდე შემცირდეს, მაშინ ტურისტული ტერიტორიის ეკონომიკური განვითარების მერყეობა მნიშვნელოვანწილად შეიძლება შემცირდეს. ეს ნიშნავს, რომ სასიცოცხლო ციკლის შემუშავების ეტაპზე, როდესაც ტურისტული და საინვესტიციო დანახარჯების მოცულობა მინიმალურია, მთავრობის დანახარჯების სიდიდემ მაქსიმუმს უნდა მიაღწიოს. ბაზარზე გატანის და ზრდის ეტაპებზე, როდესაც ტურისტული და საინვესტიციო დანახარჯები გადიდებას იწყებს, მთავრობის დანახარჯები შემცირებას დაიწყებს. სიმწიფის ეტაპზე, როდესაც ტურისტული და საინვესტიციო დანახარჯების ოდენობა პიკის წერტილშია ან პიკთან ახლოს იმყოფება, მთავრობის დანახარჯები მინიმუმამდე შემცირდება. დაცემის ეტაპზე კი, როდესაც ტურისტული და საინვესტიციო დანახარჯების ოდენობა შემცირდება, ამ დროს მთავრობის დანახარჯები პირიქით, ზრდას დაიწყებს.

**ცხრილი 2. ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯები ტურისტული დანიშნულების პუნქტის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზაში მთავრობის დანახარჯთა პერიოდულობის ცვლილების შემდეგ**

სასიცოცხლო ციკლის ეტაპები	ტურისტული დანახარჯების ოდენობა, მლნ ლარი	საინვესტიციო დანახარჯების ოდენობა, მლნ ლარი	მთავრობის დანახარჯების ოდენობა, მლნ ლარი	დანახარჯების ოდენობა სულ, მლნ ლარი
შემუშავება	30	5	200	235
გატანა	60	20	140	220
ზრდა	180	50	10	240
სიმწიფე	240	150	50	440
დაცემა	150	230	150	530
შემუშავება	30	5	200	235
გატანა	60	20	140	220
ზრდა	180	50	10	240
სიმწიფე	240	150	50	440
დაცემა	150	230	150	530

ზემოთქმული ნიშნავს იმას, რომ სასიცოცხლო ციკლის ყოველ ეტაპზე ტურისტული და საინვესტიციო დანახარჯების ერთი მიმართულებით ცვლილება დაბალანსდება მთავრობის დანახარჯების მეორე მიმართულებით ცვლილებით. ეს პროცესი ასახული ცხრილში 2, ასევე ნახაზებზე 8 და 9.

როგორც ჩანს ნახაზზე 8, მთავრობის დანახარჯების ციკლი დროში განსხვავდება ტურისტული დანახარჯებისა და საინვესტიციო ციკლებისაგან. ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯების მაქსიმუმი და მინიმუმი ერთი და იგივე პერიოდში არ ფიქსირდება. შესაბამისად, დროის ერთ მომენტში არ ფიქსირდება ძალიან მაღალი ეკონომიკური აქტიურობა, ხოლო დროის მეორე მომენტში ეკონომიკური აქტიურობის მკვეთრი დაცემა. თავისთავად ცხადია, ამგვარი სიტუაცია ააცილებს თავიდან დანიშნულების ადგილს ერთი მხრივ, ინფლაციურ ზეწოლას და რესურსების დეფიციტს, მეორე მხრივ, ფასების დონის დაცემას და უმუშევრობის მაღალ დონეს.




**ნახ.8. ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯები ტურისტული დანიშნულების პუნქტის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზაში მთავრობის დანახარჯთა პერიოდულობის ცვლილების შემდეგ**

ნახაზი 9 აჩვენებს ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯების წამურ მერყეობას იმ სიტუაციისათვის, როდესაც მთავრობის დანახარჯების ციკლით ხდება ტურისტული და საინვესტიციო დანახარჯების ციკლთა დაბალანსება. თუ შევადარებთ ამ ნახაზს წინა თავში განხილულ ნახაზს 7, შეგვიძლია ვნახოთ განსხვავება ეკონომიკური განვითარების მერყეობაში. მთავრობის დანახარჯთა დროში გადანაცვლების შედეგად ეკონომიკური განვითარების მერყეობის ხარისხი ბევრად უფრო მცირე გახდა. თუ პირველ შემთხვევაში დანახარჯების მაქსიმუმი შეადგენდა 590 მლნ, ხოლო მინიმუმი 45 მლნ ლარს, (სხვაობა 545 მლნ ლარის ოდენობით), მეორე შემთხვევაში დანახარჯების მაქსიმალური მნიშვნელობა ჩამოვარდა 530 მლნ ლარამდე, მინიმალურმა კი აიწია 220 მლნ ლარამდე (მათ შორის სხვაობამ 310 მლნ ლარი. ეს ნიშნავს, რომ მთავრობის დანახარჯების დროში გადანაცვლება ეკონომიკური მერყეობის შემცირების ჩვენს მიერ დასმულ ამოცანას წარმატებით უმკლავდება.

ახლა მხოლოდ იმის გარკვევა დაგვრჩა, როგორ უნდა მოხდეს ამგვარი გადანაცვლება. ყველაზე მარტივ და ლოგიკურ გზას პროფიციტური და დეფიციტური ბიუჯეტების დაგეგმვა და შესრულება წარმოადგენს. ეს ინსტრუმენტი ცნობილია **გრძელვადიან პერიოდში დაბალანსებული ბიუჯეტის** სახელწოდებით, რომლის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ აღმავლობის ეტაპზე მთავრობა აგროვებს გადასახადების სახით შემოსული ფინანსური რესურსების გარკვეულ ნაწილს რეზერვის ფორმით, ხოლო დაცემის ეტაპზე ამ რეზერვის ხარჯვას იწყებს.





**ნახ.9. ჯამური დანახარჯები ტურისტული დანიშნულების პუნქტის სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ფაზაში მთავრობის დანახარჯთა პერიოდულობის ცვლილების შემდეგ**

თუ მოცემულ ინსტრუმენტს უფრო დეტალურად განვიხილავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ზრდისა და სიმწიფის ეტაპებზე, როდესაც ტურისტული დანახარჯები მზარდი ბუნებით ხასიათდებიან, მთავრობას შეუძლია დაგეგმოს პროფიციტური ბიუჯეტი. ე.ი. გააკეთოს მაღალი საბიუჯეტო შემოსავლების და მცირე საბიუჯეტო დანახარჯების გეგმა, წლის განმავლობაში კი, საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს მხოლოდ საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა, თუ გადასახადების შემოდინება ნაგარაუდევზე მაღალი ტემპით მოხდა, ხოლო საბიუჯეტო დანახარჯების ოდენობა იგივე დატოვოს. ამგვარი ბიუჯეტი ფინანსური რესურსების აკუმულირების საშუალებას იძლევა. მეორე მხრივ, პროფიციტური ბიუჯეტი აფერხებს ეკონომიკური „გადახურების“ პროცესს და ტერიტორიაზე რესურსების დეფიციტისა და ინფლაციური ზეწოლის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს.

რაც შეეხება ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის დაცემის, საქონლის შემუშავებისა და ბაზარზე გატანის ეტაპებს, ამ შემთხვევაში ტურისტული დანახარჯები კლებას იწყებენ ან მინიმუმს შეადგენენ, რის პასუხადაც მთავრობას შეუძლია დაგეგმოს დეფიციტური ბიუჯეტი. ე.ი. გააკეთოს დაბალი საბიუჯეტო შემოსავლების და მაღალი საბიუჯეტო დანახარჯების გეგმა. დეფიციტის სიდიდე კი შეავსოს ზრდისა და სიმწიფის ეტაპებზე პროფიციტურ ბიუჯეტში აკუმულირებული ფინანსური რესურსებით. ამგვარი ბიუჯეტის მეშვეობით ადრე ავროვებული ფინანსური რესურსების აკუმულირების საშუალებას იძლევა. მეორე მხრივ, დეფიციტური ბიუჯეტი აფერხებს ეკონომიკური დაცემის პროცესს და ტერიტორიაზე რესურსების დასაქმების სტიმულირების ფაქტორს წარმოადგენს.

გრძლევადიან პერიოდში დაბალანსებული ბიუჯეტი საკმაოდ ეფექტიანი ინსტრუმენტია დანიშნულების პუნქტის განვითარების მერყეობის შემცირებისათვის, ამავე დროს, არსებობს გარკვეული დაბრკოლებები, რომლებიც ამ ინსტრუმენტის გამოყენებას აფერხებენ. გრძლევადიან პერიოდში დაბალანსებული ბიუჯეტის გამოყენების მთავარი პრობლემა არის მთავრობის უკვე გან-

ხილული მიდრეკილება მოცემულ საბიუჯეტო წელს ხარჯოს ყველაფერი, რაც ბიუჯეტში შემოვა.

განვიხილოთ მეორე ინსტრუმენტი, რომელიც იგივე ლოგიკაზეა აგებული, თუმცა მისი განხორციელების მექანიზმი ოდნავ განსხვავებულია. ეს ინსტრუმენტი **ტერიტორიის განვითარების ფონდის** შექმნას გულისხმობს. ამგვარ ფონდში შესაძლებელი იქნებოდა ზრდისა და სიმწიფის ეტაპებზე საბიუჯეტო სახსრების აკუმულირება, ხოლო დაცემის ეტაპის დაწყებისას მათი გახარჯვა.

გრძელვადიან პერიოდში დაბალანსებული ბიუჯეტის ინსტრუმენტისაგან განსხვავებით, როცა საბიუჯეტო ხარჯების გაწვევა-არგაწვევის საკითხი ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკურ გადაწყვეტილებასაც ნიშნავს, მოცემული ფონდის რესურსების განკარგვა შეიძლება გადაეცეს დირექტორთა შერეულ საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც, გარდა ჩინოვნიკებისა, შევლენ ადგილობრივი ბიზნეს-სექტორის, არასამთავრობო სექტორის, მასმედიის, საზოგადოების წარმომადგენლები. გამოდის, რომ საბიუჯეტო რესურსების განკარგვა ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოს კი არა, საზოგადოებრივი გადაწყვეტილების შედეგად მოხდება. თუმცა მაინც რჩება მოცემული ფონდის გარკვეული მონოპოლისტურ-საფინანსო დაჯგუფების გავლენის ქვეშ მოქცევის საფრთხე, რაც მიგვიყვანს ფონდის რესურსების ამ ჯგუფის სასარგებლოდ გამოყენების შესაძლებლობამდე.

მეორე მხრივ, თუ ამგვარი საფრთხე თავიდან იქნება აცილებული, ტერიტორიის განვითარების ფონდიდან სახსრების დახარჯვა უფრო მორგებული იქნება ამ ტერიტორიაზე არსებულ ბიზნეს, გარემოსდაცვით, კულტურისდაცვით, სოციალურ დაჯგუფებათა მიზნებს, და ამდენად ხარჯების გაწვევის უფრო ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მოცემულ ფონდში აკუმულირებული სახსრები შეიძლება დაბანდებულ იქნეს სხვადასხვა მოკლე ან საშუალოვადიან ფინანსურ აქტივებში, რაც დამატებითი ფინანსური რესურსების მიღების საშუალებას იძლევა.

როგორც ვხედავთ, ტერიტორიის განვითარების ფონდი თავისი არსით წააგავს გრძელვადიან პერიოდში დაბალანსებული ბიუჯეტის მექანიზმს, თუმცა ამ მექანიზმისაგან განსხვავებული სპეციფიკა და საფრთხეები გააჩნია.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მესამე მექანიზმის არსი **ობლიგაციების გამოშვებაში** მდგომარეობს. თუ წინა ორი მექანიზმი სასიცოცხლო ციკლის გარკვეულ ეტაპებზე ბიუჯეტში შესული ფინანსური რესურსების აკუმულირებას და სხვა ეტაპებზე ხარჯვას გულისხმობს, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება საოჯახო მეურნეობათა და სამეწარმეო სექტორის დანახარჯთა სტრუქტურას ცვლის.

ხევით უკვე აღნიშნეთ, რომ ფასიანი ქაღალდების გამოშვება მთელ რიგ ფორმლობებთან და პროცედურებთანაა დაკავშირებული, რისთვისაც შეიძლება სულაც არ იყოს მზად დანიშნულების პუნქტის თვითმმართველობა. თუ ამ სირთულეებისაგან აბსტრაქტირებას მოვახდენთ და ჩავთვლით, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია დააინტერესოს სამოქალაქო და ბიზნეს-სექტორი ამ ქაღალდებში დაბანდებით, მაშინ შეგვეძლება ყურადღების გატანა ეკონომიკურ სისტემაზე ამ ინსტრუმენტის გავლენის ანალიზზე.

მოცემული მექანიზმის მოქმედების პრინციპი მარტივია. როდესაც დანიშნულების პუნქტი სასიცოცხლო ციკლის ზრდისა და სიმწიფის ფაზაში იმყოფება, მთავრობა იწყებს ობლიგაციების გამოშვებას და წვეტს მას, როდესაც დაცემის ფაზა იწყება. შემუშავებისა და ბაზარზე გატანის ეტაპებზე კი ობლიგაციის ძირითად თანხასა და ვალს ფარავს.

როდესაც მთავრობა მიჰყიდის ობლიგაციებს სამოქალაქო და ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებს, ეს გამოიწვევს მთავრობაში საოჯახო მეურნეო-

ბებისა და კომპანიების შემოსავლების გარკვეული ნაწილის აკუმულირებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს ნაწილი ვერ გამოვა ეკონომიკურ სისტემაში სამომხმარებლო და საინვესტიციო დანახარჯების ფორმით. ამ მოქმედებით მთავრობა შეამცირებს მთლიანი დანახარჯების ოდენობას სასიცოცხლო ციკლის ზრდისა და სიმწიფის ეტაპებზე, რითაც გარკვეულწილად დაიცავს ადგილობრივ ეკონომიკურ სისტემას რესურსების დეფიციტისა და ინფლაციური დატვირთვისაგან.

მეორე მხრივ, როდესაც დაცემის, შემუშავებისა და ბაზარზე გატანის ეტაპებზე მთავრობა ობლიგაციების დაფარვას იწყებს, საოჯახო მეურნეობებსა და კომპანიებს უბრუნდებათ ფინანსური რესურსები სარგებელთან ერთად, რაც სავარაუდოდ აისახება გაზრდილ სამომხმარებლო და საინვესტიციო დანახარჯებში. ეს ნაბიჯი კი დაცემის მომენტში მთლიანი დანახარჯების გარკვეულ გადიდებას და შესაბამისად, ეკონომიკური მერყეობის ციკლის შერბილებას ნიშნავს.

მოცემულ ინსტრუმენტთან დაკავშირებით ასევე შეიძლება კრიტიკული შენიშვნის გაკეთება. არ არსებობს იმის გარანტია, რომ დაცემის მომენტში მთავრობის მიერ დაბრუნებულ ფულს მოქალაქეები და კომპანიები ეკონომიკურ სისტემაში გამოუშვებენ. როგორც ცნობილია მაკროეკონომიკური თეორიიდან, დაცემის მომენტში საოჯახო მეურნეობები, ნაცვლად იმისა, რომ მეტი ხარჯონ და ამით ეკონომიკის მდგომარეობა გაასწორონ, პირიქით იქცევიან და უფრო მეტი დაცემის შიშით უფრო მეტს ზოგავენ. როგორც ვიცით, საოჯახო მეურნეობათა ამგვარი ქცევა „მომჭირნობის პარადოქსის“ სახელით არის ცნობილი. იგივე ეხება კომპანიებს, რომლებიც ეკონომიკური დაცემის შემყურე უარს იტყვიან საინვესტიციო ღონისძიებების განხორციელებაზე. მარტივად რომ ვთქვათ, არსებობს დიდი საფრთხე იმისა, რომ დაცემის მომენტში მთავრობის მიერ ოჯახებისა და კომპანიებისათვის დაბრუნებული ფული ბალიშებში იქნება შენახული.

სად წაიღებს მთავრობა ობლიგაციების გაყიდვით მიღებულ თანხას? პრაქტიკულად მთავრობა თავისი მოქალაქეებისაგან სესხს იღებს, რომელიც სარგებლით უნდა დააბრუნოს. კერძო კომპანიები სესხს იღებენ იმისათვის, რომ ინვესტიციები განახორციელონ, მიიღონ შემოსავალი, რომელიც საშუალებას მისცემს დაფარონ სესხის ძირითადი თანხა პლიუს სარგებელი და მოგებაც დარჩეთ. მაგრამ მთავრობა ობლიგაციებს უშვებს იმისათვის, რომ მოსახლეობას და სამეწარმეო სექტორს შესაბამისად სამომხმარებლო და საინვესტიციო ხარჯები შეამცირებინოს. თანხის აკუმულირება იმიტომ კი არ ხდება, რომ, მაგალითისათვის, მთავრობას რაღაც განსაკუთრებული ინფრასტრუქტურული პროექტი აქვს განსახორციელებელი, რომელიც მომავალში ძალიან დიდ სარგებელს მოიტანს და საშუალებას მისცემს მთავრობას შემდეგ ეს სესხი სარგებლით დააბრუნოს, არამედ უბრალოდ იმისათვის, რომ ცოტა ხნით შეინახოს ფული და დაცემის პერიოდში ისევ უკან მისცეს მოქალაქეებს და მეწარმეებს, რათა მათ ეს ფული ეკონომიკაში დაატრიალონ. მთავრობას შეუძლია აირჩიოს აკუმულირებული ფულის „შენახვის“ შემდეგი გზები: ა) უბრალოდ გააჩეროს ეს თანხები ანგარიშზე და თავი შეიკავოს მათ დახარჯვისაგან; ბ) გადასცეს ეს თანხები ტერიტორიის განვითარების ფონდს; გ) შეასრულოს ორმხრივი ფონდის როლი და მოახდინოს ამ სახსრების ინვესტირება გარკვეული სახის ფასიან ქაღალდებში, რაც მას საშუალებას მისცემს უკან მიიღოს როგორც ძირითადი თანხა, ისე გარკვეული სარგებელიც და ამით დაფაროს საკუთარი ობლიგაციები.

მთავრობა აგროვებს ფულს ობლიგაციების გაყიდვის გზით, როდესაც ტერიტორიის ეკონომიკა აღმავლობის ეტაპზე იმყოფება, ამავე დროს მთავრო-

ბას უწევს ობლიგაციების დაფარვა სარგებლით მაშინ, როდესაც ტერიტორიაზე დაცემა იწყება და შესაბამისად ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსური შესაძლებლობები მცირდება. თუ მთავრობა ობლიგაციების გაყიდვიდან შემოსულ თანხებს უცვლელად შეინახავს, მას მოუწევს სარგებლის ოდენობის თანხის გამოძებნა ეკონომიკური დაცემისა და საბიუჯეტო დეფიციტის გადიდების პირობებში.

თუ მთავრობა აგროვებული ფულის ხარჯვას დაიწყებს რაიმე სახის პროექტებში მაშინვე, როცა ეს ფული მოაგროვება, მაშინ ობლიგაციების გაყიდვა აღარ ემსახურება ეკონომიკური მერყეობის შემცირების პრობლემის გადაჭრას – მთავრობა იღებს ფულს ეკონომიკიდან და თავად იწყებს მის ხარჯვას.

ოპტიმალური გამოსავალი ამ სიტუაციაში აკუმულირებული რესურსების ფინანსურ აქტივებში დაბანდება რჩება. მთავრობას შეუძლია ობლიგაციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები საფინანსო ბაზარზე დააბანდოს სხვა სახის ფინანსურ აქტივებში, რომლებიც რისკის დაბალი ხარისხით და ისეთივე სარგებლის განაკვეთით ხასიათდებიან, როგორც ჩვენი ფინანსური ინსტრუმენტები. ამდენად, სასიცოცხლო ციკლის ზრდისა და სიმწიფის ეტაპებზე მთავრობა არბილებს ინფლაციურ ზეწოლასა და რესურსების დეფიციტის პრობლემას ობლიგაციების გაყიდვის გზით ფულის აკუმულირებით, შემდეგ ამ ფულს აბანდებს იგივე ტიპის ფასიან ქაღალდებში შიდა ან საერთაშორისო ფინანსურ ბაზარზე, ხოლო სასიცოცხლო ციკლის დაცემის, შემუშავებისა და ბაზარზე გატანის ეტაპებზე ამ ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული რესურსებით ფარავს საკუთარ ვალდებულებებს ობლიგაციებზე და ამით ახორციელებს ფულადი რესურსების ინექციას კრიზისულ ეკონომიკაში მთლიანი მოთხოვნის მხარდასაჭერად და რესურსების დაუსაქმებლობის შესარბილებლად.

როგორც ჩანს, ობლიგაციების გაყიდვა, წინა ორი ინსტრუმენტის მსგავსად ბევრ ტექნიკურ თუ ეკონომიკურ სირთულესთანაა დაკავშირებული, რამაც მისი ეფექტურობა შეიძლება შეასუსტოს.

შემდეგი ინსტრუმენტი **ინფრასტრუქტურული მოსაკრებლის** დაწესებას გულისხმობს. მისი ლოგიკა იმაში მდგომარეობს, რომ ტურისტული დანიშნულების ადგილის ტერიტორიაზე მოქმედი სამეწარმეო სექტორის წარმომადგენლები იხდიან გარკვეულ გადასახადს, რომელიც ხმარდება ამ ტერიტორიის ინფრასტრუქტურის შექმნასა და მოვლა-პატრონობას.

ფასიანი ქაღალდების ინსტრუმენტისაგან განსხვავებით, როცა მთავრობა უბრალოდ ყიდდა ობლიგაციებს, ხოლო პოტენციური ინვესტორებისათვის ვერ ასაბუთებდა, თუ რაში გამოიყენებდა ამ თანხებს, ინფრასტრუქტურის მოსაკრებლის დადგენის დროს ჩინოვნიკები გადასახადის გადამხდელების წინაშე წარმომადგენენ ღონისძიებათა პროექტს, რომლითაც ადასტურებენ ამგვარი გადასახადის დაწესების აუცილებლობას და ეფექტიანობას. ამასთან, მათ უნდებოდათ ვალდებულება საზოგადოების წინაშე, წარადგინონ ანგარიში ამ თანხების ხარჯვისა და მიღებული შედეგის თაობაზე.

ტერიტორიის, როგორც ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ზრდისა და სიმწიფის ეტაპზე მთავრობას შეუძლია გაზარდოს ინფრასტრუქტურის მოსაკრებლის განაკვეთები და დიდი მოცულობის თანხა ამოიღოს ბიზნეს-სექტორიდან. მეორე მხრივ, დაცემის, შემუშავებისა და ბაზარზე გატანის ეტაპებზე მთავრობას შეუძლია მინიმუმამდე დაიყვანოს, ან სულაც გააუქმოს ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი და წინა ორ ეტაპზე აგროვებული ფულის ხარჯვა დაიწყოს გაცხადებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი თავისი მოქმედების პრინციპით წაავსებს ობლიგაციების გაყიდვას. ამ შემთხვევაშიც მთავრობა ამოიღებს სამეწარმეო სექტორიდან გარკვეული რაოდენობის თანხებს, რითაც ამცირებს მათ

საინვესტიციო შესაძლებლობებს და ამით არბილებს ინფლაციურ ზეწოლას სასიცოცხლო ციკლის ზრდისა და სიმწიფის ეტაპებზე. მეორე მხრივ, დაცემის პერიოდში მთავრობა ამ ფულის დანახარჯით ხელს შეუწყობს ერთობლივ დანახარჯებს და შეამცირებს კრიზისის დანიშნულების მოცემულ პუნქტში.

თუმცა ამ ინსტრუმენტის კრიტიკაც შეიძლება. ადამიანები ხედავენ, რომ მთავრობა კრებს გადასახადს, მაგრამ ვერ ხედავენ, რომ ეს გადასახადი იხარჯება. მთავრობას მოუწევს თავისი საქციელის ახსნა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის, თუ რატომ აგროვებს იგი თანხებს ბიუჯეტში, ხარჯით კი არ ხარჯავს და დაცემის მომენტის დაწყებას უცდის. საზოგადოებრივი ზეწოლა შეიძლება გახდეს ერთ-ერთი საკვანძო მიზეზი იმისათვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა არ დაუცადონ დაცემის დაწყებას და მოკრებილი ფულის ხარჯვა მაშინვე დაიწყონ. რაც მოსაკრებლის ეკონომიკურ ლოგიკას ნულამდე დაიყვანს. როგორც ჩანს, ინფრასტრუქტურული მოსაკრებელი, პოზიტიურ მხარეებთან ერთად ნეგატიურ ელემენტებსაც შეიცავს.

მოდით, გავაერთიანოთ ამ თავში განხორციელებული ანალიზის შედეგები რამდენიმე დასკვნაში:

- თუ მთავრობის დანახარჯები დაგეგმილი და განხორციელებული იქნება ისე, რომ ამ დანახარჯთა პიკი მოუწევს ტურისტული და საინვესტიციო დანახარჯების დაცემის მომენტში, ხოლო ამ დანახარჯთა მინიმუმი მოუწევს ტურისტული და საინვესტიციო დანახარჯების პიკის მომენტში, ტერიტორიის ეკონომიკური მერყეობის მასშტაბები შემცირდება;

- სასიცოცხლო ციკლის მსვლელობისას საკუთარი დანახარჯების პერიოდულობის ცვლილებისათვის მთავრობას შეუძლია სხვადასხვა ინსტრუმენტები გამოიყენოს: გრძელვადიან პერიოდში დაბალანსებული ბიუჯეტი; ტერიტორიის განვითარების ფონდი; სახელმწიფო ობლიგაციები; ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი. ყოველი მათგანის მეშვეობით შესაძლებელია სასიცოცხლო ციკლის ზრდისა და სიმწიფის ფაზაში გარკვეული თანხების აკუმულაცია ბიუჯეტში ინფლაციური ზეწოლისა და რესურსების დეფიციტის შემცირების მიზნით, ხოლო დაცემის პერიოდში ამ თანხების ეკონომიკურ სისტემაში დაბრუნება რესურსების დაუსაქმებლობის პრობლემის შერბილებისათვის. ყოველ ინსტრუმენტს, დადებით მხარეებთან ერთად ნაკლოვანებებიც გააჩნია.

## თავი 6. დასკვნები

ჩვენს მიერ განხორციელებულმა ანალიზმა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა:

- ნებისმიერი ტურისტული დანიშნულების პუნქტი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ერთიანი ტურისტული პროდუქტი, რომელსაც სხვა პროდუქტების მსგავსად, საკუთარი სასიცოცხლო ციკლი გააჩნია;

- ტურისტული ტერიტორია გადის სასიცოცხლო ციკლის შემუშავების, ბაზარზე გატანის, ზრდის, სიმწიფისა და დაცემის ფაზებს, რომლის დროსაც იცვლება ვიზიტიორთა ნაკადებისა და ტურისტული დანახარჯების მოცულობა;

- თანამედროვე გლობალური ტენდენციები უზრუნველყოფს იმას, რომ ნებისმიერი ტურისტული დანიშნულების ადგილი გარკვეულ ეტაპზე გადადის დაცემის ფაზაში.

- ტურისტულ პროდუქტში ინვესტირებას ციკლური ხასიათი გააჩნია, ხოლო თავად ინვესტორები ადაპტური მოლოდინის თეორიის პოსტულატების შესაბამისად მოქმედებენ, რაც ნიშნავს, რომ საინვესტიციო ციკლი დროში

ჩამორჩება რეგიონის, როგორც ტურისტული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლს. ეს ნიშნავს, რომ ინვესტიციები ზრდას იწვევს დაგვიანებით სასიცოცხლო ციკლის ზრდის ფაზებთან მიმართებაში. კაპიტალდაბანდებათა კლება ასევე იწვევს მას შემდეგ, როცა ტურისტული პროდუქტი უკვე გადასულია დაცემის ფაზაში.

- სასიცოცხლო და საინვესტიციო ციკლების დაუმთხვევლობა ტურისტულ ბაზარზე იწვევს განსხვავებებს მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდებს შორის, რასაც მიყვარათ დეფიციტისა და ფასების ზრდისაკენ ან სიჭარბისა და ფასების კლებისაკენ.

- დანიშნულების პუნქტი, როგორც ტურისტული პროდუქტი, კერძო ბიზნესის, მთავრობის და ადგილობრივი მოქალაქეების მოქმედებათა უნიკალურ ნაზავს წარმოადგენს;

- ტურისტული ტერიტორიის დაგეგმვის ეტაპზე მთავრობის როლი უფრო მეტად ტურიზმის დარგის განვითარების სტრატეგიის შექმნასა და ხელთ არსებული საბიუჯეტო რესურსების სწორ მიმართვაში გამოიხატება და არა კოლოსალურ კაპიტალდაბანდებაში;

- მთავრობა ხარჯავს იმდენს, რამდენი საბიუჯეტო რესურსიც გააჩნია. ამდენად მთავრობის ტურიზმის პოლიტიკის ციკლი ტურისტული პროდუქტი სასიცოცხლო ციკლის პარალელურად მიმდინარეობს, რომელიც საბიუჯეტო შემოსავლების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს.

- ტურისტული, საინვესტიციო და მთავრობის დანახარჯების ციკლების ურთიერთდამთხვევას ტურისტული დანიშნულების პუნქტის ეკონომიკური განვითარების მერყეობისაკენ მიყვარათ, რომლის დროსაც ფიქსირდება ან მასშტაბური აღმავლობა, ან ღრმა დაცემა.

- კერძო კომპანიებისაგან განსხვავებით, დანიშნულების პუნქტის მთავრობას ამგვარი ციკლის დაბალანსების ნაკლები შესაძლებლობები გააჩნია.

- თუ მთავრობის დანახარჯები დაგეგმილი და განხორციელებული იქნება ისე, რომ ამ დანახარჯთა პიკი მოუწვევს ტურისტული და საინვესტიციო დანახარჯების დაცემის მომენტში, ხოლო ამ დანახარჯთა მინიმუმი მოუწვევს ტურისტული და საინვესტიციო დანახარჯების პიკის მომენტში, ტერიტორიის ეკონომიკური მერყეობის მასშტაბები შემცირებული იქნება;

- სასიცოცხლო ციკლის მსვლელობისას საკუთარი დანახარჯების პერიოდულობის ცვლილებისათვის მთავრობას შეუძლია სხვადასხვა ინსტრუმენტები გამოიყენოს: გრძელვადიან პერიოდში დაბალანსებული ბიუჯეტი; ტერიტორიის განვითარების ფონდი; სახელმწიფო ობლიგაციები; ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი. ყოველი მათგანის მეშვეობით შესაძლებელია სასიცოცხლო ციკლის ზრდისა და სიმწიფის ფაზაში გარკვეული თანხების აკუმულაცია ბიუჯეტში ინფლაციური ზეწოლისა და რესურსების დეფიციტის შემცირების მიზნით, ხოლო დაცემის პერიოდში ამ თანხების ეკონომიკურ სისტემაში დაბრუნება რესურსების დაუსაქმებლობის პრობლემის შერბილებისათვის. ყოველ ინსტრუმენტს, დადებით მხარეებთან ერთად ნაკლოვანებებიც გააჩნია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Akama J.S., Kieti D. Tourism and Socio-economic Development in Developing Countries: A Case Study of Mombasa Resort in Kenya. Journal of Sustainable Tourism. Vol.15, No.6, pp.735-748, 2007.
2. Awang K.W., Hassan W.M.W., Zahari M.S.M., Tourism Development: A Geographical Perspective. Asian Social Science. Vol.5. No.5, pp.67-76, 2009.

3. Butler R. The Concept of a Tourism Area Life Cycle of Evolution: Implications for Management of Resources. *Canadian Geographer*. 24(1), pp.5-12, 1980.
4. Butler R. Tourism in the Future: Cycles, Waves or Wheels? *Futures* 41(2009), pp.346-352, 2009.
5. Butler R. Sustainability or Stagnation? Limits on Development in Tourist Destinations. *European Journal of Tourism, Hospitality and Recreation*. Vol.1, Issue 1, pp.10-23, 2010.
6. Butler R. Tourism Area Life Cycle. *Contemporary Tourism Reviews*. pp.1-33, 2011.
7. Baum T. Taking the Exit Route: Extending the Tourism Area Life Cycle Model. *Current Issues in Tourism*. Vol.1, No.2, pp.167-175, 1998.
8. Coelho J., Butler R. The tourism Area Life Cycle. A Quantitative Approach of the Tourism Area Life Cycle. *European Journal of Tourism, Hospitality and Recreation*. Vol. 3, Issue 1, pp.9-31, 2012.
9. Cole S. Beyond the Resort Life Cycle: The Micro-Dynamics of Destination Tourism. *Special Section: Tourism and Regional Science JPAR* 37(3), pp.266-278, 2007.
10. Cole S. Synergy and Congestion in the Tourist Destination Life Cycle. *Tourism Management*, Vol.33, Issue 5, pp.1128-1140. 2012
11. Dimoska T. Sustainable Tourism Development as a Tool for Eliminating Poverty. *Facta Universitatis. Series: Economics and Organization*. Vol.5, No.2, pp.173-178, 2008.
12. Garay L., Canoves G. Life Cycles, Stages and Tourism History. The Catalonia (Spain) Experience. *Annals of Tourism Research*. Vol.38. No.2, pp.651-671, 2011.
13. Getz D. Tourism Planning and Destination Life Cycle. *Annals of Tourism Research*, Vol.19, pp.752-770, 1992.
14. Golembki G., Nawrot L., Olszewski M., Zmyslony P. Investment Decisions in the Early Stages of the Tourism Area Life Cycle. *Tourism. Original Scientific Paper*. Vol.58 N4, pp.361-377, 2010.
15. Hovinen G.R. Revisiting the Destination Lifecycle Model. *Annals of Tourism Research*, Vol.29, No.1, pp.209-230, 2002.
16. Irandu E.M. The Role of Tourism in the Conservation of Cultural Heritage in Kenya. *Asia Pacific Journal of Tourism Research*. Vol.9. No.2, pp.133-150, 2004.
17. Jones S. The Economic Contribution of Tourism in Mozambique: Insights from a Social Accounting Matrix. *Development Southern Africa* Vol.27, No.5, pp.679-696, 2010.
18. Kamat S.B. Destination Life Cycle and Assessment – A Study of Goa Tourism Industry. *South Asian Journal of Tourism and heritage*. Vol.3, No.2, pp.139-148, 2010.
19. Kruja D., Lufi M., Kruja I. The Role of Tourism in Developing Countries. The Case of Albania. *European Scientific Journal*. September Edition. Vol.8. No.19, pp.129-141, 2011.
20. Marzuki A. Resident Attitudes Towards Impacts from Tourism Development in Langkawi Islands, Malaysia. *World Applied Sciences Journal* 12 (Special Issue of Tourism and hospitality), pp.25-34, 2011.
21. Monisola T.A. Harnessing Tourism Potentials for Sustainable Development: a Case of Owu Water Falls in Nigeria. *Journal of Sustainable Development in Africa*. Vol.14, No.1, pp.119-133, 2012.
22. Muhanna E. Tourism Development Strategies and Poverty Elimination. *Problems and Perspectives in Management*. Vol.5, No.1, pp.37-49, 2007.
23. Samini A.J., Sadeghi S., Sadeghi S. Tourism and Economic Growth in Developing Countries: P-VAR Approach. *Middle-EastJournal of Scientific Research* 10(1), pp.28-32, 2011.

24. Williams M.T. An Expansion of the Tourism Site Cycle Model: The Case of Minorca (Spain). The Journal of Tourism Studies. Vol 4. No.2, pp.24-32, 1993.
25. Wray M. Policy Communities, Networks and Issue Cycles in Tourism Destination Systems. Journal of Sustainable Tourism. Vol.17, No.6, pp.673-690, 2009.

*პაატა ჩაგანავა*  
*ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი*

**ტურისტული დანიშნულების პუნქტის განვითარების მერყეობის შემცირება  
ციკლების ურთიმართდაბალანსების საფუძველზე  
რეზიუმე**

სტატიაში განხორციელებულია ტურისტული დანიშნულების პუნქტის სასიცოცხლო ციკლის ანალიზი, რომელიც მოიცავს ტურისტული, კერძო საინვესტიციო და სახელმწიფო დანახარჯების დინამიკისა და ურთიერთდამოკიდებულების განხილვას.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ტურისტული, კერძო საინვესტიციო და სახელმწიფო დანახარჯთა ციკლების დამთხვევა იწვევს ტურისტული დანიშნულების პუნქტის ეკონომიკური განვითარების მკვეთრ მერყეობას.

სტატიაში შემოთავაზებულია დანიშნულების პუნქტის ეკონომიკური განვითარების მერყეობის შემცირების მექანიზმი სახელმწიფო ხარჯების მეშვეობით ტურისტული და კერძო საინვესტიციო დანახარჯების დაბალანსების გზით, აღწერილია ზოგიერთი ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მიზნით.

*Паата Чаганова*  
*Кандидат экономических наук*

**СОКРАЩЕНИЕ КОЛЕБАНИЙ В РАЗВИТИИ ТУРИСТИЧЕСКОГО ПУНКТА  
НАЗНАЧЕНИЯ НА ОСНОВЕ СБАЛАНСИРОВАННЫХ ЦИКЛОВ**

**Резюме**

В статье осуществлен анализ жизненного цикла туристического пункта назначения, который включает рассмотрение динамики и взаимозависимости туристических, частных инвестиционных и государственных затрат.

В результате исследования было выявлено, что совпадение циклов туристических, частных инвестиционных и государственных затрат вызывает острые колебания в экономическом развитии туристического пункта назначения.

В статье предложен механизм сокращения колебаний в экономическом развитии пункта назначения путем сбалансирования туристических и частных инвестиционных затрат государственными затратами и описаны некоторые инструменты для этой цели.



*Paata Chaganava*  
*Ph.D. in Economic Science*

**REDUCING FLUCTUATIONS IN TOURISM DESTINATION DEVELOPMENT ON  
THE BASIS OF BALANCED CYCLES**

**Summary**

The article contains analyze of Tourism area life cycle, which covers the dynamics and relationships of touristic, private investment and government expenditures.

As it appeared during research, coincidence of touristic, private investment and government expenditure cycles leads to the sharp fluctuations of tourism destination economic development.

The article suggests the mechanism of reducing the fluctuation of economic development of a destination on the basis of balancing the touristic and private investment expenditure cycles by government expenditure cycle and describes a number of instruments for this purpose.

**საერთაშორისო ვაჭრობა**

**ვასილ ხიზანიშვილი**

*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

**საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია**

საერთაშორისო ვაჭრობა არის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, გლობალიზაციის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ფორმა.<sup>4</sup> იგი არსებობდა მსოფლიო მეურნეობის ფორმირებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე და წარმოადგენდა მის უშუალო წინამორბედს.<sup>5</sup> ცნობილია, რომ საქონელწარმოების, საქონელმომოქცევისა და საგარეო ვაჭრობის ჩანასახები უკვე არსებობდა მონათმფლობელურ წყობაში. თუმცა ყველა კაპიტალისტურამდე ფორმაციაში ნატურალური მეურნეობის სიჭარბის გამო საერთაშორისო გაცვლაში მონაწილეობდა პროდუქციის მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა. სასაქონლო წარმოებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ მძლავრი ბიძგი მისცა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას, როგორც საქონელმომოქცევის განსაკუთრებულ სფეროს ეროვნულ მეურნეობებს შორის.<sup>6</sup> გასულ საუკუნეში მან შეიძინა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა.<sup>7</sup>

დღეს საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს ცენტრალურ რგოლს მსოფლიო სამეურნეო კავშირების რთულ სისტემაში. იგი ახდენს მსოფლიოს ქვეყნების ერთიან საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში დაკავშირებას. თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობს მსოფლიო მეურნეობის ყველა სუბიექტი. მას საფუძვლად უდევს შრომის საერთაშორისო დანაწილება. წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაციის განვითარება და ზემოთ ნახსენები შრომის დანაწილება წარმოშობს საერთაშორისო ვაჭრობის მრავალგვარ ფორმას და მიმართულებას. მასზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, საწარმოო ძალთა ყველა ელემენტის დაჩქარებული ხარისხობრივი გარდაქმნა, და გეოგრაფიულ და საქონლურ სტრუქტურაში მსოფლიო სასაქონლო ნაკადების ძვრები. ინდუსტრიალიზაცია, ტრანსპორტის გაუმჯობესება, გლობალიზაცია, მულტინაციონალური კორპორაციები და ა.შ. ასევე დიდ გავლენას ახდენენ საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაზე. თავის მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობა ხელს უწყობს ამა თუ იმ ქვეყნის კვლავწარმოების პროცესის ინტენსიფიკაციას ეროვნული ეკონომიკების შემდეგი მიმართულებით: ძლიერდება სპეციალიზაცია, იქმნება შესაძლებლობები მასიური წარმოების ორგანიზაციისათვის, მაღლდება მოწყობილობათა დატვირთვის ხარისხი, იზრდება ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვის ეფექტურობა.

საგარეო ვაჭრობის მოცულობის გადიდება, ექსპორტ-იმპორტის როლის ზრდა ეროვნულ ეკონომიკებში ხელს უწყობს ეკონომიკური ციკლის სინქრონიზაციას მსოფლიო ეკონომიკაში. ქვეყნების სამეურნეო კომპლექსების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება იმდენად ძლიერდება, რომ ეკონომიკის ფუნქციონირებაში მსოფლიო ბაზრის ერთი რომელიმე მსხვილი

<sup>4</sup> [http://www.tatort-weltmarkt.de/Lehreseiten/Dokumente/Pro-Globalisierung\\_2.htm](http://www.tatort-weltmarkt.de/Lehreseiten/Dokumente/Pro-Globalisierung_2.htm)

<sup>5</sup> <http://works.tarefer.ru/99/100935/index.html>

<sup>6</sup> [www.5ka.su/ref/economy/O\\_object48593html](http://www.5ka.su/ref/economy/O_object48593html)

<sup>7</sup> [en.wikipedia.org/wiki/international\\_trade](http://en.wikipedia.org/wiki/international_trade)

მონაწილის ფუნქციონირების მოშლა გარდაუვლად იწვევს ნეგატიურ საერთაშორისო შედეგებს, სხვა ქვეყნებში კრიზისული მოვლენების გავრცელების ჩათვლით.<sup>8</sup> საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს მრავალი ქვეყნის ეკონომიკური შემოსავლებისათვის. მისი ზრდა და პროგრესირება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა გლობალიზაციის შემდგომი გავრცელებისათვის.<sup>9</sup>

გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ვაჭრობა იზრდება წარმოებაზე უფრო სწრაფად. საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვის კვლევების თანახმად მსოფლიო წარმოების ყოველ 10%-ზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის 16%-იანი ზრდა, რაც ქმნის მისი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს.<sup>10</sup> მსოფლიო ვაჭრობა განსაკუთრებულად მაღალი ტემპებით ვითარდება მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან, როდესაც საერთაშორისო ვაჭრობა იქნეს „ფეთქებად ხასიათს“. 1950-1998 წლების პერიოდში მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 16-ჯერ გაიზარდა.<sup>11</sup> ამავე პერიოდში მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) გაიზარდა მხოლოდ 5.5-ჯერ. 90-იანი წლების შუა პერიოდში თითოეული წლის მონაცემების მიხედვით მსოფლიო ვაჭრობის ზრდის ტემპი სისტემატურად აღემატებოდა მსოფლიო წარმოების ზრდის ტემპს, რის გამოც მსოფლიო ექსპორტის ხვედრითი წილი მსოფლიო მშპ-ში 1992 წლის 16%-დან 2001 წლისათვის 24.3%-მდე გაიზარდა.

დასავლელი სპეციალისტების შეფასებით საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაში 1950 და 1970 წლებს შორის პერიოდი ხასიათდება „ოქროს ხანად“. სწორედ ამ პერიოდში იქნა მიღწეული მსოფლიო ექსპორტის 7%-იანი ზრდა. თუმცა უკვე 70-იან წლებში ის შემცირდა 5%-მდე, და კიდევ უფრო მეტად – 80-იან წლებში. 80-იანი წლების ბოლოს მსოფლიო ექსპორტმა აჩვენა შესამჩნევი გამორცობა (8.5%-მდე 1988 წელში). 90-იანი წლების დასაწყისის აშკარა ვარდნის შემდეგ, იმავე 90-იანი წლების შუაში ის სტაბილურად კვლავ აჩვენებს ზრდის მაღალ ტემპებს.<sup>12</sup>

მსოფლიო ექსპორტის მოცულობის ზრდის პირობებში ცალკეული ქვეყნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საერთაშორისო ბაზრებზე ორიენტირებულობის ხარისხით. ასე მაგალითად, 1890 წლიდან 1990 წლამდე განვლილ პერიოდში ექსპორტის ხვედრითი წილი მშპ-ში გაიზარდა: გერმანიაში – 15.9%-დან 24%-მდე; საფრანგეთში – 14.2%-დან 17.1%-მდე; იტალიაში – 9.7%-დან 15.9%-მდე; იაპონიაში – 5.1%-დან 8.4%-მდე; აშშ-ში – 5.6%-დან 8.0%-მდე. ეს მაჩვენებლები შემცირდა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, კერძოდ – 27.0%-დან 20.6%-მდე, რაც გამოწვეული იყო დიდი ბრიტანეთის იმპერიის დაშლით.<sup>13</sup> ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარება განსაკუთრებით ნიშანდობლივია პატარა ქვეყნებისათვის. ექსპორტის შეფარდება მშპ-სთან, რაც აღნიშნული დამოკიდებულების ყველაზე ზუსტი მაჩვენებელია, 2002 წელს ჰოლანდიაში შეადგენდა 56%-ს, ბელგიაში კი – 76%-ს.<sup>14</sup>

საერთაშორისო ვაჭრობის სტაბილურ ზრდაზე გავლენა იქონია მთელმა რიგმა ფაქტორებმა:

– შრომის საერთაშორისო დანაწილების განვითარებამ და წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციამ;

<sup>8</sup> იხ. წყარო 3

<sup>9</sup> იხ. წყარო 4

<sup>10</sup> na5.ru/515117-2

<sup>11</sup> <http://enbv.narod.ru/text/Econom/avdokushin-meo/str/p.12html>

<sup>12</sup> იხ. წყარო 8

<sup>13</sup> *Мировая экономика и международные отношения*. 2003, №7, С. 7

<sup>14</sup> *На пороге XXI века. Доклад о мировом развитии 2001 года*. Всемирный банк., М., 2002. С. 212

– მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელმაც ხელი შეუწყო ძირითადი კაპიტალის განახლებას, ეკონომიკის ახალი დარგების შექმნასა და ძველის დაჩქარებულ რეკონსტრუირებას; „GATT“-ს და „WTO“-ს ღონისძიებათა გატარების მეშვეობით საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირებამ;

– საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ, მრავალი ქვეყნის გადასვლა იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვების გაუქმებისა და საბაჟო გადასახადების მნიშვნელოვანი შემცირების რეჟიმზე – „თავისუფალი ეკონომიკური ზონების“ წარმოქმნამ;

– მსოფლიო ბაზარზე ტრანსნაციონალური კორპორაციების აქტიურმა საქმიანობამ;

– სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების განვითარებამ: რეგიონალური ბარიერების გაუქმებამ, საერთო ბაზრების, თავისუფალი ბაზრების ფორმირებამ.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიზანია სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გაუქმების გზით ხელი შეუწეოს ეკონომიკის ზრდას. ეს დიდწილად ხორციელდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „WTO“-ის და „GATT“-ის მიერ საერთაშორისო სტანდარტების მიღებით, რაშიც აქტიურად არიან ჩართულნი ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც. გამარტივებული სავაჭრო პოლიტიკის გატარება, რაც პირველ რიგში გამოიხატება სავაჭრო ბარიერების შემცირებაში, მეწარმეებს აძლევთ მეტი მოგების მიღების შესაძლებლობას. საბოლოოდ კი, ტარიფებისა და ტექნიკური ბარიერების შემცირება ვაჭრობაში იწვევს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას რეგიონალურ და საერთაშორისო ბაზრებზე.<sup>15</sup>

მიუხედავად ამგვარი პოლიტიკის პოზიტივისა, დღეს უკვე არსებობს საპირისპირო მიმართულებაც, რომელიც აერთიანებს თეორეტიკოსებსა და პოლიტიკოს-პრაქტიკოსებს, რომლებიც გამოდიან საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და იმ დომინირებული მდგომარეობის წინააღმდეგ, რაც ამ პროცესში უკავია არა მხოლოდ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, არამედ სხვა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებსაც. მათი აზრით, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია აუარესებს განვითარებადი ქვეყნების უღარიბესი ფენების ეკონომიკურ მდგომარეობას, იწვევს „გლობალური მსოფლიო შემოსავლების“ შემდგომ გადანაწილებას ე.წ. „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების სასარგებლოდ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას აძლევს მხოლოდ უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს (ტეკ) და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს.<sup>16</sup>

ცალკე აღნიშვნის ღირსია სავაჭრო-ეკონომიკური პროტექციონისტული ტენდენციების შენარჩუნება და ზოგჯერ გაძლიერებაც კი. ასე მაგალითად, ტექსტილის, სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის დარგში ტარიფები რჩება მაღალი, ხოლო იმპორტის კვოტებთან შედარებით პროგრესი საკმაოდ ნელია. არ შეიმჩნევა პროგრესი ასევე სავაჭრო ბარიერების დაწვევაში ისეთ დარგებში, როგორიცაა საზღვაო ტვირთგადაზიდვები და უცხოელთათვის სამუშაო ადგილების მიღების შესაძლებლობები. მაგ., აშშ-ში ჯერ კიდევ ახდებიან 14.6%-ის განაკვეთის ბაჟს ტანსაცმლის იმპორტზე, რაც 5-ჯერ მაღალია, ვიდრე საშუალო საგადასახადო მოსაკრებელი. წინააღმდეგობა ტარიფების შემცირებასთან დაკავშირებით ყველაზე ძლიერია სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის საქონელზე დაწესებული ბაჟი და მასთან დაკავშირებული სხვა ბარიერები მსოფლიოს მასშტაბით აღწევს საშუალოდ 40%-ს.

<sup>15</sup> [www.rtlc.net/ru/tradeliberalization](http://www.rtlc.net/ru/tradeliberalization)

<sup>16</sup> [new.referat.ru/bank-znani/referat\\_view?oid...](http://new.referat.ru/bank-znani/referat_view?oid...)

გარდა ამეარა, ღია პროტექციონისტული პოლიტიკისა, ზოგიერთი ქვეყნები იყენებენ ფარული პროტექციონიზმის ფორმებს, ანუ არასატარიფო ბარიერებს, რომელთაც შეიძლება მიეკუთვნოს ეროვნული წარმოების დოტაცია, სხვადასხვა სტანდარტებისა და ნორმების შემოტანა, საქონლის სერტიფიკაცია, ანტიკონკურენციული ქცევები საქონლის მიწოდებასა და განთავსებასთან, ან განსაზღვრული ბაზრების მონოპოლიზაციასთან დაკავშირებით.<sup>17</sup>

მიუხედავად ამგვარი პოზიციის გარკვეული მარგინალურობისა, ის მაინც არ არის საფუძველს მოკლებული და ეყრდნობა სრულიად რეალურ პროცესებს, რომლებიც სათავეს იღებენ გლობალიზებადი მსოფლიო ეკონომიკიდან.

### **ვასილ ხიზანიშვილი**

*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

## **საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია რეზიუმე**

საერთაშორისო ვაჭრობა არის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, გლობალიზაციის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ფორმა. დღეს საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს ცენტრალურ რგოლს სამეურნეო კავშირების რთულ სისტემაში. იგი ახდენს მსოფლიოს ქვეყნების ერთიან საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში დაკავშირებას. თანამედროვე პირობები საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობს მსოფლიო მეურნეობის ყველა სუბიექტი.

გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ვაჭრობა იზრდება წარმოებაზე უფრო სწრაფად. მსოფლიო წარმოების ყოველ 10%-ზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის 16%-ნი ზრდა, რაც მქნის მისი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიზანია სატარიფო და არასატარიფო ბარიერების გაუქმების გზით ხელი შეუწყოს ეკონომიკის ზრდას. ეს დიდწილად ხორციელდება WTO-ის და GATT-ის მიერ საერთაშორისო სტანდარტებით, რაშიც აქტიურად არიან ჩართულნი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

### **Васил Хизанишвили**

*Доктор социальных наук в экономике  
Ассистент- профессор Телавского государственного университета*

## **ЛИБЕРАЛИЗАЦИЯ МЕЖДУНАРОДНОЙ ТОРГОВЛИ Резюме**

Международная торговля является древнейшей и важнейшей формой международных экономических отношений и глобализации. На сегодняшний день международная торговля является центральным кольцом в сложной системе экономических отношений и содействует связи между странами мира в единую экономическую сис-

<sup>17</sup> <http://enbv.narod.ru/text/Econom/avdokushin-meo/str/p13html>

тему. В современных условиях международной торговли участвуют все субъекты мировой экономики.

В условиях глобализации международная торговля растёт быстрее производства. На каждые 10% мирового производства приходится 16% рост объёма мировой торговли.

Целью либерализации международной торговли является содействие экономического роста путём аннулирования тарифных и нетарифных барьеров. Это, в основном, осуществляется международными стандартами WTO и GATT и других международных организаций.

*Vasil Khizanishvili*

*PhD in Economics*

*Asistent Professor of Telavi State University*

## **INTERNATIONAL TRADE LIBERALIZATION**

### **Summary**

The International trade is the oldest and the most significant form of the globalization of the international Economical relationship. Today the international trade is the central ring in the difficult system of the World agricultural connections. It makes the connection of the World countries in the international economical systems. In the modern conditions, in the international trade participates all the subjects of the world agriculture.

In the conditions of the globalization the international trading grows faster than manufacturing. On every 10% world production come the 16% increase of the world trading volume, what makes the favorable conditions of its development.

The aim of the international trade liberalization to promote economic growth with the elimination of tariff and non-tariff barriers. It largely carried out with the adoption of international standards by WTO and GATT, in which are actually involved also other international organizations.

**მაკროეკონომიკა**

**მარიამ ვაშაიძე,**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
მოწვეული სპეციალისტი  
**ნათელა კაკაურიძე**  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
მოწვეული სპეციალისტი

**ხელფასის დონისა და დინამიკის ანალიზი საქართველოში**

ხელფასი წარმოადგენს მომუშავეთა მატერიალური კეთილდღეობის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს, „შრომითი საქმიანობის ფუნდამენტურ საფუძველს და მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განაპირობებს მომუშავეთა და დაქირავებულთა ეკონომიკურ ქცევას. სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯებთან ერთად, ხელფასის დონე და სტრუქტურა განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური ინსტიტუტებით შრომის ბაზარზე შექმნილი სიტუაციის შეფასებისა და შრომის ბაზრის მაკროეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისათვის“ [1, გვ. 20]. ამავე დროს ხელფასი წარმოადგენს პროდუქციის თვითღირებულების ძირითად შემადგენელ კომპონენტს.

ამიტომ ხელფასის სტატისტიკურ-ეკონომიკურ შესწავლა-გაანალიზებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ შრომის ანაზღაურების ანალიზი და გამოვაგლინოთ სამუშაო ძალაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასის დონეს ახასიათებენ ერთი მუშაკის საშუალო ხელფასის მიხედვით. სტატისტიკაში გაიანგარიშება საშუალო საათობრივი, საშუალო თვიური და საშუალო წლიური დარიცხული ხელფასის მაჩვენებლები. ხოლო ხელფასის დონისა და დინამიკის ანალიზურ კვლევას აწარმოებენ ხელფასის ინდექსების საფუძველზე. არსებობს ცვალებადი, ფიქსირებული შემადგენლობისა და სტრუქტურული ძვრების ინდექსები.

ხელფასის ცვალებადი შემადგენლობის ინდექსის გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$I_{\text{ცვლ.შემადგ.}} = \Sigma \text{ფ}_1 \text{თ}_1 / \text{თ}_1 : \Sigma \text{ფ}_0 \text{თ}_0 / \text{თ}_0$$

სადაც ფ<sub>1</sub> და ფ<sub>0</sub> - საშუალო ხელფასია, შესაბამისად საბაზო და საანგარიშო პერიოდებში. თ<sub>1</sub> და თ<sub>0</sub> - საშუალო სიობრივი რიცხვი.

ხელფასის ფიქსირებული (მუდმივი) შემადგენლობის ინდექსია:


Таким образом, на основе изложенного анализа широкого спектра интерпретации определений публичной дипломатии, автором предлагается следующая дефиниция, которая отражает ее основную суть и идею в современном состоянии международных отношений.

Публичная дипломатия представляет собой совокупность мер направленных на широкую аудиторию иностранных государств, связанных с реализацией экономических и политических интересов с целью ее привлечения и реализации внешнеполитической стратегии в ее стране в будущем. Кроме того, не маловажным является то, что политику публичной дипломатии необходимо продвигать и в своей стране, так как первоначальным ее носителем являются люди, которые в первую очередь заинтересованы в ее успешной реализации за пределами своих границ.

Кроме того, необходимо учитывать тот факт, что современные дипломаты вынуждены учитывать не только глобальные современные экономические тенденции, которые имеют важное значение как в широком масштабе, но одновременно их влияние на национальные экономические интересы. Актуальная на сегодня политика soft power [16] в образе экономической экспансии активно вытесняет политику hard power, что требует в свою очередь качественного дипломатического обеспечения. [17]

В этом контексте необходимо отметить значимость таких переговорных площадок глобальных тенденций как Саммиты, форматы встреч G8 и G20, а также интернет-портал G-Global, инициативу создания которого была выдвинута Президентом Республики Казахстан Н.А. Назарбаевым на торжественном собрании посвященном 20-летию независимости Республики Казахстан. Идея G-Global получила широкую поддержку в политических, экспертных и деловых кругах, у мировой общественности. Практически все участники Астанинского экономического форума согласились с тем, что давно уже назрел момент формирования архитектуры нового мирового экономического порядка. При этом одним из новых принципов мирового порядка должно стать безусловное участие в глобальных процессах развивающихся стран. Глобальная толерантность и доверие должны стать базовыми факторами экономического развития. По новому проекту G-Global предлагается радикально расширить число участников в поисках антикризисных решений для мирового сообщества путем формирования виртуальной площадки, где и будет вестись обмен мнениями экспертов, ученых, представителей госорганов и ведущих международных организаций. В отличие от имеющихся ныне форматов, столь широкий спектр участников позволит найти возможные пути развития мировой экономики, которые были бы приемлемы также и для развивающихся стран, поскольку последние получают уже равный голос на обсуждениях. G-Global учитывает

возросший уровень влияния геополитики, геоэкономики, а также негосударственных субъектов международных НПО, частных структур, транснациональных компаний, политику и граждан различных стран мира. [18, 20]

Таким образом, следует отметить, что синтез и баланс между экономическими и политическими интересами, а также постоянное развитие внутреннего экономического потенциала позволит странам увеличить необходимый для национальной экономики приток внешних финансовых ресурсов, создать стабильную внешнюю среду, обеспечить внешнюю безопасность, что в свою очередь позволит минимизировать масштабы как внешних, так и внутренних рисков. Кроме того, роль и масштабы переговорных площадок способствует созданию благоприятных условий для поиска реальных практически-применимых решений. В данном контексте публичная дипломатия имеет положительный тренд, который представляет основу для появления новых международных структур.

#### Использованная литература

1. Melissen, J. (2005): *The new public diplomacy. Soft power in international relations*. Basingstoke: Palgrave Macmillan (Studies in diplomacy and international relations). P.221.
2. Anna Schwan *Werbung statt Waffen Wie strategische Außenkommunikation die Außenpolitik verändert*, 2011, S. 120.
3. William A. Williams: *The Shaping of American Diplomacy*, Chicago 1971.
4. Nicholas J. Cull: “Public Diplomacy” Before Gullion, a.a.O., S. 3.
5. President’s Address to Congress – a Replay to Herzling’s and Czernin’s Peace Terms, in: *Washington Post*, 12.2.1918, zitiert in: Nicholas J. Cull: “Public Diplomacy” Before Gullion, a.a.O., S.3.
6. *Diplomacy, Public and Private*, in: *Times*, 14.3.1946, S. 5, zitiert in: Nicholas J. Cull: “Public Diplomacy” Before Gullion, a.a.O., S.4.
7. Walter Lippmann: *Today and Tomorrow: Talking about Talking*, in: *Washington Post*, 19.11.1953, zitiert in: Nicholas J. Cull: “Public Diplomacy” Before Gullion, a.a.O., S.5.
8. Nicholas J. Cull: “Public Diplomacy” Before Gullion, a.a.O., S.5.
9. Jan Melissen: *The New Public Diplomacy: Between Theory and Practice*, a.a.O.,
10. Nicholas J. Cull: “Public Diplomacy” Before Gullion, a.a.O., S.6-8; Jan Melissen: *The New Public Diplomacy: Between Theory and Practice*, a.a.O., S. 2-10.
11. Gifford Malone: *Political Advocacy and Cultural Communication. Organizing the Nation’s Public Diplomacy*, Lantham/New York/London 1988; Benno Signitzer: *Staaten im internationalen System*, a.a.O., S. 496-505.
12. Benno Signitzer: *Staaten im internationalen System*, a.a.O., S. 497.
13. Долинский А. Что такое общественная дипломатия и зачем она нужна России? <http://www.g20civil.com/ru/articles/1064/>
14. Brian Hocking *Rethinking the “New” Public Diplomacy* // Melissen, J. (2005): *The new public diplomacy. Soft power in international relations*. Basingstoke: Palgrave Macmillan (Studies in diplomacy and international relations).p.221.
15. Shaun Riordan *Dialogue-based Public Diplomacy: a New Foreign Policy Paradigm?* // Melissen, J. (2005): *The new public diplomacy. Soft power in international relations*. Basingstoke: Palgrave Macmillan (Studies in diplomacy and international relations).p.221.
16. Joseph S. Nye: *Soft Power*, in: *Foreign Policy*, 80, Autumn/1990, S. 153-171; Ders.: *The Changing Nature of World Power*, in: *Political Science Quarterly*, 105, 2/1990, S. 177-192; Robert Keohane/Joseph S. Nye: *Power and Interdependence*

in the Information Age, in: Foreign Affairs, 77, 5/1998, S. 81-94. Joseph S. Nye: Soft Power: The Means to Success in World Politics, a.a.O.

17. Апцаური Д. Лекция на тему: «Энергетическая дипломатия в Черноморском побережье вызовы, решения», Астана, 22.02.13
18. Система глобальной архитектуры: от G7 к G-Global, Независимый Казахстан, Информационно-аналитический журнал KAZENERGY, №4 (54), 2012.

*Даржан Казбекова*

*Докторант международных отношений,  
Академия государственного управления  
при Президенте Республики Казахстан*

## **РОЛЬ ПУБЛИЧНОЙ ДИПЛОМАТИИ В СФЕРЕ МЕЖДУНАРОДНЫХ ЭКОНОМИЧЕСКИХ ОТНОШЕНИЙ**

### **Резюме**

В данной статье автор пытается рассмотреть публичную дипломатию с точки зрения международной политической экономики. Учитывая актуальность современных тенденций, связанных с разрешением политических и экономических вызовов, как на национальном, так и на международных уровнях, государствам необходимо просчитывать степень и глобальные масштабы рисков, которые имеют первостепенное значение в стратегии развития четкого и качественного менеджмента на всех уровнях деловых отношений с учетом реальных запросов экономического развития.

*დარჯან კაზბეკოვა*

*კაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან არსებული  
სახელმწიფო მართვის აკადემიის დოქტორანტი*

## **საჯარო დიპლომატიის როლი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში რეზიუმე**

მოცემულ სტატიაში ავტორი ცდილობს განიხილოს საჯარო დიპლომატია საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის კუთხით. ვითვალისწინებთ რა თანამედროვე ტენდენციების აქტუალობას, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების გადაჭრასთან, როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო დონეზე. სახელმწიფოებმა აუცილებელია გაითვალონ რისკების ხარისხი და გლობალური მასშტაბები, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ მკვეთრი და ხარისხიანი მენეჯმენტის განვითარების სტრატეგიაში საქმიანი ურთიერთობების ყველა დონეზე.

*ნინო ჯერენაშვილი*  
*კრივოლ რობაქიძის უნივერსიტეტის დოქტორანტი*

**ტურისტული პროდუქტის აღქმა**

ტურისტული პროდუქტი შეიძლება სხვადასხვანაირად იქნას აღქმული, რაც დამოკიდებულია იმ პოზიციაზე, რომელიც მას უჭირავს ტურისტულ ბაზარზე.

ტურისტული პროდუქტი სხვადასხვანაირად განიხილება ტუროპერატორის, აგენტის (შუამავლის) და კლიენტის მიერ.

პირველ რიგში, ტურიზმის ბაზარზე კომერციული საქმიანობის წარმატება მიმზიდველი ტურისტული პროდუქტით განისაზღვრება, თუმცა ტურისტული პროდუქტი ამავე დროს რთული ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენს, ესენია:

1. გადაადგილების საშუალებები, რომლებიც ფასდება უფრო მეტად მათი ეკონომიკური მისაწვდომობით, ვიდრე გადაადგილების სიჩქარის თვალსაზრისით.

2. ბუნებრივი რესურსები (ჰაერი, მზე, წყალი და სხვ): ისტორიული, კულტურული, არქიტექტურული ღირსშესანიშნაობები, რომელსაც შეუძლიათ მიიზიდონ ტურისტი.

3. მოწყობილობა (ტურისტის განთავების საშუალებები, რესტორნები და ა.შ).

ამ პირობების არ არსებობის შემთხვევაში, წარმოიქმნება მრავალი პრობლემა შესაძლო მოგზაურობისათვის [4].

მეცნიერები აღქმას "ჩაწერის" პროცესს უწოდებენ, რომელიც განპირობებულია ადამიანის წინა გამოცდილებით. ეს გამოცდილება დამოკიდებულია განსაკუთრებულ ინდივიდუალიზმზე, გეოგრაფიულ და კულტურულ გარემოზე.

მეცნიერები განიხილავენ ტურისტული პროდუქტის მოხმარებისა და აღქმის 3 დონეს:

1. საერთო დონე – ეს არის პრინციპები, რომლებიც საერთოა ყველა ადამიანისათვის, მაგ: მოგზაურობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნა და სხვ.

2. ჯგუფური დონე – პრინციპები, რომლებიც საერთოა იმ ჯგუფის ადამიანებისათვის, რომლებსაც ახასიათებთ ერთნაირი ნიშნები: რელიგია, ეროვნება და ა.შ.

3. ინდივიდუალური დონე – კონკრეტული ადამიანების სუბიექტური გამოცდილება. მნიშვნელოვან გავლენას სამყაროს აღქმაზე ადამიანის მოთხოვნილება ახდენს, რომელიც მის ინდივიდუალიზმზეა დამოკიდებული.

შეიძლება გავანალიზოთ ტურისტული პროდუქტის აღქმა სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით. ტურისტული პროდუქტის არსს სპეციალურ ლიტერატურაში უფრო ხშირად უწოდებენ პროდუქტის ბირთვს ან მთავარ პროდუქტს. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ გამოვიყენოთ ტერმინი "პროდუქტის არსი", რომელიც მის არამატერიალურ ხასიათს (აღქმას) გამოხატავს [3].

ტურისტული პროდუქტის უნივერსალური გაზომვა დამახასიათებელია ტურისტული ბაზრის ყველა სუბიექტისათვის. პროდუქტის არსი – პროდუქტის კვინტენცია, რომელიც მოიცავს ტურისტების ყველა მოთხოვნას (მაგალითად: მოთხოვნას დასვენებაზე). შეიძლება გამოიყოს შემდეგი სახის პროდუქტი: **რეალური პროდუქტი** – მოიცავს ტურისტული პაკეტის ყველა სტანდარტულ ელემენტს, მათ შორის კვება, ღამისთევა; **გაფართოებული პროდუქტი** – ეს არის ყველა დამატებითი მომსახურება, რომელიც ტურისტული პროდუქტის მიმზიდვე-

ლობას ამადლებს; **პოტენციურ პროდუქტს** შეადგენენ ის ელემენტები, რომლებიც მომავალში შეიძლება გახდნენ წინადადების კომპონენტები; **ფსიქოლოგიური პროდუქტი** – ყველაფერი ის, რაც რჩება კლიენტის ტვინში, ტურისტული პროდუქტის გამოყენების შემდეგ ეს შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური აღქმები.

ერთი და იმავე პროდუქტი სხვადასხვანაირად ფასდება მომხარებლისა და მწარმოებლის მიერ, რომელთათვისაც მისი ღირებულება აღმოჩნდება სხვადასხვა [2]. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ყველა დონე ტურისტული პროდუქტის აღქმისა, შეიძლება გაავანაწილოთ ორ ძირითად კატეგორიას შორის. მათ შორის პირველია ე.წ. რეალური დონეები, რომელთაც მიეკუთვნება რეალური, გაფართოებული და პოტენციური პროდუქტი. მეორე კატეგორიას შეადგენენ ე.წ. “ფსიქოლოგიური დონეები”, რომელთა შორისაც გამოიყოფა პროდუქტის არსი, ასევე მოსალოდნელი და ფსიქოლოგიური პროდუქტი. ამ კატეგორიის აღქმა ემოციურობით განისაზღვრება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი აღქმები სხვადასხვა როლს ასრულებენ ტურისტული პროდუქტის აღქმის სხვადასხვა ფაზაში. ამ ფაზებიდან შეიძლება გამოვყოთ:

1. მოხმარების ფაზა – ქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია გამგზავრებისთვის მზადებით;

2. მოგონებების ფაზა – ე.წ. პროდუქტის ექო, რომელიც არსებობს მოხმარების დასრულების შემდეგ.

აღნიშნული ფაზების გამოყოფით შეიძლება ითქვას, რომ ტურისტი სამჯერ მიემგზავრება ერთსა და იმავე მოგზაურობაში. პირველად თითოთ მოგზაურობს რუქაზე, მეორედ რეალურად ცხენით პატაგონიის უგზოობაში და მესამედ ათვალიერებს ფოტო-ალბომებს [4].

აღნიშნული მსჯელობების შედეგებით, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდგომი დასკვნა:

ტურისტული პროდუქტი თავისთავად წარმოადგენს მოლოდინების, შედეგებისა და შთაბეჭდილებების სისტემას, რომლებიც წარმოშობენ სამი მოგზაურობის განუმეორებელ კომპოზიციას: რეალურს, წინასწარს და დასამახსოვრებელს.

საქართველოსათვის ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს შიდა ტურიზმი. შიდა ტურიზმის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანი იყო გამოგვეკვლია თუ როგორ აღიქვამს ადგილობრივი მოსახლეობა საქართველოს ტურისტულ პროდუქტს. მიგვაჩნია, რომ საქართველოში დასვენების ყველაზე გავრცელებული სეზონი ზაფხულის პერიოდია, რაც ტურიზმის ტიპებს შორის, ზაფხულის ტურების აქტუალობაშიც ვლინდება.

პროცენტულად უპირველეს პოზიციას იკავებს კულტურული ტურიზმის მოყვარული რესპოდენტები, რომლებიც ზამთრის ტურებით დაინტერესებულთა რაოდენობას 16% -ით უსწრებს.

აღნიშნულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ დასვენების რაოდენობით შემოდგომა ზამთარი მეტად დატვირთული პერიოდია.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 59,5%-მა გასული წლის განმავლობაში დაისვენა მხოლოდ ერთხელ, მხოლოდ 25,6%-მა ორჯერ. დასვენების უფრო ინტენსიური პრაქტიკა თბილისის მოსახლეობის გამოკითხულთა რაოდენობაში მცირეა. ირკვევა, რომ ვიზიტორთათვის დასვენებისთვის ყველაზე პოპულარული, შავიზღვისპირა კურორტებია. სამწუხაროდ, ქართველთა სოციალური მდგომარეობის გამო მათ არა აქვთ ჩამოყალიბებული დასვენების ინდივიდუალური სტილი და არც დასასვენებელი ადგილის შეცვლაზე ფიქრობს. ისინი დასვენებას სოფლად, საკუთარ სახლებში ამჯობინებენ. შეიძლება ითქ

ვას, რომ სასურველი ადგილების მოსანახულებლად საშუალო დღეების ხანგრძლივობაა 6 დღე. ამ პერიოდში ისინი დაახლოებით 156 ლარს ხარჯავენ, თუმცა ოჯახის საშუალო შემოსავალი 691 ლარს შეადგენს. გაირკვა, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა სამომავლოდ დასვენებას მეგობრების და ახლობლების მონახულების მიზნით გეგმავს.

თითქმის არ არის მოთხოვნა ექსტრემალური ტურისტული პროდუქტისადმი, როგორცაა მაგალითად ჯომარდობა, სამთო ლაშქრობები და ა.შ. თუმცა დასასვენებელ ადგილებზე უკმაყოფილების ყველაზე აქტიურ მიზეზად გასართობი ადგილების სიმცირე დასახელდა.

საქართველოში ტურისტული ვიზიტების ორგანიზება ტუროპერატორების დახმარებით იშვიათობას წარმოადგენს. პირველ რიგში, ამის მიზეზია ის, რომ მწირი ინფორმაციაა საქართველოში არსებული ტურების შესახებ, ხოლო მეორე მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ მატერიალური მდგომარეობა. ქართველ დამსვენებელს არ აქვს ფორმირებული დამსვენებლის, როგორც მომხმარებლის ფსიქოლოგიური ხედვა, ის ირჩევს და კმაყოფილდება გამოცდილი, კარგად და საზოგადოდ აპრობირებული ვარიანტებით და არ ეძებს სიახლეს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბირუაკოვი მ. 2008. *ტურიზმის თეორია*. თბილისი.
2. Kotler PH. 2008. *Marketing Management-Analisy, Planning, Implementation and Control*. Prentice-Hall Inc
3. *Marketing Sustainable Tourism products* – United Nations Environment Program. Region of Toscana.
4. Качмарек Я., Стасяк А., Влодарчик Б. 2008. *Туристический Продукт*. Москва.

*ნინო ჯერენაშვილი*

*კრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის დოქტორანტი*

### ტურისტული პროდუქტის აღქმა რეზიუმე

ტურისტული მომსახურების საფუძველზე, მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად იქმნება ტურისტული პროდუქტი, რომელიც რთული და სხვადასხვაგვარი ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენს.

ტურისტული პროდუქტი შეიძლება სხვადასხვანირად იქნას აღქმული, რაც დამოკიდებულია იმ პოზიციაზე, რომელიც მას უჭირავს ტურისტულ ბაზარზე.

მეცნიერები აღქმას “ჩაწერის” პროცესს უწოდებენ, რომელიც განპირობებულია ადამიანის წინა გამოცდილებით.

*ნინო ჯერენაშვილი*  
*დოქტორანტი*

**ВОСПРИЯТИЕ ТУРИСТСКОГО ПРОДУКТА**  
**Резюме**

Туристические услуги на основе требования создан туристический продукт, которая представляет собой сочетание различных элементов.

Туристический продукт может быть интерпретирован по-разному в зависимости от должности, которую он занимает на российском туристическом рынке.

Ученые воспринимают, "пишут" процесс называется обусловленные правами предыдущего опыта.

*Nino Jerenashvili*  
*Doctoral Student*

**TOURIST PRODUCT PERCEPTION**  
**Summary**

On Tourist services based, requested by the customer, created tourism product, which is a combination of different elements.

Tourism product can be perceived differently, which is depending on the position that he occupies on the travel market.

Scientists called perception "write" process, which is due to the previous experience.



**მნიშვნელოვანი გამოცემა**

**საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის  
სამეცნიერო შრომების X ტომი**

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიამ, ტრადიციისამებრ, ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებში გარკვევით დაინტერესებულ ქართველ მკითხველს სულ ახლახან თავის წევრთა ნაფიქრალ-ნააზრევის, სამეცნიერო შრომების კრებულის სახით გამოცემული, მორიგი X ტომი შესთავაზა. მისი მთავარი რედაქტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი ლ. ჩიქავა, მეცნიერ-რედაქტორი – აკადემიკოს-მდივანი რ. ასათიანი, რედაქციის წევრი - პროფ. რ. კაკულია, რეცენზენტები - პროფ. ი. ანანიაშვილი და ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ი. არჩვაძე. წინა ტომების ანალოგიურად, ეს ტომიც მოიცავს როგორც თეორიულ - მეთოდოლოგიურ, ისე პრაგმატული მნიშვნელობის საკითხთა ფართო წრეს.

კრებული იხსნება ამ სტრიქონების ავტორის სტატიით: „საარსებო მინიმუმი და რაციონალური სამომხმარებლო კალათა“ [გვ. 5-21], რომელშიც მკითხველი პასუხებს იპოვის ისეთ საკითხებზე, როგორცაა: საარსებო მინიმუმისა და რაციონალური სამომხმარებლო კალათის არსი, შემაღგენელ ელემენტთა სტრუქტურა, პრაქტიკული მნიშვნელობა და სხვ. დღეისთვის საქართველოში დაწესებული საარსებო მინიმუმი მკვეთრად ჩამორჩება ოპტიმალურ დონეს, რაც განპირობებულია მასში შეტანილი საქონლისა და მომსახურების შეზღუდული ასორტიმენტით, მათი კილოკალორიების სიმცირით, ინფლაციის გაუთვალისწინებლობითა და გაანგარიშების მოძველებული მეთოდოლოგიით. საარსებო მინიმუმი უნდა იყოს ათვლის წერტილი როგორც მინიმალური ხელფასის, ისე ხანდაზმულობის პენსიის დანიშნისას, მაგრამ ამ ფუნქციას ეს მაჩვენებელი ჯერჯერობით ვერ ასრულებს. რაც შეეხება რაციონალურ სამომხმარებლო კალათას, იგი, მინიმალური სამომხმარებლო კალათისგან განსხვავებით, მოიცავს საქონლისა და მომსახურების სრულ კომპლექტს, რომელიც საჭიროა ადამიანის ნორმალურ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის. საქართველოში დადგენილი რაციონალური სამომხმარებლო კალათა [მომხმარების საგნების რაოდენობისა და სტრუქტურის თვალსაზრისით] არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება და ძირეულ სრულყოფას საჭიროებს [გვ. 20].

პროფ. რ. ასათიანი არაორდინარულად მსჯელობს კრებულში წარმოდგენილ სტატიაში: „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XXI საუკუნის მეორე ათეულის დასაწყისში“ [გვ. 22-39]. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთ გამორჩეულ პრიორიტეტად მართებულად თვლის სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების აუცილებლობა წარმოიქმნა. ავტორისეული შეხედულებით, ეკონომიკური კონვერსიის რანგში აყვანილი რეფორმების გატარების მიუხედავად, დღეისთვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა, რამდენადაც არ არის დაცული ეკონომიკური წესრიგის ჩარჩო-პირობები და ამის გამო სერიოზულად ფერხდება დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება. ამის საილუსტრაციოდ ტექსტში მოტანილია ასეთი მონაცემები : დღეისთვის „საქართველოში რეგისტრირებულია დაახლოებით 10 ათ. არასამთავრობო და 62 საქველმოქმედო ორგანიზაცია, თუმცა, მათი მეთაურობა კი არ ფუნქციონირებს. ეს ორგანიზაციები, რომლებიც უმთავრესად [95%] უცხოელი დონორების დაფინანსებაზეა, ოფიციალურ დოკუმენტებში „სამოქალაქო საზოგადოებად“ და მესამე სექტორად მოიხსენიება, თუმცა ძალზე სუსტია მათი კავშირი საზოგადოებასთან, რაც გარკვეულწილად ამცირებს ამ ორგანიზაციების ლეგიტიმურობის დონეს [გვ. 36].

მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზს ემყარება და ინტერესით იკითხება პროფ. ებარათაშვილის სტატია - „ეკონომიკის გლობალური ტრანსფორმაციის გეოპოლიტიკური ასპექტები“ [გვ. 40-54]. ავტორისეული ინტერპრეტაციით, „XXI საუკუნის გეოპოლიტიკური მოდელის კონსტრუქცია იღებს პირამიდის ფორმას, რომლის წვერშია მმართველობითი ცენტრი. იგი შედგება ატლანტიკური ცივილიზაციის წამყვანი სახელმწიფოებისა და პროფილური საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, რომლებიც ემსახურება მონდიალიზმის დოქტრინას. ამ მმართველობითი ცენტრის ინფრასტრუქტურას შეადგენენ საერთაშორისო ურთიერთობათა ტრადიციული სუბიექტები - ეროვნული სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციები [გვ. 53].

პროფ. ა. აბრალავა თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა-სადმი მიძღვნილ სტატიაში - „გლობალიზაცია და მსოფლიო ეკონომიკის ტრანსფორმაცია 2000-იან წლებში“ [გვ. 55-64] - მკითხველის ყურადღებას ამახვილებს განვითარების თანამედროვე ეტაპისთვის დამახასიათებელ ასეთ მომენტებზე: წარმოების დინამიკაში მიმდინარე არსებითი ცვლილებები ინოვაციებისა და ახალ ტექნოლოგიებზე აქცენტირებით; ეროვნული მეურნეობისა და მსოფლიო ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ძირეული ძვრები მომსახურების სფეროს უპირატესი განვითარების მიმართულებით; კრიზისების გადრმავეების კვალობაზე, დერეგულირების საერთო ტენდენციიდან რეგულირების ტენდენციაზე გადასვლა და ა. შ. [გვ. 63].

ფრიად საგულისხმოა პროფ. გ. მალაშხიას სტატიაში - „სიმდიდრის სიკეთის პოტენციალი და საყოველთაო კეთილდღეობა“ [გვ. 65-86] - გამოთქმული მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ „რეალურ სიმდიდრედ არ უნდა ჩაითვალოს ყოველივე ის, რაც წარმოებულია არაგონივრულ, არაჯანსაღ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის, ასევე, არ მოიხმარება რაციონალურად ... კაცობრიობის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა სიმდიდრისა და კეთილდღეობის ნამდვილი ჰემარიტი აზრის გაცნობიერება და პრაქტიკაში დამკვიდრება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეალური სიმდიდრის წარმოების გადიდებას, შექმნილი სიმდიდრის პოტენციალის სრულად გამოყენებას, საყოველთაო კეთილდღეობის ამაღლებასა და სიღარიბის დაძლევას [გვ. 85-86].

პროფ. რ. კაკულია სტატიაში - „ფინანსური სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში“ [გვ. 87-105] - საბაზრო გარდაქმნის მთავარ ეკონომიკურ მექანიზმად მიიჩნევს ფინანსებს და გამოყოფს იმ პრობლემებს, რომელთა აღმოფხვრა ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ფინანსური რესურსების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების სრულყოფას. ეს პრობლემებია: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მაღალი დონე და ინფლაციური პროცესების გამწვავება; ფინანსური ბაზრის განვითარების დაბალი დონე; საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვალებადობა და მისი ფუნქციონირების არასაკმარისი ხანგამძლეობა; რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა გამოთანაბრების უზრუნველსაყოფად ფინანსური რესურსების რეალური წყაროების მოძიება და მათზე ხანგრძლივი ვადით მიმაგრება.

სტატიის ავტორს, დასავლეთის მოწინავე ქვეყნების გამოცდილების ანალიზიურად „ მიზანშეწონილად მიჩნია საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას ცენტრალური და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილებას საუკვლად დაედოს ამა თუ იმ გადასახადის ფორმირებაში თვითმმართველი ერთეულების მონაწილეობის ხარისხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის მმართველი ორგანოები გადასახადების მოცულობის გაზრდაში ჩაახშობენ ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ინიციატივასა და სტიმულს [გვ. 101-103].

პოლემიკური ხასიათისაა და ინტერესით იკითხება პროფ. რ. აბესაძის სტატია - „ეკონომიკური განვითარება და მეწარმეობა“ [გვ. 106-114]. იგი, კრიტიკულად განიხილავს რა ბიზნესისა და მეწარმეობის კატეგორიებთან დაკავშირებით ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს, მიდის ასეთ დასკვნებამდე: 1. მეწარმეობა შეიძლება განვიხილოთ როგორც სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც აუცილებლად დაკავშირებულია წარმოებაში სიახლეების [ინოვაციების] განხორციელებასთან; 2. ცნებები „ბიზნესი“ და „მეწარმეობა“ ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ იმის მიხედვით, რომ ბიზნესი შეიძლება იყოს ინოვაციურიც და არაინოვაციურიც, არამედ სხვა ნიშნებითაც. ამდენად ამ ცნებების გაიგივება არ შეიძლება; 3. საკანონდებლო წარმოებაში ტერმინი - „მეწარმეობა“ შესაძლებელია შეიცვალოს ტერმინით - „სამეურნეო საქმიანობა“ [გვ. 112].

ამ დასკვნების მიმართ პირადად მე რამდენადმე განსხვავებული მოსაზრებები მაქვს, მაგრამ, ჩვენს პრაქტიკაში დამკვიდრებული ტრადიციით, ასეთ შემთხვევებში სარედაქციო კოლეგია არ ზღუდავს აკადემიის წევრებს თავიანთი პოზიციების თავისუფლად დაფიქსირებაში. ამით მკითხველსაც ვუადვილებთ პოლემიკაში დაუბრკოლებლად ჩართვასა და საკუთარი დამოკიდებულების ნათლად გამოხატვას.

პროფ. თ. ბერიძე სტატიაში - „ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური განვითარება: რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობა“ [გვ. 115-122] - ერთმანეთისგან მიჯნავს ამ კატეგორიებს. ავტორისეული მსჯელობით, პირველი გულისხმობს ეკონომიკის განვითარებას მისი წარმოებრივი პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით, ხოლო მეორე აქცენტს აკეთებს ეკონომიკის განვითარების სოციალურ შედეგებზე. ეკონომიკური ზრდა ფასდება მთლიანი შიგა პროდუქტის [მ. შ. მოსახლეობის 1 სულზე] რეალური გამოშვების მაჩვენებლით, ხოლო ეკონომიკური განვითარება უფრო ფართო ცნებაა და გამოიხატება ისეთ მაჩვენებლებში, როგორცაა: რეალური შემოსავალი, განათლებისა და ჯანდაცვის დონე, ეკოლოგიის სტანდარტების დაცულობა, ინფრასტრუქტურის დონე და ა. შ. [გვ. 119].

პროფ. ს. პავლიაშვილის ნაშრომში - „ანტიმონოპოლიური რეგულირების თავისებურებანი საქართველოში“ [გვ. 123-138] - დახასიათებულია მონოპოლიების აღვირახსნილი პარპაშის ნეგატიური შედეგები: ფასების ზრდა, მყიდველთა ყველფა, უთანაბრობის გაძლიერება შემოსავლის განაწილებაში, მონოპოლიური ფასების დაბალი ელასტიკურობა სრულყოფილი კონკურენციის ფასებთან მიმართებაში და სხვ.

სტატიაში ნათლადაა ახსნილი ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობა და მისი ხელშემშლელი გარემოებანი საქართველოში. ავტორის შეხედულებით, ანტიმონოპოლიური სამსახური უნდა იყოს არა დამსჯელი ორგანო სახელმწიფოს ხელში, არამედ ხელშემწყობი სტრუქტურა ეკონომიკურ სუბიექტთა საქმიანობის განხორციელებაში. ამასთან, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ანტიმონოპოლიური სამსახურისა და მარეგულირებელი კომისიების ფუნქციები. ანტიმონოპოლიური სამსახურის მუშაობას უნდა ჰქონდეს ერთგვარი პრევენციული ხასიათი [137-138].

ქართველი ერის სულიერი მამის - ი. ჭავჭავაძის ნაფიქრალ-ნააზრვეი, მ. შ. ეკონომიკური შეხედულებანი და მმართველობითი სისტემა მუდმივად აქტუალური თემებია. ამიტომაც იკითხება ინტერესით პროფ. მ. კვარაცხელიას სტატია - „ილია ჭავჭავაძე და თვითმმართველობა“ [გვ. 139-150]. ნაშრომში უხვადაა მოტანილი ამონარიდები ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებებიდან, საიდანაც ნათლად ჩანს ის, თუ როგორ უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების გადასაწყვეტი ამოცანები. სავსებით ვიზიარებ მოსაზრებას იმის

თაობაზე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის მოქმედების არეალის ოპტიმალურ ფარგლებში გაფართოება ქვეყნის წარმატებული წინსვლის საწინდარია.

პროფ. ა. თოთაძის მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებულ ნაშრომში - „საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“ [გვ. 151-167] - ჩამოყალიბებულია არცთუ შორეულ მომავალში მოსალოდნელი დემოგრაფიული საფრთხეები: საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრი შემცირება; შობადობის კრიზისულ ზღვრამდე დაცემა; მოკვდაობის საგრძნობი მატება; მოსახლეობის ბუნებრივი მატების თითქმის შეჩერება და დეპოპულაციის პროცესის დაწყება; მიგრაციის პროცესების მასშტაბების გაფართოება; ბავშვთა მოკვდაობისა და მკვდრადშობადობის მაღალი დონე და სხვ. ჩემი აზრით, კამათს არ იწვევს ავტორისეული დასკვნა იმის თაობაზე, რომ უმწვავესი დემოგრაფიული პრობლემები საქართველოსთვის ყველაზე დიდი ეროვნული სატკივარია [გვ. 166].

აქტუალურ პრობლემას ეძღვნება პროფ. დ. ჩომახიძის სტატია - „ენერგეტიკის განვითარების თავისებურებები დამოუკიდებელ საქართველოში“ [გვ. 168-188]. ანალიზებს რა საქართველოში ეკონომიკისა და ელექტროენერგეტიკის განვითარების დაუბალანსებლობის უარყოფით შედეგებს, ავტორი ასკვნის, რომ რამდენადაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის სასარგებლოა ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების გაზრდა, იმდენად საზიანო და დამანგრეველია მისი შემცირება. ამ მხრივ საქართველოში არსებული არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ნაშრომში ჩამოყალიბებულია წინადადებები ენერგეტიკის დარგში არსებული პრობლემების დაძლევის უზრუნველსაყოფად.

პროფ. ნ. ჭითანავას მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებულ ნაშრომში - „ქვეყანას სჭირდება აგრარული მეურნეობის ახალი სტრატეგია [საქართველოს აგრარული მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის ძირითადი ნიშნები და თავისებურებები] - გვ. 189-205, კომპლექსურადაა განხილული აგრარული მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით საქართველოში არსებული მდგომარეობა, მისი ძირითადი ნიშნები, თავისებურებები და ტენდენციები; განსაზღვრულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომლებმაც გამოიწვიეს სისტემური კრიზისი; შემოთავაზებულია დარგის განვითარების ახალი სტრატეგიის ფორმირების კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური მიდგომები; დასაბუთებულია აგრარული მეურნეობის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შედგენა-განხორციელების აუცილებლობა [გვ. 204].

პროფ. თ. კანდელაკი სტატიაში - „საქართველოს საპატრიარქო ტყეების სტატუსი“ [გვ. 206-217] - ანალიზებს რა ტყის რესურსების საკუთრების პლურალიზმის, განკარგვისა და გამოყენების მხრივ ჩვენს ქვეყანაში დღეისთვის არსებული ვითარებას, ასკვნის: საქართველოს საპატრიარქოს საკუთრების უფლებით და არა მიჩენის წესით უნდა გადაეცეს მონასტერ-ეკლესიებთან გაადგილებული სატყეო ფართობები, რამეთუ ამით საპატრიარქო სრული პასუხისმგებელი გახდება ამ ტყეების დაცვაზე, მოვლასა და აღდგენაზე, აგრეთვე, მდგრადი მეტყევეობის საფუძველზე, ტყეთსარგებლობის წარმართვაზე. არაერთგზის დადასტურებულა ის, რომ სამონასტრო-საეკლესიო და „ხატის ტყეების“ არსებობას აქვს დიდი სასულიერო, ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა [გვ. 215-216].

როგორც პროფ. ა. ჯიბუტი აღნიშნავს სტატიაში - საქართველოს სახელმწიფო შიგა ვალი“ [გვ. 218-234] - „დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პრობლემების გადასაწყვეტად, საქართველოს მთავრობამ დაიწყო ეროვნული ბანკის კრედიტისა და მოსახლეობიდან მოზიდული სახსრების გამოყენება. შემდეგ ამას დაემატა კერძო სტრუქტურების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ ვალდებულებები და მოსახლეობის

ანაბრების ინდექსაციის თანხები. ყოველივე ამის შედეგად ქვეყანას უკვე 1992-1994 წლებისთვის დაუფროვდა კოლოსალური შიგა ვალი. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს: „რადგან ქვეყანაში კრიზისის ფონზე შიგა ვალის გასტუმრება ვერ ხერხდება, საჭიროა გამოიძებნოს შიგა ვალის გასტუმრების საკმაოდ რეალური და უპრობლემო გზა. კერძოდ, მევალებებმა ფულად გამოსატულებაში დაფიქსირებული საკომპენსაციო თანხის ნაცვლად უნდა მიიღონ საკუთრებაში მიწები, შენობები, სხვა უძრავი ქონება, სახელმწიფოს აქციები, სხვადასხვა ფასიანი ქაღალდები და ა. შ.” [გვ. 233].

პროფ. რ. ოთინაშვილი სტატიაში - „ფარული ეკონომიკის ტენდენციები საქართველოში” [გვ. 235-252] - განიხილავს რა ეკონომიკის ამ ფორმის არსებობის მასშტაბებსა და ზრდის ტენდენციებს, ასკვნის, რომ იგი ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ საგრძნობლად აღემატება დასაშვებ [5-6%] დონეს. ამის არგუმენტად ავტორი იშველიებს შემდეგ გარემოებას: საერთაშორისო პრაქტიკით, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირებას ყოველთვის მოსდევს ცხოვრების დონის გაუმჯობესება, რაც ჩვენთან არ შეიმჩნევა. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფარული ეკონომიკის მასშტაბები რადიკალურად კი არ შემცირდა, არამედ ინსტიტუციონალიზაციის ახალ ხარისხში გადაიზარდა [გვ. 251].

პროფ. ბ. ნაყოფიას სტატიაში - „ბანკებში საკრედიტო რისკების მართვის საკითხისთვის” [გვ. 253-265] - განხილულია საკრედიტო რისკების მართვის თანამედროვე სისტემა და ძირითადი პრინციპები, რისკების კონტროლი დაკრედიტების პროცესში, ტიპური პრობლემების ანალიზი, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია საკრედიტო რისკების თანამედროვე მართვის სისტემების დასაწარმოებლად. ავტორი საკრედიტო რისკის მართვის ბერკეტთა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს: საკრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციას, მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზს, საკრედიტო პერსონალის კვალიფიკაციას, კრედიტების სტრუქტურირებას, კრედიტების რაციონირებას, რეზერვების შექმნას სესხებიდან მიღებული შესაძლო დანაკარგების დასაფარავად და სხვ. [263-264].

პროფ. მ. ცარციძის ნაშრომში - „შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სრულყოფის მიმართულებები საქართველოში” [გვ. 267-291] - ხელფასის ფუნქციონირების ყველა ასპექტის მიხედვით საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების პრაქტიკის გაანალიზების, განზოგადების, შრომის ანაზღაურების მოქმედი ფორმებისა და სისტემების, ძირითადი ელემენტების განხილვის, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, ჩამოყალიბებულია საქართველოში შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სრულყოფისა და ხელფასის რეფორმირების ძირითადი მიმართულებები; სერიოზული მსჯელობის საგანია მინიმალური ხელფასის განსაზღვრისა და მისი რეგულირების საკითხები; დასაბუთებულია ხელფასის რეფორმირებისა და მისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის აუცილებლობა [გვ. 289-290].

პროფ. ნ. თოდუას ნაშრომში - „საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა მოტივაციის ცვლილების მარკეტინგული კვლევა” [292-311] - დადგენილია გლობალურ ეკონომიკურ კრიზისსა და ქართველი მომხმარებლის შინაგან მოტივებს შორის კავშირები, კერძოდ, გამოვლენილია მოსახლეობის თუ რა ნაწილს შეეხო ეკონომიკური კრიზისი, რაში გამოიხატა მათზე კრიზისის გავლენა, როგორია კრიზისის შესახებ ინფორმაციით დაინტერესება, საიდან იღებენ ისინი ინფორმაციას, როგორ შეიცვალა სამომხმარებლო დამოკიდებულება საქონელთან მიმართებაში, ეკონომიის რომელ მეთოდს იყენებენ ქართველი მომხმარებლები ცალკეული პროდუქტის შეძენისას, რომელ პროდუქტზე არ გასწვევენ ისინი ეკონომიას. ნაშრომში შესწავლილია მომხმარებელთა დამოკიდებულება ისეთი სასაქონლო კატეგორიების მიმართ, როგორიცაა სასურსათო პროდუქტები, არასასურსათო

საქონელი და მომსახურება. ასევე, დადგენილია მომხმარებელთა ინფორმირებულობის ხარისხი გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესახებ და მოსახლეობაზე რეცესიის გავრცელების მასშტაბები.

ასეთია მოკლედ მიმოხილული კრებულის ძირითადი შინაარსი. ვიმედოვნებ, რომ მის ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შემოთავაზებული რეკომენდაციები საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ მაინც გახდება ერთობლივი მსჯელობისა და საქმიანი განხილვის საგანი, რომელსაც, ჩვენი ღრმა რწმენით, გარკვეული დადებითი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემების ოპტიმალურ გადაწყვეტაში.

**ლეო ჩიქავა**

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა  
აკადემიის პრეზიდენტი

**ინფორმაცია**

\*\*\*

ჟურნალ ეკონომისტის რედაქცია აცხადებს კონკურსს პრემიის მოსაპოვებლად 2013 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიისათვის. პრემია მიეკუთვნება სტატიას, რომელსაც გამოავლენს მაღალკვალიფიციური ჟიური, სამეცნიერო სტატიისათვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პრემიის მფლობელს გადაეცემა შესაბამისი დიპლომი და ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით.

\*\*\*

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economics\\_institute@yahoo.com](mailto:economics_institute@yahoo.com), [nbibilashvili@rambler.ru](mailto:nbibilashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**ღამატაპითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

**შეღავათიან ფასებში**

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

**გამოიცემა:**

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

**მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14**

**293 22 60; 551 10 07 04.**

**ელ.ფოსტა: economics\_institute@yahoo.com**

**ჟურნალ "ეკონომისტიში" სტატიების წარმოდგენის წესები**

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური და რუსული TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**

ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.



GEL

მიმღები	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE  
JOURNAL “ECONOMIST”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

USD

<b>BENEFICIARY</b>	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
<b>BENEFICIARY BANK</b>	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
<b>INTERMEDIARY BANK</b>	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

ჟურნალი “**ეკონომისტი**”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

Journal “**Economisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**